დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 9 - 15 ოქტომბერი

N 44 1508

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ელიზბარ ჯაველიძე:

### თუ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტობას გადაწყვეტს, ამას ორივე ხელით მივესალმები!

10-11





„ივანიშვილის სახით ღარიბაშვილს გონიერი და პატრიოტი პრეზიდენტი ექნება გვერდით!“

## «გახსოვდეთ, რომ არსებობს მეოთხე მოთამაშე!»

16 17



ირაკლი კობახიძის ნათქვამმა მწარე სიმართლემ თმაგალურჯებულ მაია კოპალეიშვილს ბრაზისგან სახეც გაულურჯა!

2-3

## „კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ბატონ კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდიას– დაასახელოს მამის მკვლელი!»

22



## აყვავებული ჭინჭრით საცემები



## კარავთა დუმილი




8-9

## მაია ნიკოლეიშვილი:

ამერიკა დღესაც ლენინიზმის ანალიზს იყენებს იარაღად პოსტსაბჭოთა სივრცეში რევოლუციების მოსაწყობად!

11





12

„თუ არ მოგვცემენ სტატუსს, თავში ქვა უხლიათ!“

## საკონსტიტუციო უსამართლობა

6

# აყვავებული ჭინჭრით სასჯელები

*საკონსტიტუციო სასამართლოში რეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის წარმომადგენლებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის პროცესი დასრულდა. სასამართლომ 15 ოქტომბრამდე უნდა დაადგინოს და ბეჭედი დასვას — დაარღვია თუ არა ქვეყნის ძირითადი კანონი სალომე ზურაბიშვილმა. თუ სასამართლომ ხელისუფლების პოზიცია გაიზიარა და ზურაბიშვილი კანონდამრღვევად ცნო, რომელიც საზღვარგარეთ მართლაც უნებართვოდ დატრაშუნობს და საქართველოს საწინააღმდეგოდ პოლიტიკურ საბოტაჟს ეწევა, მაშინ ჯერი პარლამენტზე იქნება, სადაც ღმერთმა უწყის, რა მოხდება და ვის და რის ფასად აერევა წითელი ღილაკი მწვანე დოლარში, ხოლო თუ სასამართლომ კოპალეიშვილისა და ჩუგოშვილის „არგუმენტები“ გაიზიარა და რეზიდენტი ზურაბიშვილი გაამართლა, მაშინ, დიდი ალბათობით, იმასაც უნდა ველოდოთ, რომ „ქვეყნის პირველი პირი“ და „მთავარსარდალი“ ერთ მშვენიერ დღეს ქართველ გენერლებს სულ პანჩურების ცემით დაერევა — გინდათ თუ არა, ჩემი ბრძანება შეასრულეთ და რუსეთს ომი დაუწყეთო!*



**საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლები – მაია კოპალეიშვილი და თამარ ჩუგოშვილი საკონსტიტუციო სასამართლოში. 2023 წლის 4 ოქტომბერი**

ოთხშაბათს, 4 ოქტომბერს, საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე საბოლოოდ გამოჩნდა — **სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში აგენტებად ისეთი მწამებელ-მწვალებლები ჰყავს, როგორებიც თამარ ჩუგოშვილი და მაია კოპალეიშვილი არიან, ამ ქვეყანაში არც გადატრიალება მოხდება და ვერც მეორე თუ მესამე ფრონტში ჩაგვითრევს ვინმე, რათა რუსულმა ბომბებმა ქართველი ახალგაზრდები, მოხუცები და ბავშვები მოსპოს და ამით უკრაინელებს ყოფა შეუმსუბუქდეთ... დიახ, გლობალური ომის პარტიის „ლოგიკა“ სწორედ ასეთია — „რაც მეტი ქართველი დაიღუპება და რაც მეტი კორპუსი აფეთქდება თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში, მით უკეთ იქნება უკრაინის საქმე!“**

4 ოქტომბერი ყველაზე უფრო დაძაბული გამოდგა საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობაში, რადგან **წყეული ზურაბ ადეიშვილის ლურჯთმიანი** მაია კოპალეიშვილი ქართველი საზოგადოების წინაშე მთელი თავისი სიმახინჯით წარდგა. **ცხადია, ჩვენ აქ კოპალეიშვილის ფიზიკურ სიმახინჯეს არ ვგულისხმობთ და მხოლოდ იმ ქვებუდანსა და სულის სიმყრალეზე მოგახსენებთ, რომელიც კოპალეიშვილსა და მის მსგავსთ აიძულებდათ, სააკაშვილის გარყვნილ რეჟიმს მონებად და ჯალათებად დასდგომოდნენ.**

ირაკლი კობახიძემ კოპალეიშვილის უსინდისობა, უტიფრობა და უწიგნურობა რომ ვერ აიტანა, ადგა და **ამ მართლაცდა ლურჯთმიან სატანას წამოაძახა** —

> **„ეს არ არის ადეიშვილის, არც გვარამიას სასამართლო, ვისი მოადგილეც იყავით წლების განმავლობაში, ეს არის საკონსტიტუციო სასამართლო და პატივი ეცით!“**

ირაკლი კობახიძის ნათქვამ-

**ქალი რომ ადეიშვილისა და გვარამიას მოადგილეობით იამაყებს და მერე „პროფესორის“ რანგში სტუდენტებს ლექციას წაუკითხავს, სტუდენტებმა უნივერსიტეტის კიბიდან უნდა დააგორონ, ანდა ზუსტად ისე მოეპყრან, როგორც დეპუტატ ვიტალი ჟურავსკის მოექცნენ უკრაინაში, რომელიც რადას შენობიდან გამოვიდა თუ არა, ხელი სტაცეს და ნაგვის ურნაში ჩააგდეს!**



## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

ანტისახელმწიფოებრივი ძალების მიზანი **ძალადობრივი გზით ხელისუფლების დამხობა** და ქვეყანაში მეორე ფრონტის გახსნაა.

„რეზონანსი“



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

**კანდიდატის სტატუსზე** პროგნოზი რთულია, ერთი ვარიანტია, რომ **ოქტომბრის ბოლოს უარყოფითი დასკვნით სცადონ რევოლუციის მოწყობა,** დეკემბერში კი შეცვალონ გადაწყვეტილება.

„რეზონანსი“



**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*

ყველა უნდა გაფრთხილდეს, რადგან **ვერავითარი არეულობა ამ ქვეყანაში ვერ მოხდება,** აქ არ არის მორყეული სახელმწიფო და არც მორყეული ხელისუფლება.

„იმედინიუსი“

# ირაკლი კობახიძის ნათქვამმა მწარე სიმართლემ თმაგალურჯებულ მაია კოპალეიშვილს ბრაზისგან სახეც გაულურჯა!

მა მწარე სიმართლემ **თმაგალურჯებულ მაია კოპალეიშვილს** ბრაზისგან **სახეც გაულურჯა,** მაგრამ ზურაბ ადეიშვილის ჯალათმა ის პოზა მიიღო, რომელზეც ქართული ანდაზა ამბობს — **„უსინდისოს სახეში აფურთხებდნენ და ვიშ, რა ჟუჟუნა წვიმა მოდისო!“**

მოკლედ, მაია კოპალეიშვილმა იხტიბარი არ გაიტეხა და სწორედ ისე, **როგორც სააკაშვილის, ადეიშვილის და თავის მიერ გაუბედურებული ადამიანები ხაოდნენ გლდანის ციხის გუანტანამოში,** ირაკლი კობახიძის მისამართით ამოიხავლა:

> „წესიერად ილაპარაკეთ, თორემ მეც გეტყვით, ვის სასამართლოში ხართ. მერე რა, მე ვამაყობ მაგით, რომ ვიყავი ადეიშვილის და გვარამიას მოადგილე“.

ქალი რომ **ადეიშვილისა** და **გვარამიას** მოადგილეობით იამაყებს და მერე „პროფესორის“ რანგში **სტუდენტებს ლექციას წაუკითხავს, სტუდენტებმა უნივერსიტეტის კიბიდან უნდა დააგორონ, ანდა ზუსტად ისე მოეპყრან, როგორც დეპუტატ ვიტალი ჟურავსკის მოექცნენ უკრაინაში, რომელიც რადას შენობიდან გამოვიდა თუ არა, ხელი სტაცეს და ნაგვის ურნაში ჩააგდეს!**

ჟურავსკიმ მაშინ „ცილისწამების შესახებ“ კანონს დაუჭირა მხარი, რაც ხალხმა არ აპატია — აქაოდა, ჩვენი ძმები, შვილები, მშობლები და დები თქვენ გამო იღუპებიანო!

**ხომ წარმოგიდგენიათ, როცა ადეიშვილისა და გვარამიას მოადგილე იყო, რამდენი ადამიანი ეყოლება გაუბედურებული ამ მართლაცდა ლურჯთმიან სატანას — მაია კოპალეიშვილს,** მაგრამ იმ დამღუპველმა კოჰაბიტაციამ, რომელმაც ქართულ სახელმწიფოს ყელი გამოსჭრა და ჩვენი განვითარება ძალიან შეაფერხა, **კოპალეიშვილი და მისი მსგავსი ქონდაქრები ხელშეუხებელი გახადა! სამაგიეროდ, ირაკლი კობახიძემ კოპალეიშვილსაც და ჩუგოშვილსაც საკონსტიტუციო სასამართლოში გააწნა პროფესიონალიზმის სილა.**

დიახ, კობახიძემ საკონსტიტუციო სასამართლოს ტრიბუნიდან მთელ საქართველოს თვალნათლივ დაანახა ის, რის შესახებაც წლებია ვწერდით — **ჩუგოშვილი არის უცხო ქვეყნის, კონკრეტულად კი, ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების ნომრიანი აგენტი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო სიაში „ჩაუდეს“! ხოლო ავადსახსენებელი ზურაბ ადეიშვილისა და კონჩიტების ბრიგადირის — ნიკუშა გვარამიას მოადგილე, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე და ე.წ. „პროფესორი“** მაია კოპალეიშვილი, **რომელიც პრეზიდენტის სტატუსსა და უფლებამოსილებას ერთმანეთისგან ვერ არჩევს, სინამდვილეში კბილებდაკრეჭილი ჯალათია, რომელსაც რამდენი ადამიანი ჰყავს გაუბედურებული, ვერავინ მოსთვლის!**

ქართული სასამართლოს ეს ბოროტი და ლურჯთმიანი კომპრაჩიკოსი, მე თუ მკითხავთ, ყველა აგენტთან და, მათ შორის, თვითგამოცხადებულ ჟურნალისტ **ელისტრაკო კილაძესთან** ერთად წყეული **ზურაბ ადეიშვილის ცისფერ „კრავოტზე“ უნდა გადააკოჰო და აყვავებული ჭინჭრით აცემინო ყოფილ გენპროკურორ ოთარ ფარცხალაძეს,** რომელმაც კილაძეს პაჰანიკებიანი ნიფხვებით, სრა-სახლებითა და მანქანებით დამთავრებული, ყველაფერი უყიდა.

ელისტრაკო, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ **თემურ ალასანიას** კალთაში ჩაუხტა და ბებერ „კაგებეშნიკსაც“ კი ფულები ააფცქვნა, ცხადია, ფარცხალაძეს ერთ-ორ სახლსა და მანქანას გაკოჭილიც აყიდვინებს!

**მოკლედ, ასე დასრულდა სამდღიანი ორომტრიალი საკონსტიტუციო სასამართლოში!** გაწირავენ და დაესევიან თუ არა რეზიდენტ ზურაბიშვილს პარლამენტში მოკალათებული **ტურა**-ოპოზიციონერები, ამ საკითხს მალე **მერაბ ტურავას** უწყება გადაწყვეტს!

*დიტო ჩუბინიძე*

*თემის გაგრძელება მე-4 გვერდზე*




საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – ანრი ოხანაშვილი და ირაკლი კობახიძე საკონსტიტუციო სასამართლოში.
2023 წლის 4 ოქტომბერი

**სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში აგენტებად ისეთი მწამებელ-მწვალებლები ჰყავს, როგორებიც თამარ ჩუგოშვილი და მაია კოპალეიშვილი არიან, ამ ქვეყანაში არც გადატრიალება მოხდება და ვერც მეორე თუ მესამე ფრონტში ჩაგვითრევს ვინმე!**

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



საქართველო 2012 **წლამდე ერთი დიდი ციხე იყო,** რომელსაც ჰყავდა ხელმძღვანელი **სააკაშვილის** სახით. არავის გამოუვა ის, რომ ქვეყანაში **რევოლუცია, დაპირისპირება, სისხლისღვრა** შემოიტანოს და ხელისუფლება ბინძური მეთოდებით დაამხოს! **სახელმწიფო მოწოდების სიმაღლეზე იქნება!**

„ინტერპრესნიუსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**თამარ ჩუგოშვილი** ერთ-ერთი ავტორია კონსტიტუციის, სადაც წერია, რომ **მთავრობასთან შეუთანხმებლად პრეზიდენტს ვიზიტების საშუალება არ უნდა ჰქონდეს.** მიჭირს წარმოდგენა, **თამარ ჩუგოშვილი** თავისივე მხარდაჭერილი მუხლის დარღვევას როგორ დაასაბუთებს.

„იმედინიუსი“

**თამარ ჩუგოშვილი**
*საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის წარმომადგენელი*



დღეს **დამატებით დავრწმუნდი** მხოლოდ იმაში, რაც ისედაც ზუსტად ვიცოდი — **პრეზიდენტს კონსტიტუცია არ დაურღვევია!**

„რეზონანსი“

**დავით ქიქნაძე**
*პარტია „ტრიბუნის“ ლიდერი*



გამოჩნდა, რომ ჩვენი **„კონსტიტუციის მამებს“, კობახიძეს და ჩუგოშვილს** ისე დაუწერიათ კონსტიტუცია, რომ სხვადასხვა რამეს გულისხმობდნენ, არადა, თითქოს **„ერთი გუნდის წევრები“** იყვნენ.

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**სააკაშვილი** არის **უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების პროექტი,** მისი ყველა აქტიურობა ასე უნდა დავინახოთ.

„რეზონანსი“

# «ვფიქრობ, საქართველოს კანდიდატის სტატუსს არც ამჯერად მისცემენ!»

*თემის დასაწყისი მე-2 გვერდზე*

***გასულ კვირას, სამი დღის განმავლობაში, საქართველოს მოსახლეობა პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს საკონსტიტუციო სასამართლოში წარმართულ უპრეცედენტო პროცესს, რომელზეც განიხილავდნენ, დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა საქართველოს კონსტიტუცია და უნდა დადგეს თუ არა პარლამენტში მისი იმპიჩმენტის საკითხი? სწორედ ამ თემით დავიწყეთ ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ წევრთან, პარტია „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან:***

— საკონსტიტუციო სასამართლოში ხელისუფლების მიერ წარდგენილ არგუმენტაციას წყალი არ გაუვა, რადგან პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევა სრულიად აშკარაა. თანაც, **სალომე ზურაბიშვილმა** კონსტიტუცია შეგნებულად, დემონსტრაციულად დაარღვია და თავხედურად აცხადებს, რომ მომავალშიც ასე მოქცევას აპირებს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით პარლამენტის სარჩელი რომ არ დააკმაყოფილოს, ეს ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება იქნება.

**— საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავამ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს სასამართლო პროცესზე ასეთი კითხვა დაუსვა:** *„პრეზიდენტი, უცხოური მედიის მიხედვით, პროდასავლურ ლიდერად არის აღიარებული და ასეთი პიროვნების იმპიჩმენტის პროცედურა რაიმე ზიანის მომტანი ხომ არ იქნება საქართველოს ინტერესებისათვის ისტორიულ მომენტში, რომელშიც ვიმყოფებით?“* **ანუ მოსამართლე ტურავა გულისხმობდა — პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ხომ არ შეუშლის ხელსო?**

— პირდაპირ ვაცხადებ, რომ **მოსამართლე მერაბ ტურავამ ირაკლი კობახიძეს სრულიად სამარცხვინო შეკითხვა დაუსვა!** რა მნიშვნელობა აქვს, ზურაბიშვილი პროდასავლელია თუ პროაფრიკელი, როცა იგი ასე თავხედურად და ცინიკურად არღვევს საქართველოს კონსტიტუციას?! ე.ი. კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვა მხოლოდ პროდასავლელს ეპატიება, ხოლო პროსამხრეთელს და პროჩრდილოელს — არა?! ეს უსინდისობამდე მისული უსამართლობაა და, მე თუ მკითხავთ, **პრეზიდენტ ზურაბიშვილის იმპიჩმენტთან ერთად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ტურავას იმპიჩმენტის საკითხიც უნდა დადგეს!**




**„მოსამართლე მერაბ ტურავამ ირაკლი კობახიძეს სრულიად სამარცხვინო შეკითხვა დაუსვა! რა მნიშვნელობა აქვს, ზურაბიშვილი პროდასავლელია თუ პროაფრიკელი, როცა იგი ასე თავხედურად და ცინიკურად არღვევს საქართველოს კონსტიტუციას?!“**





**ჯონდი ბაღათურია:**

## მე თუ მკითხავთ, პრეზიდენტ ზურაბიშვილის იმპიჩმენტთან ერთად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავას იმპიჩმენტის საკითხიც უნდა დადგეს!

**— სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ფარული ვიდეოჩანაწერი გამოაქვეყნა, რომლითაც მტკიცდება, რომ სერბეთიდან ჩამოსულმა ე.წ. ფერადი რევოლუციების სპეციალისტებმა თბილისში ახალგაზრდების ჯგუფს ტრენინგები ჩაუტარეს... თქვენი აზრით, რამდენად რეალისტურია სახელმწიფო გადატრიალების სცენარი, რომლის შესახებაც სუს-ი საქართველოს მოსახლეობას აფრთხილებს?**

— აშკარაა, რომ საქმე გვაქვს სახელმწიფო გადატრიალების მზადებასთან, ხელისუფლების მოქმედებაში კი სისუსტე შეიმჩნევა! მესმის, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, **სუს**-ის განცხადებები ერთგვარი პრევენციაა, რათა საზოგადოება ფხიზლად იყოს და მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალება არ დაუშვას, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით, სახელმწიფომ უფრო ხისტად და ეფექტიანად უნდა იმოქმედოს!

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ტრენინგი, რომელიც **სერბმა კმარელებმა** თბილისში ჩაატარეს, ამერიკის სამთავრობო ორგანიზაციის — **„იუსაიდის“** მიერ იყო დაფინანსებული... ამით

**კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ აშშ-ის დღევანდელი ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლების დამხობას ცდილობს, რადგან საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან ომი არ გააჩაღა!**

**— ცნობილია, რომ რადიკალური ნაცოპოზიციის რევოლუციური გეგმები საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმიცემაზეა აწყობილი... როგორ ფიქრობთ, მიიღებს თუ არა საქართველო დეკემბერში კანდიდატის სტატუსს?**

— **ვფიქრობ, საქართველოს კანდიდატის სტატუსს არც ამჯერად მისცემენ!** საერთოდ, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს ყბადაღებული სტატუსი არანაირად არ უკავშირდება ევროკავშირში გაწევრიანების რეალურ პერსპექტივას, არამედ ერთგვარი პოლიტიკური ხრიკია, რომელიც კოლექტიურმა დასავლეთმა ე.წ. ასოცირებული ტრიოდან საქართველოს გამოსაყოფად გამოიყენა, ვითომ უკრაინა და მოლდოვა რაიმეთი წინ არიან საქართველოზე... ეგონათ, ამით საქართველოში მასობრივ მღელვარებას გამოიწვევდნენ, ხალხი ქუჩაში გამოცვივდებოდა და ხელისუფლებას დაამხობდა... რადგან პირველ ეტაპზე მიზანს ვერ მიაღწიეს, ახლა კიდევ ერთხელ ეცდებიან და კანდიდატის სტატუსს ისევ არ მოგვცემენ!

თუმცა, დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი კოლექტიური დასავლეთის ამ ანკესზე არც ამჯერად წამოეგება და არ დაუშვებს **ე.წ. თბილისურ მაიდანს,** რომელიც ერთადერთ მიზანს — საქართველოს ომში ჩათრევას ემსახურება!

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



შემაშფოთებელია, როცა **ჩამოყვანილი პირები ახალგაზრდებს პირდაპირ ასწავლიდნენ, როგორ გამოიწვიონ ძალადობრივი მეთოდებით დესტაბილიზაცია** — „კანვასმა“ ამ ყველაფერს უნდა უპასუხოს სასამართლოში.

„ინტერპრესნიუსი“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**„ლელო“ ყველაზე გაუგებარი პარტიაა.** გაცილებით მეტი ფინანსური რესურსი აქვს, ვიდრე **გახარიას პარტიას.** როცა ფულიც მეტი გაქვს, გამოცდილი პოლიტიკოსებიც მეტი გყავს და **შენი რეიტინგი მაინც ძალიან დაბალია,** ხომ უნდა მიხვდე, რომ რაღაც გეშლება?!

„ახალი თაობა“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



**ხაზარაძე და ჯაფარიძე** ფულის გათეთრებაში გამართლდნენო და იმას კი არ ამბობენ, **თაღლითობაში რომ გამტყუნდნენ და სასჯელი მხოლოდ ხანდაზმულობის გამო არ მიესაჯათ.** „ოცნების“ რომელიღაც პოლიტიკოსმა აბსოლუტურად სწორად უწოდა მათ **„ხანდაზმული თაღლითები“.**

„იმედინიუსი“

**ვახტანგ მაისაია**
*სამხედრო პოლიტოლოგი*



**სამშობლოს ღალატის მუხლი** ამოიღო სისხლის სამართლის კოდექსიდან **ბიძინა ბოკერიამ** და ამათ არ აღადგინეს, დღეს ვერავის წაუყენებ **სამშობლოს ღალატის ბრალდებას. სააკაშვილის** სპეცსამსახური იყო **საბჭოთა შინსახკომი, ნკვდ-ს და მისი „ტროიკის“ მაგვარი სტრუქტურა,** დღევანდელი სუს-ი არის **საბჭოთა კავშირის დროინდელი სუკ-ის მაგვარი სპეცსამსახური, ეჟოვისა და სემიჩასტნის** დროინდელი.

„ალია“

# ღარიბაშვილმა ოპოზიციას

# გრანადა ესროლა!

***გრანადა ულამაზესი ქალაქია სამხრეთ ესპანეთში, ხოლო „გრანატა“ ხელყუმბარის რუსული სახელწოდებაა, რომელიც მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის, სამხედრო ტექნიკისა და შენობა-ნაგებობების გასანადგურებლად გამოიყენება.***

**შევარდნაძე-სააკაშვილის გაერთიანებულმა პოლიტიკურმა ბორდელმა** საქართველოს არაერთხელ ესროლა **„გრანატა“,** რის გამოც ერთიან ეროვნულ სხეულს აფხაზეთი და ცხინვალი დროებით ჩამოშორდა, ხოლო საკუთრივ სააკაშვილმა აჭარაში, კერძოდ, ბათუმში ჩამარხა **ნელი მოქმედების „გრანატა“,** რომელიც გაუვნებელყოფის შემთხვევაში მთელ საქართველოს აფეთქებს და გადაიყოლებს.

საბედნიეროდ, ამ ქვეყანაში ისეთებიც იბადებიან, რომლებიც საქართველოსა და მის მომავალს **„გრანატის“** ნაცვლად **გრანადას** ესვრიან. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს წაქცევის, არევისა და დაღუპვის მოსურნეებს მთლად კარგი დღე არ გაუთენდებათ.

წინა კვირას სწორედ **ქალაქ გრანადაში** გაიმართა დიდი ევროპული თავყრილობა, რომელსაც **საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი** საგარეო საქმეთა მინისტრთან და სხვა სახელმწიფო კაცებთან ერთად ესწრებოდა. იქვე იყვნენ **ამერიკელების ცნობილი „ძაღლიშვილი“ და უკრაინის დამაქცევარი ზელენსკი და ომწაგებული ნიკოლ ფაშინიანიც,** რომელიც ამერიკელებისადმი უკანალის ქიცინის გამო პუტინმა თურქეთის სულთანს საჯიჯგნად მიუგდო.

ალჰამბრას ულამაზეს სასახლეში, სადაც ოდესღაც **გრანადის** მაჰმადიანი ამირები მორჭმით ისხდნენ და ესპანეთში არაბთა უკანასკნელ ბასტიონს ამაგრებდნენ, **ირაკლი ღარიბაშვილი ნაძირალა ზელენსკის დემონსტრაციულად არ მიესალმა,** რასაც ქვეყნის ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრს ვუწონებთ! **მიგვაჩნია, რომ საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნების სუვერენიტეტი და ღირსება სწორედ ასეთ დეტალებში უნდა გამომჟღავნდეს მათ მიმართ, ვისაც შენი ქვეყნის ომში ჩათრევა და მიწასთან გასწორება უნდა!**

გრანადიდან **ირაკლი ღარიბაშვილმა** საქართველოში ჩამოიტანა ევროპელ პოლიტიკოსთა და ჩინოსანთა დასტური — **საქართველოს წინსვლას ვაფასებთ და 2023 წლის ბოლოს საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას ერთობლივად მხარს დავუჭერთო!**

ცხადია, ეს ამბავი მეხის გავარდნის ტოლფასია საქართველოს მტრებისთვის, რომლებიც ხან **ძაღლმიმკვდარი პიტერ აკერმანის** ხელმძღვანელობით გეგმავდნენ სახელმწიფო გადატრიალებას, ხან — **დევიდ კრამერის,** ხან — **კელი დეგნანის,** ხან — **ამერიკული „იუსაიდის“** და ხანაც — **„ჭუტელების“.**

თუ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭება, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში ასარევი და სარევოლუციო არც არაფერი ყოფილა, რაც ქვეყნის დაქცევის მოსურნეებს ფეხქვეშ ნიადაგს გამოაცლის. ამიტომ ახლა ასი თვალისა და ყურის გამობმაა საჭირო, რათა იმ ბნელმა ძალამ, რომელმაც ერაყი და სირია გადაბუგა, ლიბია და უკრაინა მიწასთან გაასწორა, ხოლო ავღანეთი მარადიული უბედურებისთვის გაწირა, ჩვენც არ აგვრიოს და 90-იანი წლების ქაოსში არ დაგვაბრუნოს.

**გრანადამ** თავისუფლების ფასი ყველაზე უკეთ იცის და, სხვათაშორის, **გრანადა** ის გამორჩეული ქალაქია, რომელსაც გამორჩეულად ლამაზი სიმღერა ეძღვნება.

ცნობილია, რომ **იზაბელა კასტილიელმა** და მისმა მეუღლე **მეფე ფერდინანდმა** ოთხთვიანი ალყის შემდეგ, 1492 წლის 2 იანვარს, როგორც იქნა, **გრანადა** აიღეს და უკანასკნელი არაბი მეფის — **ამირა ბოაბდილის** ბრწყინვალე სასახლის, ალჰამბრას კენწეროზე გაერთიანებული კასტილიისა და ლეონის დროშა აღმართეს. იმ დღიდან მოყოლებული ეს დროშა ესპანეთის სამეფოს დროშად იქცა.

**ამ ამბიდან გაივლის სულ რაღაც ათი თვე და 1492 წლის 12 ოქტომბერს ქრისტეფორე კოლუმბის ხომალდ „პინტას“ მეზღვაური როდრიგო დე ტრიანა პირველად დაინახავს ამერიკის სანაპიროს და ყვირილს მორთავს — „მიწა!“** ამრიგად, **გრანადა** ესპანეთის ერთიანობის სიმბოლოა, ხოლო **გრანადაში** მიღებული დოკუმენტი შესაძლოა, გახდეს საქართველოს გაერთიანებისა და აღორძინების საფუძველი, რაც **„ვივამედის“ კლინიკაში გამომწყვდეულ საერთაშორისო მასშტაბის გარყვნილს** ისე აშინებს, როგორც ეშმაკს — ჯვარი...

ცნობილია, რომ კიბოს უჯრედებს ძალიან უყვართ უჟანგბადო გარემო, სადაც ისინი გასაოცარი სისწრაფით მრავლდებიან. **სააკაშვილი და მისი ბოროტი სექტა** სწორედ მაშინ გამრავლდებიან და გაძლიერდებიან, თუ ევროპელები დანარჩენ საქართველოს ყელში ხელს წაუჭერენ, კანდიდატის სტატუსს არც ამჯერად მისცემენ და ქვეყანას უჟანგბადოდ დატოვებას დაუპირებენ.

სხვათაშორის, ესპანელების მიერ **გრანადის** გათავისუფლებას უკავშირდება ერთი ამაღელვებელი ისტორია. როცა დამარცხებული **არაბი მეფე ბოაბდილი** გრანადიდან გარბოდა, ერთხანს შეყოვნდა და უკანასკნელად გახედა არაბული არქიტექტურის შედევრს — უმშვენიერეს **ალჰამბრას,** რომელიც **გრანადის** ამირების რეზიდენცია იყო. **ბოაბდილს** სინანულის ცრემლები გადმოსცვენია, რაც დედამისს შეუმჩნეველი არ დარჩენია და შვილისთვის მკაცრად უთქვამს — **ქალის ცრემლებით ნუ გლოვობ იმას, რაც კაცურად ვერ დაიცავიო!**

ფაქტია, რომ გრანადაში მიღებულმა გადაწყვეტილებამ ოპოზიციას თავზარი დასცა და არია... **არეული და ენაჩავარდნილია რეზიდენტი ზურაბიშვილიც, რომელსაც წინ დიდი გამოცდა ელის!**

ხოლო ქართული პოლიტიკის ტრაგიკომედია ის არის, რომ **ოპოზიცია, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილმა გრანადა ესროლა და მოარტყა,** აზიზ ნესინის იმ მეფის როლშია, რომელსაც პალო გაერჭო, მაგრამ არაფერს იმჩნევს და ვერაფერს ამჩნევს... იმედია, **ირაკლი ღარიბაშვილს** საქართველოს მტრების დასამარცხებლად **სხვა გრანადებიც** აქვს!

***დიტო ჩუბინიძე***



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი გრანადაში



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი გრანადაში

**გრანადა ესპანეთის ერთიანობის სიმბოლოა, ხოლო გრანადაში მიღებული დოკუმენტი შესაძლოა, გახდეს საქართველოს გაერთიანებისა და აღორძინების საფუძველი!**



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი გრანადაში

## კვირგვინოსნები



**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*

კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას **პოლიტიკური გვამის სუნი** ნამდვილად ასდის.

„ინტერპრესნიუსი“



**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*

**„ერთიანი ანარქისტული მოძრაობა“,** რომელიც მთელ რადიკალურ ოპოზიციას მოიცავს, **დესტრუქციულ ქმედებას აგრძელებს.**

„პირველი არხი“



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

რაღაც ძალამ ჩამომიყვანა საქართველოში, **ამავე ძალამ გადამარჩინა 50-დღიანი შიმშილობის დროს,** ეს მარწმუნებს, რომ **ჩემს აქ ყოფნას აქვს თავისი დატვირთვა** და მიზანი ბოლომდეა მისაყვანი.

„ინტერპრესნიუსი“



**ლევან იოსელიანი**
*სახალხო დამცველი*

**სააკაშვილის** მდგომარეობას მონიტორინგს უწევს კონსილიუმი, ბოლო ვიზიტი ჰქონდათ აგვისტოში, **დასკვნაში არაფერია ნათქვამი მდგომარეობის ფატალურთან მიახლოების შესახებ.**

„პირველი არხი“



**პერმან საბო**
*„გირჩის“ წევრი*

**სააკაშვილი პოლიტიკიდან არც წასულა** და დაბრუნების შესახებ განცხადებას შინაარსი არა აქვს, **სად დაბრუნდა, სადაც იყო, იქ დაბრუნდა?**

„პირველი არხი“



**დოდონა კიზირია**
*ამერიკაში მცხოვრები პროფესორი*

როდესაც **მიშა** მოდიოდა, დარწმუნებული ვარ, **ეგონა „ვარდების რევოლუციის“ მსგავსი რამ მოხდებოდა.** მე რომ აქ ვყოფილიყავი, **მზად ვიყავი რევოლუციისთვის და ყოველთვის მზად ვარ.**

„აიპრესი“

# საკონსტიტუციო

*უკანასკნელ ხანს საქართველოში ყველა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ საკონსტიტუციო უსამართლობაზე კრინტს არავინ ძრავს... არადა, მთელი მსოფლიოსა და განსაკუთრებით ევროპა-ამერიკის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა იმ გაუხელებელი და სისხლიანი ძალმომრეობის ქრონიკა, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუციით კვალიფიცირდება, როგორც სწორედ საკონსტიტუციო უსამართლობა.*

თანამედროვე ქართული პოლიტიკაც დიდი **საკონსტიტუციო უსამართლობაა,** რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ ქვეყანაში საბოლოოდ დამკვიდრდეს **საპროსტიტუციო განუკითხაობა.** აი, მაგალითად, **მამუკა ხაზარაძე,** როგორც მოვლენა, ქვეყანაში გამეფებული **საკონსტიტუციო უსამართლობის,** ანუ **საპროსტიტუციო ბაქანალიის** შედეგია! კაცი, რომელიც მაშინდელი „გეპეის" პირველი კორპუსის წინ **1989 წლის 18 თებერვალს** მერაბ კოსტავას სკამის გადაჭრილი ფეხით დასდევდა, მერე შევარდნაძის ლოცვა-კურთხევით ქართველ მეანაბრეებს დასამარხი ფული მოჰპარა, მერე ამ ფულებით **„თიბისი ბანკი"** გახსნა და დღეს უსირცხვილოდ გაიძახის — **საქართველოში მევახშეობა უნდა აიკრძალოს!** — ცხადია, **საკონსტიტუციო ველიდან გადასულია საპროსტიტუციო სფეროში.** ამავე მოედანზე წარმატებით მოღვაწეობს მისი თანაპარტიელი **ანა ნაცვლიშვილიც,** რომლის მამამ — **ამირანამ** ქუთაისის საავტომობილო ქარხანა გაძარცვა, საუკეთესო მანქანა-დანადგარები და დაზგა-ჩარხები სტამბოლის ბაზარზე გაყიდა, ხოლო თავად მოსკოვში გადაბარგდა, რათა ქუთაისელ ბანდიტებს კიდევ ერთხელ არ გაეტაცებინათ; **პარალელურად, თავისი ქალიშვილი ანა შეათრია ლგბტ სექტაში. ამ გზით ქუთაისის ავტოქარხნის ყოფილმა დირექტორმა ამირანა ნაცვლიშვილმა თანამედროვე გლობალისტური მსოფლიოს ბატონ-პატრონი მესაჯდომეების მეშვეობით თავისი ნაქურდალი მილიონები „დაკრიშა" და არცთუ უშედეგოდ!**

საკონსტიტუციო უსამართლობის კლასიკური მაგალითია „ვივამედში" წამოკოტრიალებული **საერთაშორისო გარყვნილი და აფერისტი** სააკაშვილი.

**პატიმრები, რომლებსაც არც დავითგარეჯი გაუყიდიათ, არც ომი წაუგიათ, არც კაცები გაუუპატიურებიათ და არც საჯიშე ბიჭები დაუხვრეტიათ, ციხე-კოლონიებსა და კარცერებში იტანჯებიან მაშინ, როცა ყოველივე ზემოთქმულის ჩამდენი სააკაშვილი „ვივამედის" ლუქს-პალატაშია წამოწოლილი და საავადმყოფოს მედპერსონალს თავში ხან ტუალეტის ქაღალდებს ესვრის, ხანაც, როგორც ერთხელ უკვე ითქვა, „ძღნ...რბურთს"**

*(ცენზურა ჩვენია. რედ.)*

**თამაშობს...**

ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუცია და უსამართლო **ქვეყნების მიერ დაწერილი „საერთაშორისო სამართალი" გენოციდსა და მასობრივ ეთნოწმენდას უწოდებს იმას, რაც შეერთებულმა შტატებმა ამერიკის ორივე კონტინენტზე ჩაიდინა.** მეცნიერებმა დათვალეს, რომ 1492 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ, რაც თეთრმა ადამიანმა ამერიკის კონტინენტზე ფეხი დადგა, **დაახლოებით 30 მილიონი ავტოქტონი, ანუ ადგილობრივი ინდიელი მაინც გაიჟუჟა.** ამ 30 მილიონიდან უმეტესობა სწორედ **ამერიკელი განგსტერებისა და ოქროსმაძიებლების** გაწყვეტილია, ხოლო ნაწილი იმ ჭირმა და სახადმა გაჟუჟა, რომელიც ამერიკაში ევროპელებმა შეიტანეს. მოგეხსენებათ, აბორიგენებს ევროპელთა დაავადებების მიმართ იმუნიტეტი არ ჰქონდათ და ადვილად იხოცებოდნენ.

შეერთებულმა შტატებმა **1945 წლის 6 და 9 აგვისტოს** კაცობრიობის წინაშე შეუწყნარებელი სამხედრო დანაშაული ჩაიდინა და იაპონიის მშვიდობიან მოსახლეობას ატომური ბომბები დააყარა. ასეთი რამ მზისქვეშეთში ჯერ არ მომხდარა და ღმერთმა ნუ ქნას, კვლავ მოხდეს.

მსგავსი **საკონსტიტუციო უსამართლობა** თვით **ჩინგიზ ხანის, თემურ-ლენგისა და ჰიტლერის ურდოებსაც** არ ჩაუდენიათ, მაგრამ **მომხდარის მიუხედავად შეერთებული შტატები მსოფლიოსთვის სახეში შეფურთხებას განაგრძობს და დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე ყინჩად და უტიფრად ლაპარაკობს. დიახ, ამას სჩადის ქვეყანა, რომელსაც ჰიროსიმასა და ნაგასაკიში დატრიალებული ჯოჯოხეთის გამო კაცობრიობის წინაშე ბოდიში ჯერაც არ მოუხდია!**

**საკონსტიტუციო უსამართლობა** კი არა, პირდაპირ ჯოჯოხეთი დაატრიალა შეერთებულმა შტატებმა 1964 წლიდან ვიეტნამში, რასაც დაახლოებით 58 ათასი ამერიკელისა და მილიონზე მეტი ჩრდილოეთ ვიეტნამელის სიცოცხლე შეეწირა. **ამერიკა ამ ომში იყენებდა აკრძალულ იარაღს, მათ შო-**




**საკონსტიტუციო უსამართლობა აღარ ჰქვია იმას, რაც ამერიკის აგენტურამ საქართველოს კონსტიტუციაში ჩვენივე ხელით ჩაგვაწერინა — საქართველოს უზენაესი მიზანია არა ღმერთისკენ და ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა, არამედ ნატოში გაწევრიანებაო!**

# უსამართლობა

## კვირგვინოსნები



**ლევან ხუციშვილი**, *ფინანსთა მინისტრი*

არის თემები, რომელთან მიმართებით **შეიძლება იყო ოპოზიციაში მთავრობასთან,** მაგრამ **არ უნდა იყო ოპოზიციაში სახელმწიფოსთან.** სანქციების გვერდის ავლის თემაზე არცერთი ფაქტი არ დადასტურდა.

„პირველი არხი"



**კაკო მანჯგალაძე**, *„სტრატეგია აღმაშენებლის" წევრი*

**კობახიძის** გაგებით, **პრეზიდენტი არის არა სახელმწიფოს მეთაური, არამედ დაპროგრამებული ბიორობოტი,** რომელსაც დამოუკიდებლად მხოლოდ საკუთარი ძაღლის გასეირნება შეუძლია, ისიც მხოლოდ მთავრობის მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე.

„ახალი თაობა"



**დავით უსუფაშვილი**, *„ლელოს" წევრი, პარლამენტარი*

**ირაკლი კობახიძემ** თვითონ მოიყვანა **ზურაბიშვილი** პრეზიდენტად, **თვითონ იყო ჩამოკიდებული ბილბორდზე,** ესე იგი, თუ რაიმე ცუდი გვემართება, **კობახიძეა** ამის ავტორი.

„ინტერპრესნიუსი"



**თამარ ჩიბურდანიძე**, *„ხალხის ძალის" წევრი*

არ **დაგვჭირვებია კარვები 2012 წელს, ისე მოვუგეთ არჩევნები სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს.** თუ მაგრები არიან, ხალხი დაარწმუნონ თავიანთ სიმართლეში.

„იმედინიუსი"



**სანდრო რაქვიაშვილი**, *„გირჩის" წევრი*

„გამარჯვების პლატფორმა" **უიდეო კოალიციაა,** უიდეო კოალიციები კი ხშირად იშლება.

„პირველი არხი"

# უსამართლობა

**რის, ქიმიურ იარაღსა და დეფოლიანტებს, რომელიც ხელოვნურ ფოთოლცვენას იწვევს.** ამ გზით ვიეტნამში მოქმედი შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობა ცდილობდა იქაური ტყეების მასობრივ გაშიშვლებას, რათა ვიეტკონგელი პარტიზანები ადვილად აღმოეჩინათ და გაენადგურებინათ.

სხვათაშორის, **ამერიკის შეერთებულ შტატებს დღემდე არ დაუგმია ის სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც რუსეთთან ერთად შევარდნაძის მოსკოვიდან თბილისში ჩამოსაყვანად და საქართველოს ხერხემალში გადასამტვრევად დაგეგმა და აღასრულა.**

მთელი 150 წლის განმავლობაში საფრანგეთმა ჯოჯოხეთი დაატრიალა ჩრდილოეთ აფრიკაში. **მაღალკულტურულმა ფრანგმა ერმა, სადაც კი ფეხი შედგა, ყველგან სისხლის ტბები დააყენა. მისაუბრია ამ თემაზე ჩვენს ემიგრანტებთან და მათგან ვიცი, რომ ბოლო წლებში საფრანგეთში გახშირებული შეტაკებები, სადაც პოლიციასთან ომში აფრიკული წარმოშობის შავკანიანი მოქალაქეები დომინირებენ, მკვეთრად გამოხატულ ნაციონალისტურ ხასიათს ატარებს.** როგორც მარწმუნებენ, ეს არის აფრიკელების ერთგვარი შურისძიება იმ დამცირებისა და ტანჯვის გამო, რაც ფრანგებმა მათ წინაპრებს მთელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში მიაყენეს.

არათუ **საკონსტიტუციო,** არამედ **ტოტალური უსამართლობისა** და ენით აუწერელი განუკითხაობის მასშტაბებს გასცდა ძარცვა-გლეჯის ის ხარისხი, რომელიც 1600 წლიდან 1947 წლამდე, ანუ **„ოსტ-ინდოეთის კომპანიის“** შექმნიდან ინდოეთის დამოუკიდებლობამდე ინდოელმა ხალხმა ბრიტანელებისგან განიცადა. **მუცლითმეზღაპრენი თუ პროვოკატორები, რომლებიც სტალინის განსაქიქებლად შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ, არაფერს ამბობენ და პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული იმ „ბოლოდომორზე“, რომელიც ჩერჩილმა და ბრიტანეთის ხელისუფლებამ ინდოეთსა და ბენგალში ხელოვნურად გამოიწვიეს და 3 მილიონი ადამიანი შიმშილით ამოწყვიტეს!** უკანასკნელი გამოკვლევებით დასტურდება, რომ შიმშილით გარდაცვლილთა რაოდენობა, სულ მცირე, შვიდჯერ და რვაჯერ მეტი მაინც იყო, ანუ საერთო ჯამში, 1943 წელს, **უინსტონ ჩერჩილის** პრემიერ-მინისტრობის დროს, აღმოსავლეთ ინდოეთსა და ბენგალში დაახლოებით 25 მილიონი კაცი ბრიტანელებმა შიმშილით მოკლეს. ამ საშინელი დანაშაულის მიზეზი ის იყო, რომ ინგლისელებმა იაპონელების შემოჭრის შიშით მიმართეს ე.წ. გადამწვარი მიწის ტაქტიკას და მოსახლეობას ნავები და ყველანაირი სატრანსპორტო საშუალება წაართვეს, რაც იაპონელებს გადაადგილებას გაუადვილებდა. ამ ყველაფერმა ის შედეგი გამოიღო, რომ ხალხმა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ვერ შეასრულა, ზღვაში თევზი ვერ დაიჭირა და საშინელი შიმშილობაც დაიწყო.

ცხადია, ამ ყველაფერს დასავლური ისტორიოგრაფია ჩქმალავს, რათა **ჩერჩილის** სახელს ჩირქი არ მოეცხოს. აღარაფერს ვამბობთ იმ **კონსტიტუციურ უსამართლობაზე,** რასაც ბრიტანეთის მიერ ინდოეთის ძარცვა ჰქვია. საერთოდ მიჩნეულია, რომ მსოფლიოს მმართველ დინასტიებს შორის ყველაზე უმდიდრესი იყო **დიდ მოგოლთა იმპერიის მმართველი ელიტა,** რომელიც სწორედ ინგლისელებმა გაძარცვეს. დიდ მოგოლთა ახალ იმპერიას 1526 წელს ჩაუყარა საფუძველი **ჩინგიზ-ხანისა და თემურ-ლენგის** შთამომავალმა **ბაბურმა,** რომელმაც ინდოეთი დაიპყრო. დიდ მოგოლთა მეხუთე იმპერატორი **შაჰ-ჯაჰანი,** რომელმაც მსოფლიოს მერვე საოცრება — **თაჯ-მაჰალი** ააგო, ფლობდა მსოფლიოში ცნობილ ალმასს, **106-კარატიან „კოჰინურს“,** რომელიც 1911 წლიდან სწორედ ქურდბაცაცა ინგლისის მეფეების გვირგვინს ამშვენებს და დღეს ტაუერის ციხე-სიმაგრეში ინახება.

**ალბათ, ტრილიონები არ ეყოფა იმ ქონების აღწერასა და შეფასებას, რომელიც მთელი 350 წლის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის იმპერიამ ინდოეთიდან გაზიდა და ლონდონის განძთსაცავებში დააბინავა. არც თემურ-ლენგსა და არც ნადირ-შაჰს ინდოეთი ისე უსინდისოდ არ გაუძარცვავთ, როგორც ბრიტანელებს.**

ის, რაც მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიას გამარჯვებულმა მოკავშირეებმა გაუკეთეს, არამარტო საკონსტიტუციო, არამედ **ისტორიული უსამართლობაა! სტალინმა გერმანელებს წაართვა აღმოსავლეთ პრუსია, რომლის უდიდესი ნაწილიც პოლონელებს გადასცა, ხოლო ძველი კენინგსბერგი — ემანუელ კანტის სამშობლო, რუსეთის ფედერაციას მიუზომა.** უფრო მეტიც, **სტალინმა** საფუძველი ჩაუყარა მანამდე არარსებულ სახელმწიფოებს — **უკრაინას, აზერბაიჯანსა და შუა აზიის რესპუბლიკებს.** უკრაინას ბელადმა გადასცა **გალიციის ნაწილი ლვოვითა და ტერნაპოლით,** რომელიც მე-13 საუკუნიდან მოყოლებული არასოდეს რუსეთის შემადგენლობაში არ შედიოდა. ამის მიუხედავად, **სტალინს** ყველაზე მეტად სწორედ პოლონელები და უკრაინელები აგინებენ, რასაც უკვე **საკონსტიტუციო უსამართლობა კი არა, უსინდისობაც აღარ ჰქვია.**

**საკონსტიტუციო უსამართლობაა,** როცა ბრილიანტებისა და ხალიჩების ქურდ **გიორგი ჟუკოვს** „მარშალ პობედის“ უწოდებდნენ, ხოლო მეორე მსოფლიო ომის ნამდვილ ტრიუმფატორს, რომელმაც რუსეთი კი არა, მთელი კაცობრიობა განადგურებისა და ყვითელი ჭირისგან იხსნა, ნაგავს აყრიან და შეურაცხყოფას აყენებენ!

**საკონსტიტუციო უსამართლობა** იყო 1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება. სტალინი ამ ფაქტს „უმცირეს ბოროტებას“ უწოდებდა... სამწუხაროდ, ბელადმა ვერ შეძლო და ისევ და ისევ ქურდბაცაცა ინგლისელებისა და ამერიკელების ხვანჯებით ვერ გაასწორა ის დიდი ბოროტება, რაც 1453 წლის 29 მაისს ევროპელთა უგერგილობითა და ცრუქაქუნობით მოხდა, როცა ქრისტიანული ბიზანტიის იმპერიის ადგილზე ოტომანური თურქეთი წამოიმართა.

**საკონსტიტუციო უსამართლობა, ენით აუწერელი ბოროტება და გენოციდი იყო ის, რაც რუსეთმა აფხაზეთში, ცხინვალსა და ჩეჩნეთში ადგილობრივი მოღალატეების, ბაგრამიანელების, კონფედერატებისა თუ კაციჭამია რუსი გენერლების ხელით ჩაიდინა!**

**საკონსტიტუციო უსამართლობა** მეფობს დღევანდელ საქართველოშიც, როცა პარლამენტსა და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში მოკალათებული მწამებლები, საკაშვილის ხარჭები, ქვეყნის მოღალატეები და გამყიდველები ხალხსა და ქვეყანას თავგზას უბნევენ, ჯორივით უცილობლობენ და ამ დროს უამრავი პატიოსანი, გულანთებული და სამშობლოზე შეყვარებული კომპეტენტური კადრი უსამართლოდ იჩაგრება და ცხოვრებაში წინ ვერ მიდის!

**საკონსტიტუციო უსამართლობა აღარ ჰქვია იმას, რაც ამერიკის აგენტურამ საქართველოს კონსტიტუციაში ჩვენივე ხელით ჩაგვაწერინა — საქართველოს უზენაესი მიზანია არა ღმერთისკენ და ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა, არამედ ნატოში გაწევრიანებაო!**

ამას ღმერთი არ გვაპატიებს და დაგვსჯის...

თუ კარგად დავაკვირდებით, **ვისჯებით კიდეც!**

***დიტო ჩუბინიძე***




# უსამართლობა

## კვირგვინოსნები

**ლია ტოკლიკიშვილი**
*ფილმ „იარე, ლიზა“ სცენარის ავტორი*



**„იარე, ლიზა“** არის ფილმი იმაზე, რომ **აფხაზეთი, რომელიც რუსეთს მიბმული აქვს 30 წლის განმავლობაში,** შენკენ შემოატრიალო, დაანახო შენი ნამდვილი სახე და სული.

„კვირის პალიტრა“

**თეონა დოლენჯაშვილი**
*მწერალი*



ომში მარტო ერთი მხარეა დამნაშავე?! **მარტო აფხაზები იყვნენ მკვლელები?!** ჩვენ თუ არ გადავაფასეთ წარსული, არ გავიაზრეთ ომის ტრაგედია და **ვერ შევძელით ვერც პატიება, ვერც დიალოგი, აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ქაცარავა**
*ანტიოკუპაციური მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ ლიდერი*



**ჩვენს თანამემამულეებს თავებს რომ აჭრიდნენ** და ფეხბურთს თამაშობდნენ, ამისთვის უნდა მოვიხადოთ ბოდიში, **თუ დედას რომ მის თვალწინ მოკლული შვილის თვალი გადააყლაპეს?** სისხლით და ომით წართმეულს არავინ დააბრუნებს! მხოლოდ **ერთობა, ძლიერი ეკონომიკა, ძლიერი ჯარი და ძლიერი მოკავშირეები** დაგვეხმარებიან ჩვენი ტერიტორიების დაბრუნებაში!

„რეზონანსი“

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



საქართველოსთვის **სტატუსის არმიცემა** რუსეთის გამარჯვება იქნება.

„კვირის პალიტრა“







***წინამდებარე წერილის სათაური — „კარავთა დუმილი“ ალუზიურად ეხმიანება ამერიკელი მწერლის თომას ჰარისის ცნობილ ნაწარმოებს — „კრავთა დუმილი“, რომლის მიხედვითაც ამერიკელმა რეჟისორმა ჯონათან დემიმ ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმი გადაიღო.***

# კარავთა

**„კრავთა დუმილი“,** რომელსაც ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო — ოსკარი ერთბაშად ხუთ ნომინაციაში აქვს მიღებული, ფსიქოლოგიური თრილერია, ხოლო **კარავთა დუმილი,** რომლის შესახებაც ახლა გვიწევს საუბარი, ქართული პოლიტიკური თრილერი გახლავთ.

საქმე ეხება ე.წ. **კარვების კანონს,** რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა და სამი მოსმენით დაამტკიცა, რის გამოც რადიკალური ოპოზიციის ფლანგზე დიდი გნიასია ატეხილი, აქაოდა — „ქართული ოცნება“ ქუჩაში **საპროტესტო კარვების** განთავსებას გვიკრძალავს და კიდევ ერთ „რუსულ კანონს“ გვახვევს თავსო!

პარლამენტის მიერ **შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში** შეტანილი ცვლილების თანახმად, მომიტინგეებს ქუჩაში **კარვების ან სხვა სახის დროებითი კონსტრუქციების** განთავსება ეკრძალებათ, თუ ეს **„საფრთხეს უქმნის შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილე სხვა პირებს, ხელს უშლის პოლიციის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, იწვევს საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებას ან არ უკავშირდება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებას“.**

ოპოზიციის განცხადებებს — ხელისუფლება შეშინებულია და ამიტომ კრძალავს საპროტესტო კარვების გაშლასო, მმართველი ძალის წარმომადგენლები პასუხობენ — ტყუილია, რომ კანონში შეტანილი ცვლილება **კარვების გაშლას** კრძალავს, უბრალოდ, გარკვეული შეზღუდვები წესდება და პოლიციას საშუალება ეძლევა, სიტუაციის მიხედვით განსაზღვროს, როდის უნდა გაიშალოს **კარავი** და როდის — არაო!







**ორგანიზაცია „კანვასის“ წარმომადგენლები — სინისა სიკმანი, იელენა სტოისიჩი და სლობოდან ჯინოვიჩი, რომლებმაც თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში ახალგაზრდების ჯგუფი შეკრიბეს და ხელისუფლების დამხობის მეთოდებთან დაკავშირებით ტრენინგები ჩაუტარეს, ქართულმა სახელმწიფომ, როგორც მინიმუმ, პერსონა ნონ-გრატებად უნდა გამოაცხადოს და საქართველოში ფეხის შემოდგმა აუკრძალოს!**

აღსანიშნავია, რომ შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს **კარვებისა და სხვა სახის დროებითი კონსტრუქციების** გამოყენებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო შეზღუდვების დაწესება „ქართულმა ოცნებამ“ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საზოგადოებას საქართველოში დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ ამცნო. **სუს-ის საგანგებო განცხადების თანახმად, მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების სცენარის ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ ე.წ. კარვების ქალაქის მოწყობა გახლავთ;** ასევე ჩაფიქრებულია ცენტრალურ გამზირებსა და სტრატეგიულ ობიექტებთან ბარიკადების აღმართვა და სამთავრო-

## კვირგვინოსნები

**ზურა ხაჩიძე**
*მომღერალი*



ახლა კარგად მომისმინეთ, ჩვენი ქვეყნის მტრებო! **თუ ვინმე გადაწყვეტს ჩემი ქვეყნის სიმშვიდის დარღვევას, კონსტიტუციური წესრიგის არევას ან აყირავებას, პირადად ჩემგან და ჩემი ძალიან დიდი სამეგობროსგან მიიღებთ ცხვირში!** არ დაგარღვევინებთ სიმწრით მოპოვებულ მშვიდობას. ბოლომდე დავიცავთ, **არავის მივცემთ უფლებას რევოლუციის და ამ ქვეყნის კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობის!** ეს კარგად დაიმახსოვრეთ!

„ალია“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



როგორც აქამდე აღიკვეთა **რევოლუციური ტალღები,** ასე იქნება მომავალშიც. **„კეზერა“** ევროპელებს რომ ძარცვავს, მერე **აფინანსებს „ედისონ რისერჩის“ კვლევებს** — „ქართულ ოცნებას“ **37% დაუწერეს** და გამოეპარათ, რომ 5%-იანი ბარიერის პირობებში, **37%-ის შემთხვევაში** კი, უმრავლესობა გაქვს.

„იმედინიუსი“

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



წარმოვიდგინოთ, **როგორ მოიქცევიან აშშ-ის სამართალდამცავი ორგანოები ან პოლიტიკოსები,** თუ გარედან დაფინანსებული ტრენერები ამერიკელ მოქალაქეებს ასწავლიან, **როგორ უნდა მოხდეს მასების მობილიზება კაპიტოლიუმის დასალაშქრად.**

„იმედინიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ვინც **„შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“** კანონში დაგეგმილ ცვლილებებს ეწინააღმდეგება, **მხარს უჭერს კარვებში ათობით ადამიანის სიკვდილს** — ადამიანების აფეთქებას და იმ გეგმას, რომელიც სუს-მა გაამჟღავნა.

„რეზონანსი“



**კადრი 2023 წლის 5 ოქტომბერს თბილისში გამართული აქციიდან – აქტივისტებმა კარვების გაშლის შეზღუდვასთან დაკავშირებული კანონი კარვების ჩაცმით გააპროტესტეს!**

# დუმილი

ბო შენობების ბლოკირება, რაც მძიმე პროვოკაციის ელემენტებს შეიცავს. კერძოდ, **სუს**-ი ამტკიცებს, რომ გადატრიალების სცენარის ავტორები **წინასწარ შერჩეულ კარავში** ასაფეთქებელი მოწყობილობის შეტანას აპირებენ, რათა მშვიდობიანი მომიტინგეებისა და სამართალდამცავთა რიგებში მსხვერპლი გამოიწვიონ.

ძნელი სათქმელია, რამდენად შეცვლის ან რამდენად შეუშლის ხელს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მსურველთა გეგმებს **კარვების გაშლასთან დაკავშირებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციები...** თუ **სუს**-ის განცხადებას დავეყრდნობით, ხელისუფლების დამხობის სცენარის უკან სერიოზული უცხოური ძალები დგანან და მიზნის მისაღწევად დიდძალი ფულის დახარჯვასაც აპირებენ, ამის პრევენცია კი მხოლოდ **კარვების გაშლის შეზღუდვით** წარმოუდგენელია.

პირდაპირ რომ ვთქვათ, საქართველოში დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების აღკვეთას **კარავთა დუმილი** კი არა, **კანონის ხმაური** და სამართლის მძვინვარება სჭირდება!

მაგალითად, ორგანიზაცია **„კანვასის“** წარმომადგენლები — **სინისა სიკმანი, იელენა სტოისიჩი და სლობოდან ჯინოვიჩი,** რომლებმაც თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში ახალგაზრდების ჯგუფი შეკრიბეს და ხელისუფლების დამხობის მეთოდებთან დაკავშირებით ტრენინგები ჩაუტარეს, ქართულმა სახელმწიფომ, როგორც მინიმუმ, პერსონა ნონგრატებად უნდა გამოაცხადოს

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საშიშ სუბიექტად და კანონგარეშე ორგანიზაციად უნდა გამოცხადდეს „კანვასის“ ქართული ფილიალი, რომელსაც ყოფილი კმარელი და „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი გიორგი მელაძე ხელმძღვანელობს!**



და საქართველოში ფეხის შემოდგმა აუკრძალოს!

გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საშიშ სუბიექტად და **კანონგარეშე ორგანიზაციად უნდა გამოცხადდეს „კანვასის“ ქართული ფილიალი,** რომელსაც ყოფილი კმარელი და **„თავისუფლების ინსტიტუტის“** წევრი **გიორგი მელაძე** ხელმძღვანელობს!

საქართველოს ხელისუფლებამ ღიად და გაბედულად უნდა ისაუბროს იმის შესახებაც, თუ რას ნიშნავს და რასთან გვაქვს საქმე, როცა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო — **იუსაიდი** ამერიკელი ხალხის ფულით აფინანსებს ტრენინგებს, სადაც ქართველ ახალგაზრდებს სახელმწიფო გადატრიალების ტექნოლოგიებს ასწავლიან!

მოკლედ, **კარვების გაშლაზე შეზღუდვების დაწესება კი არა, გაცილებით ქმედითი, რადიკალური და ეფექტიანი ზომების მიღებაა საჭირო, რაც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების დამგეგმავ გარე და შიდა ძალებს მანამდე ჩამოუღებს კბილებს, სანამ ისინი ქართული სახელმწიფოს გაძიძგვნას დაიწყებენ!**

თუ სააკაშვილს წვრილმანი დანაშაულის წინააღმდეგ ჰქონდა გამოცხადებული ნულოვანი ტოლერანტობა და ორი ქილა მურაბის მომპარავ არასრულწლოვანსაც მაქსიმალური სასჯელით უშვებდა ციხეში,

## საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ ნულოვანი ტოლერანტობა სახელმწიფო გადატრიალების დამგეგმავ-შემსრულებლებს უნდა გამოუცხადოს და ყველას ციხეში უკრას თავი!

მოკლედ რომ მოვჭრათ, **საქართველოს ხელისუფლებამ, კანონისა და სამართლის ძალით, სახელმწიფო გადატრიალების მსურველებს მანამდე უნდა მოუგრიხოს კისერი, სანამ ისინი კარვების გაშლამდე და გაშლილ კარვებში ასაფეთქებელი მოწყობილობების განთავსებამდე მიიყვანენ საქმეს!**

**„კრავთა დუმილის“** პერსონაჟს **კლარისა სტერლინგს** ბავშვობიდან სტანჯავდა კოშმარული სიზმარი, რომელშიც **სასიკვდილოდ განწირული კრავები** შემზარავად ბღაოდნენ, მაგრამ ერთ დღესაც კლარისას სიზმრებში **კრავები** დადუმდნენ და იგი ბავშვობის ტრავმებისაგან გათავისუფლდა!

**გაათავისუფლებს თუ არა საქართველოს სახელმწიფო გადატრიალების მოსურნე შინაური და გარეული მტრებისაგან კარავთა დადუმება, ანუ საპროტესტო აქციებზე კარვების გაშლის აკრძალვა?**

რა თქმა უნდა, არა!

საქართველოს **კარავთა დუმილი** შვებას ვერ მოუტანს!

საქართველო შვებასა და მრავალწლიანი კოშმარისაგან გათავისუფლებას მარტო მაშინ ეღირსება, როცა რევანშიზმით შეპყრობილი და სისხლს მოწყურებული ნაცროვის სამუდამო პოლიტიკურ დადუმებას შეძლებს!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

### ირაკლი ქადაგიშვილი
*პარლამენტარი*



ქვეყანაში **რევოლუციური სიტუაცია არ არსებობს,** ამიტომ **ვერანაირ რევოლუციაზე ისინი ვერ გადიან,** მაგრამ სუს-ის მიერ გავრცელებულ კადრებში სწორედ იმაზეა საუბარი, **მცირე მუხტი როგორ გადაზარდონ უფრო მძლავრ მუხტში.**

„იმედინიუსი“

### რომან გოცირიძე
*პარტია „ევროოპტიმისტების“ წევრი, პარლამენტარი*



ელოდებით **„კარვების რევოლუციას“** და გეშინიათ იმის გამო, რომ **ძალიან ბევრი დანაშაული და ცოდვა** გაქვთ ჩადენილი.

„აიპრესი“

### შოთა გლურჯიძე
*მხატვარი*



თუ არსებობს კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც **სახელმწიფოს წინააღმდეგ გადატრიალებას გეგმავს,** მისი წევრები ციხეში უნდა ჩავსვათ. **ანტიმაიდანი რას ნიშნავს?** — მე რა გავაკეთო, თუ ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებული გადატრიალება მზადდება, თოფი ავიღო და მათ ქუჩაში ვდიო?! **თოფიც აქვთ და ტყვია-წამალიც, დააპატიმრონ, ვინც დასაპატიმრებელია და ამით მორჩება. ანტიმაიდანი არ არის საჭირო,** სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს!

„საერთო გაზეთი“

### სოზარ სუბარი
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**USAID**-ის დაქირავებული ტრენერები მსმენელებს **ლენინის რევოლუციურ გამოცდილებას** უზიარებდნენ მცირედი შესწორებით, **ამათთან პროლეტარიატი სტუდენტობამ ჩაანაცვლა.**

„პირველი არხი“

### რიმა ბერაძე
*პარლამენტარი*



**შენს ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებები როცა არ გახარებს** და ყველანაირად ცდილობ, გააუფასურო ან ტყუილებით გადაფარო, **ამას სხვას ვერაფერს დავარქმევ, თუ არა ქვეყნის მტრობას.**

„პირველი არხი“






## ელიზბარ ჯაველიძე:

# თუ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტობას გადაწყვეტს, ამას ორივე ხელით მივესალმები!

***სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულმა ფარულმა ვიდეოჩანაწერმა, რომელშიც ჩანს და ისმის, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია „კანვასის“ სერბმა წარმომადგენლებმა თბილისში ე.წ რევოლუციური ტრენინგები ჩაატარეს, კიდევ უფრო გაამყარა იმავე სუს-ის მიერ ორი კვირის წინათ გაკეთებული განცხადება საქართველოში დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ. ფარულ ოპერატიულ ვიდეომასალასთან ერთად, სუს-მა ოფიციალური განცხადებაც გაავრცელა, რომელშიც ვკითხულობთ:***

*„2023 წლის 25 სექტემბერს საქართველოში USAID-ის პროგრამის აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოწვევით ჩამოვიდნენ სერბეთის მოქალაქეები სინისა სიკმანი, იელენა სტოისიჩი და სლობოდან ჯინოვიჩი. აღნიშნული პირები დაკავშირებული არიან 2003 წელს საქართველოში განვითარებულ რევოლუციურ მოვლენებთან, სხვადასხვა წლებში კი მათ ასევე კავშირი ჰქონდათ სერბეთში, უკრაინასა და სხვა სახელმწიფოებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებთან. აქტიურად ახორციელებდნენ საპროტესტო მუხტის წარმოქმნის მეთოდიკისა და ძალადობრივი აქციების ჩატარების ტაქტიკის სწავლებას. ისინი წარმოადგენენ ორგანიზაცია* ***„კანვასის“*** *მმართველ რგოლს, აგრეთვე,* **სინისა სიკმანი და სლობოდან ჯინოვიჩი** *არიან ორგანიზაცია* ***„ოტპორის“*** *ყოფილი წევრები, რომელიც სერბეთში წარმოადგენდა ქართული ორგანიზაცია* ***„კმარას“*** *ანალოგს“.*

***სუს-ის განცხადების თანახმად, ხსენებულმა პიროვნებებმა თბილისში ჩამოსვლის მიზეზად კულტურის სფეროში მოღვაწე ჯგუფებისათვის ტრენინგების ჩატარება დაასახელეს, მაგრამ გამოძიებით დადგინდა, რომ „კანვასის“ წარმომადგენელთა ვიზიტის რეალური დანიშნულება იყო კომუნიკაციის დამყარება იმ ახალგაზრდულ ჯგუფებთან და გავლენიან არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც საქართველოში ამა წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების დასაყრდენ ბირთვად უნდა იქცნენ.***

*როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აცხადებს:*

*„2023 წლის 26-29 სექტემბრის პერიოდში თბილისში მდებარე სასტუმროში „იბისი“ მიმდინარეობდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო აქტივისტების წარმომადგენლების, კერძოდ, ერთ-ერთი დიდი ჯგუფის გადამზადება,* ***რომლებმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის პროცესების მომზადებასა და განხორციელებაში.*** *აღნიშნულ პირებს ჩაუტარდათ სწავლება,* ***თუ როგორ უნდა იმოქმედონ სამიზნე ჯგუფების, კერძოდ, ხელისუფლების, მართლმადიდებლური ეკლესიის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სხვა უწყებების წინააღმდეგ,*** *ასევე, გზებზე პიკეტების და ხელოვნური საცობების შექმნისა და ადმინისტრაციული შენობების წინ კარვების მოწყობის ტექნიკაზე“.*

***სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძესთან:***

— ძალიან აღმაშფოთა ამერიკის საელჩოს ცინიკურმა განცხადებამ — სერბების ორგანიზაციამ, **იუსაიდის** დაფინანსებით, ტრენინგი კიბოთი დაავადებული ბავშვების დედებს ჩაუტარაო, არადა, **სუს**-ის მიერ გავრცელებულ ჩანაწერში მთელმა საქართველომ მოისმინა, რომ ტრენინგი რევოლუციისა და გადატრიალების მოწყობის მეთოდებს ეხებოდა. **სამარცხვინოა, როცა ამერიკის საელჩო ასეთი განცხადების გაკეთებას კადრულობს და ქართველი საზოგადოება გონებაჩლუნგი ჰგონია!**

**— თავად ის ფაქტი, რომ რევოლუციისა თუ სახელმწიფო გადატრიალების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგი აშშ-ის სახელმწიფო ორგანიზაციის — იუსაიდის მიერ იყო დაფინანსებული, თქვენთვის რისი მანიშნებელია?**

— ცხადზე უცხადესია, რომ ამერიკის ხელისუფლებას საქართველოში 2003 წლის გამეორება და მორიგი „ფერადი რევოლუციის“ მოწყობა უნდა! თუმცა, რაც ჩვენთან 20 წლის წინათ გააკეთეს, **„ვარდების რევოლუცია“ კი არა, „მორფინისტების გადატრიალება“ იყო!**

**— რას გულისხმობთ?**

— სააკაშვილს ბავშობიდან ვიცნობ, ჩემ თვალწინ იზრდებოდა და კარგად ვიცი, როგორი მშიშარაც ბრძანდება... იმ ე.წ. რევოლუციის დროსაც შიშისაგან ცახცახებდა და პარლამენტის შენობაში შეჭრას ვერ ბედავდა, მაგრამ მის გარშემო თავმოყრილმა მორფინისტებმა ძალისძალად, მუჯლუგუნების კვრით შემოაგდეს დარბაზში. **მეორე დღეს პარლამენტში რომ მივედი, შენობა ერთჯერადი შპრიცებით იყო**





> **„როგორც კი ირაკლი ღარიბაშვილმა, ირაკლი კობახიძემ, თეა წულუკიანმა საქართველოს ეროვნული ინტერესები, ქართველი ერის კულტურისა და ტრადიციების მნიშვნელობა წამოსწიეს წინ და განაცხადეს — ჩვენ გავაკეთებთ მხოლოდ იმას, რაც ქართველ ხალხს სჭირდებაო, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მაშინვე მიუღებელი გახდა ამერიკისათვის!“**

## კვირგვინოსნები

**ვატო შაქარიშვილი**
*„საქართველო უპირველეს ყოფლისა“ დამფუძნებელი*



რაც დრო გადის, უფრო მკაფიოდ იკვეთება **2012 წლის პირველი ოქტომბრის გამარჯვების მნიშვნელობა.** რთულად, მაგრამ მაინც გამოვიარეთ ეს წლები და მივიღეთ **პირველი დეკადა უახლეს ისტორიაში — ომის გარეშე.**

„იმედინიუსი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



2024 წლის არჩევნებზე საზოგადოება **დიდ ცვლილებებს არ უნდა ელოდოს.** მთავარია, ერთპარტიული მმართველობა დავასრულოთ. **თუ კოალიციური ხელისუფლება შედგება, რისი რეალური შანსიც არის,** ქვეყანაში ბევრი რამის პოზიტიურად შეცვლის შესაძლებლობა გაჩნდება.

„კვირის პალიტრა“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



დაახლოებით ხუთი წლის წინ **სალომე ზურაბიშვილი** ჩვენთვის **პრეზიდენტი** იყო და ოპოზიციისთვის — **რეზიდენტი,** დღეს კი პირიქით არის.

„იმედინიუსი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



სამწუხაროდ, **საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციის პირველი დამრღვევია.**

„იმედინიუსი“



# „სალომე ზურაბიშვილი ისე იქცევა, არათუ პრეზიდენტობიდან გადაყენებას, საქართველოდან გაძევებას იმსახურებს!“

 სავსე, რადგან სააკაშვილის მორფინისტების ამალამ ლამე იქ გაათია. სწორედ მაშინ დავდექი ტრიბუნასთან და განვაცხადე — საქართველოში არავითარი **„ვარდების რევოლუცია“** არ მომხდარა, ეს **„მორფინისტების გადატრიალება“** არის-მეთქი!

რა უბედურება მოუტანა საქართველოს **„მორფინისტების გადატრიალებამ“,** ძალიან კარგად ვიცით და ამერიკას უნდა, კვლავ იგივე დღე დაგვაწიოს!

**— მაინც რატომ არის მიუღებელი აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციისათვის „ქართული ოცნების“ ხელისუფლება?**

— აშშ-ის ხელისუფლებისა და საელჩოს მთავარი საქმე ყველა ქვეყანაში ერთია — **ნებისმიერი ხერხით ჩაქოლონ ეროვნული ცნობიერება და არ გაახარონ ის ხალხი, ვისაც საკუთარი სამშობლო უყვარს!** შესაბამისად, ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც ამერიკის ყურმოჭრილი მონა არ იქნება და საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს ამერიკის ინტერესებზე მაღლა დააყენებს, ამერიკის მიერ დამხობილი იქნება ან სამხედრო ძალით, ან ე.წ. ფერადი რევოლუციით!

რატომ უწოდეს ამერიკელებმა სააკაშვილის „დემოკრატიის შუქურა“? რატომ აუნთო მას ამერიკამ მწვანე შუქი მიტინგების სისხლში ჩახშობაზე, უდანაშაულო ახალგაზრდების ქუჩაში დახოცვაზე, ციხეებში პატიმრების წამება-გაუპატიურებაზე, ბიზნესის დატერორებაზე და ყველანაირ დანაშაულზე? **იმიტომ, რომ სააკაშვილი ამერიკის ყურმოჭრილი მონა იყო და თუ უბრძანებდნენ — ერთი კაცი მოკალიო, ორს მოკლავდა, რათა ბატონი ესიამოვნებინა!**

სამაგიეროდ, როგორც კი **ირაკლი ღარიბაშვილმა, ირაკლი კობახიძემ, თეა წულუკიანმა** საქართველოს ეროვნული ინტერესები, ქართველი ერის კულტურისა და ტრადიციების მნიშვნელობა წამოსწიეს წინ და განაცხადეს — ჩვენ გავაკეთებთ მხოლოდ იმას, რაც ქართველ ხალხს სჭირდებაო, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მაშინვე მიუღებელი გახდა ამერიკისათვის!

**— ამიტომაც ამზადებენ ახლა ე.წ. ფერად რევოლუციას და გეგმავენ საქართველოს ხელისუფლების დამხობას?**

— დიახ, ასეა და ვინც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს, პირდაპირ ვეუბნები — **სანამ ხელისუფლებას დაამხობთ, ქართველი ხალხის დამხობა მოგიწევთ, რადგან ქართველი ხალხია მთავარი ძალა, რომელიც წინააღმდეგობას გაგიწევთ და ნაცებად წოდებული სისხლიანი ნაძირალების დაბრუნების საშუალებას არ მოგცემთ!**

აქვე, საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებ — კანონის მთელი სიმკაცრით იმოქმედეთ და ციხეში ჩაყარეთ ყველა, ვინც სახელმწიფოს წინააღმდეგ თუნდაც ნახევარი ნაბიჯის გადადგმას გაბედავს!

თუ ხელისუფლება სისუსტეს გამოიჩენს, ეს მარტო მას კი არა, ქვეყანას დაღუპავს! **თუ ახლა მთავრობა შეაშინეს და გააჩუმეს, საქართველოს საქმე დამთავრებულია!**

**— ალბათ, თვალს ადევნებდით გასულ კვირას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესს... რას იტყვით სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტთან დაკავშირებით?**

— ამ უზნეო დედაკაცზე ბევრი ლაპარაკი არ მინდა, მხოლოდ ერთს ვიტყვი — **სალომე ზურაბიშვილი ისე იქცევა, არათუ პრეზიდენტობიდან გადაყენებას, საქართველოდან გაძევებას იმსახურებს!**

**— სხვათაშორის, ზურაბიშვილის იმპიჩმენტთან დაკავშირებული აჟიოტაჟის ფონზე, ე.წ. ოპოზიციურ მედიაში უკვე გაკრთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტობისათვის ემზადებოდეს! რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

— **თუ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტობას გადაწყვეტს, ამას ორივე ხელით მივესალმები!** ივანიშვილის სახით ღარიბაშვილს გონიერი და პატრიოტი პრეზიდენტი ეყოლება გვერდით, ეს კი საქართველოს გადარჩენას ნიშნავს!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## „ვინც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს, პირდაპირ ვეუბნები — სანამ ხელისუფლებას დაამხობთ, ქართველი ხალხის დამხობა მოგიწევთ!“



*მაშინ, როცა საზოგადოების მთელი ყურადღება ფარცხალაძის დასანქცირება-არდასანქცირებასა და ევროკავშირის მიერ დაწესებული რეკომენდაციების შესრულებაზეა გადატანილი, ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი აცხადებს, რომ ისტორიის უკეთ გაგებისათვის ხანდახან ლენინის ტომეულებიც უნდა გავიხსენოთ:*





# თუ არ მოგვცემენ სტატუსს, თავში ქვა უხლიათ!

— ახლახან დედაჩემს ვთხოვე, მამაჩემის წიგნებიდან ლენინის, სტალინის, ტროცკის ყველა ტომი და ყრილობების მასალები მოეწოდებინა. მამა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი გახლდათ და მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო პოლიტეკონომია, რომ ამ საგნით თავის დროზე მეც დამაინტერესა.

**— დღეს, 21-ე საუკუნეში, რატომ ჩათვალეთ საჭიროდ ლენინისა და სტალინის ტომეულების ხელახლა გაცნობა?**

— **იქ ვიპოვე პასუხი ბევრ შეკითხვაზე, რაც თანამედროვე პოლიტიკაში ხდება.** ახლახან წავაწყდი ინფორმაციას, რამაც გადამაწყვეტინა, კიდევ ერთხელ გადამეკითხა ლენინის ტომეულები. 47-48 წლებში ტრუმენმა თავისთან მიიწვია ამერიკის სამეცნიერო ელიტა, მათ შორის, მათემატიკოსი **ჯონ ფონ ნეიმანი,** რომელიც მაშინ კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების თემაზე მუშაობდა. მთავარი თემა საბჭოთა კავშირისთვის წინააღმდეგობის გაწევა იყო. როცა ყველა ქიმიურ იარაღზე საუბრობდა, ჯონ ფონ ნეიმანმა ასეთი რამ თქვა — საბჭოთა კავშირს ერთი უძლიერესი ორგანიზაციული იარაღი აქვს, რომლის შემქმნელიც მე-20 საუკუნის უდიდესი პოლიტიკური კონსტრუქტორი **ვლადიმერ ილიას ძე ლენინია** და ამ ორგანიზაციულ იარაღს — **პროფესიონალ რევოლუციონერთა პარტია** ჰქვია. ეს არის უდიდესი ძალა, რომელიც აუცილებლად უნდა შევისწავლოთ! ამის შემდეგ, ტრუმენის ბრძანებით, შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც **პროფესიონალ რევოლუციონერთა პარტიის** არსი შეისწავლა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართა. ორი წლის შემდეგ დაიწერა საიდუმლო მოხსენებაც, რომელსაც ფარდა 2005 წლისთვის აეხადა და დადასტურდა, რომ ეს იარაღი ნამდვილად იქნა გამოყენებული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ე.წ. პერესტროიკის დროს.

მეორე ყრილობის მასალების გაცნობისას ვნახე, რომ ლენინმა მართლაც შექმნა **პროფესიონალ რევოლუციონერთა** ჯგუფი — იდეოლოგიური ბირთვი, რომელიც პარტიაზე მაღლა იდგა.

როგორც გავიგე, რუსეთში მხოლოდ „მგიმოში“ და საფინანსო ეკონომიკურ ინსტიტუტში ასწავლიან პოლიტეკონომიას და ლენინიზმის ანალიზს, მაშინ, როცა ამერიკაში დღემდე ყველა ელიტურ საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ისწავლება. **ამ ორგანიზაციული იარაღის გამოყენებით ეწყობა დღევანდელი ფერადი პერმანენტული რევოლუციები.** გახსოვთ, ალბათ, ვამბობდით, ესენი ნეობოლშევიკები არიან, ტროცკისტებსაც ვეძახდით.

**— დიახ, ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში ტროცკის წიგნებიც კი მიიტანეთ...**

— ზუსტად ამ მეთოდებით მოქმედებდნენ 2003 წელს **„კმარასა“** და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით. წლები გავიდა, მაგრამ მეთოდები არ შეცვლილა. **ამერიკა დღესაც ამ იარაღს იყენებს პოსტსაბჭოთა სივრცეში რევოლუციების მოსაწყობად.** პროფესიონალ რევოლუციონერთა კასტა პროცესებს მართავს თუნდაც უკრაინაში — ისიც გეხსომებათ, შუა აზიაში ფერადი რევოლუციის მოწყობა რომ უნდოდათ, ვინ მიავლინეს? — გივი თარგამაძე და სხვა ბობოლა ნაციონალები! როგორ **ფიქრობთ, უკრაინაში რატომ ისხდნენ ეს ადამიანები თვეობით? თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ ერთმანეთს. „კანვასიც“ ამ პროცესის თანამონაწილეა!**

ამასწინათ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა გაკვირვება გამოთქ-

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

## „დემოკრატიის პენუარის ტარებით აღარავინ ტყუვდება!“

## კვირგვინოსნები

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



არჩევნებში **„ოცნების“ მთავარი კონკურენტი სალომე ზურაბიშვილი** იქნება.

„რეზონანსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



შესაძლოა, **„ოცნებამ“ სხაპასხუპით არ შეასრულა 12 პუნქტი,** მაგრამ ვინ შეასრულა? **მოლდოვას აქვს შესრულებული თუ უკრაინას?**

„ახალი თაობა“

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**სალომე ზურაბიშვილს** თუ დამაცვევინებდით, როგორ წარმომედგინა — **ვეწინააღმდეგები მის იმპიჩმენტს, რადგან პატივს ვცემ პრეზიდენტის ინსტიტუციას,** რომელიც სათრევად გახადეთ კანდიდატის სტატუსის წინ.

„ინტერპრესნიუსი“

**გივი სიხარულიძე**
*მსახიობი, მწერალი, მოგზაური*



ამ მთავრობას ვემადლიერები იმის გამო, რომ **ომში არ ჩაგვრთო!** ჩემი ერი გადარჩა, რომ **დღეს სისხლში არ ვართ მოთხვრილი...** სინამდვილეს ვერსად გავექცევით: **ამ განსაცდელისგან „ქართულმა ოცნებამ“ გვიხსნა.**

„კვირის პალიტრა“

**დათო ლომთათიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



კანდიდატის **სტატუსის მონიჭებისთვის პრობლემის შექმნას** ოპოზიცია ცდილობს!

„ახალი თაობა“



# მაია ნიკოლაიშვილი: ერდოღანმა გიულენის ყველა მომხრე დაიჭირა და მათ მიმართ დაუნდობელი რომ არ ყოფილიყო, წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა?

***დასაწყისი მე-11 გვერდზე***

ვა — ყველაფერი გაშიფრულია, აგენტები რომ ჩავარდებიან, გეგმები იცვლება, ესენი კი მაინც არაფერს ცვლიანო. არც არაფერს შეცვლიან, იმიტომ, რომ **ლენინიზმის ანალიზის საფუძველზე მოქმედებენ, ინსტრუქციები გაწერილია — რის მერე რა უნდა მოხდეს.** ისინი უკან არ დაიხევენ, თუ არ იქნება გამოყენებული ერდოღანის ტაქტიკა!

**— რას სთავაზობთ ხელისუფლებას, მკაცრად გაუსწორდეს ე.წ. რევოლუციონერებს?**

— დიახ, ეს არის ის გზა, რომლითაც შეიძლება საქართველოში არეულობა თავიდან ავიცილოთ. ერდოღანმა **ფეთჰულა გიულენის** ყველა მომხრე დაიჭირა და მათ მიმართ დაუნდობელი რომ არ ყოფილიყო, წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა? ხელისუფლების შეცვლა არის ყველაზე ცოტა რამ, რისი მიღწევაც მათ საქართველოში სურთ.

**— მაინც, რისი მიღწევა სურთ?**

— სიტუაციის არევა სამხრეთ კავკასიაში! ომი, რომელიც კოლექტიურ დასავლეთსა და რუსეთს შორის მიდის, არ არის მხოლოდ რესურსებისთვის, ეს არის ბრძოლა გეოპოლიტიკური დერეფნებისთვის. სამხრეთ კავკასიაში სიტუაციის არევით ჩრდილოკავკასიაც ავტომატურად აირევა, მასში ჩაერთვება თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი, რაც სერიოზული დარტყმა იქნება ჩინეთისთვისაც, რომლისთვისაც ჩვენ შუა დერეფანი უნდა ვიყოთ. სიტუაციის არევით ეს კონსტრუქცია მთლიანად ჩამოიშლება. ამიტომაც ვამბობ — **ხელისუფლების შეცვლა მათი გეგმის მხოლოდ ნაწილია, ამას მოვლენების მთელი კასკადი მოჰყვება.** ერდოღანს რაც უნდა დიქტატორი ვეძახოთ, მან ქვეყანა გადაარჩინა. დღეს დიქტატორი და ჰეგემონი ვინც არის, ყველამ კარგად ვიცით. დემოკრატიის პენუარის ტარებით აღარავინ ტყუვდება!

ასევე, კარგი იქნება, თუ გამოვიყენებთ **ლუკაშენკოს ტაქტიკას.**

**— ამჯერად რა გაქვთ მხედველობაში?**

— მასაც უმზადებდნენ რევოლუციას, მაგრამ უფრო უმტკივნეულოდ აიცილა თავიდან. ბელარუსში ყველა ვიზიტორი ოფიციალურად კონტროლდება. ჩასული სტუმრის რეგისტრაცია ხდება. თუ ბინას ქირაობ, სამი ან ხუთი დღის შემდეგ საპასპორტო განყოფილებაში უნდა მიხვიდე ან ელექტრონულად დარეგისტრირდე — ამა და ამ მიზნით ჩამოვედი და ამა და ამ მისამართზე ვცხოვრობო. არავინ არაფერს გიშლის, უარს არაფერზე გეუბნებიან, უბრალოდ, როგორც უცხოელი ვიზიტორი, მათ კონტროლქვეშ ხარ. **უცხოელები, რომლებიც საქართველოში შემოდიან და გადიან, აუცილებლად უნდა იყვნენ გაკონტროლებული.**

**— წარმოგიდგენიათ, რა მოჰყვება ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას ლიბერალური ფრთის მხრიდან?**

— ჩვენ მათ უნდა ვუსმინოთ, თუ იმაზე ვიფიქროთ, რა სჭირდება ქვეყანას?! როცა **სუს**-ის ლანძღვას ვისმენ, მექმნება შთაბეჭდილება, დიდი პოლიტიკური საბავშვო ბაღია და ყველა ამ ბაღის დირექტორს ეჩხუბება. ქვეყნის ხვალინდელ დღეზე საუბარი ხელისუფლების კრიტიკანობამ შეცვალა — **სუს**-მა რატომ არ მოგვაწოდა არგუმენტებიო? მაინტერესებს — ესენი საერთოდ ნორმალურები არიან? როდის იყო **სუს**-ი მოსახლეობას მიმდინარე გამოძიებაზე ანგარიშს აბარებდა, თანაც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე?! ოპოზიციონერი პოლიტიკოსები იმდენად შევიდნენ იდიოტის როლში, რომ თვითონაც აღარ იციან, რას მიედ-მოედებიან!

**— ფიქრობთ, სახელმწიფო გადატრიალება ამჯერად შეიძლება რეალურად მოხდეს?**

— **სუს**-მა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შესახებ განცხადებით არამარტო საზოგადოება, ის ადამიანებიც გააფრთხილა, ვინც ამას აპირებს. მოდით, პირდაპირ ვთქვათ — **დღეს ჩვენი სუვერენობა პირობითია. ამერიკის შეერთებული შტატების ვასალი ევროპა გვმართავს, გვიგზავნის რეკომენდაციებს და გვასწავლის ჭკუას, ანუ რეალურად ვასალის ვასალი ვართ.**

ქვეყნის უშიშროება ბოლო რამდენიმე წელია, რაც დაიბადა, მანამდე ქართული უშიშროების სამსახური დიდომში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში იყო. დღეს ეს უწყება დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს და კოორდინაციაშია არა საელჩოსთან, არამედ მეზობელ სახელმწიფოებთან. ასე რომ არ იყოს, აქამდე ამ ქვეყანას დედა ეტირებოდა, **კელი დეგნანს** შარვლიდან ამოხტომები არ დასჭირდებოდა!

ამ პირობებში **სუს**-ი აკეთებს გარკვეულ მინიშნებებს — ჩვენ თქვენი გეგმების შესახებ ვიციითო. ნახეთ, რა საინტერესო ფრაზა თქვა უშიშროების სამსახურის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა — **„კანვასის“ ლიდერებმა სწორი ინფორმაცია არ მოგვაწოდესო.** როდის იყო სპეცსამსახურები მოსახლეობას ეუბნებოდა, მართალი ინფორმაცია მიაწოდეს თუ არა? ან ასე უცებ უშვებდნენ ქვეყნიდან? მე პირიქით მგონია, მათ **სუს**-ს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს და ამათ ამ ერთი ფრაზით ნამუსი შეუნახეს.

კიდევ ერთი, ძალიან საინტერესო მომენტია ხაზგასასმელი, რომელზეც სათანადო ყურადღება არავის გაუმახვილებია.

**— მაინც?**

— ჭიათურაში ექსპერიმენტული აფეთქებების კომენტირებისას დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის ძალიან აღელვებული დირექტორი **თეა გოდოლაძე** ამბობს — ვერაფერს ვიტყვი, რა კომენტარი უნდა გავაკეთოო... ქალი, რომელიც ყველა წვრილმანსაც კი საოცრად აზვიადებს და ხალხში პანიკას





**„ამერიკა დღესაც ლენინიზმის ანალიზს იყენებს იარაღად პოსტსაბჭოთა სივრცეში რევოლუციების მოსაწყობად!“**



თესავს, ხმას არ იღებს. უცებ 2017 წლის კადრები ვრცელდება, სადაც ამერიკელ კოლეგასთან ერთად ტყიბულსა და ჭიათურაში ექსპერიმენტული აფეთქებების განხორციელებას გეგმავდა. არ ფიქრობთ, რომ ესეც მინიშნება იყო — ჩვენ ამის შესახებაც ვიცითო?!

ბოლო დროს საქართველოში მომხდარ ბუნებრივ კატასტროფებში რატომღაც ყველგან **თეა გოდოლაძე** აქტიურობს, არადა, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორობა მას არ აძლევს უფლებას, ასეთი კატეგორიული განცხადებები აკეთოს. ის, ფაქტობრივად, ყველა მეცნიერს უპირისპირდება და დაჟინებით ითხოვს უცხოელების ჩამოსვლას. შემთხვევით იმ უცხოელების ხომ არა, ვისთანაც თანამშრომლობს?! ვიგებთ, რომ ექსპერიმენტები უნდოდათ ჩაეტარებინათ იმ ჭიათურაში, რომელიც მიწის ქვეშ მთლიანად გადათხრილია.

ძალიან არ მინდა ამ კონტექსტში შოვის ხსენება, მაგრამ ამასწინათ მეგობრები ამ თემის ირგვლივ ვსაუბრობდით და ყველას თვალწინ დაგვიდგა იქაური ტრაგედია. როგორც ქართველი მეცნიერები ამბობენ, სამი სხვადასხვა ფაქტორის ზედდება მოხდა, რაც უიშვიათესი მოვლენა ყოფილა. სასამართლო მედიკოსის ენაზე რომ გადმოვთარგმნო, ეს იგივეა, ერთმა კაცმა სამი სხვადასხვა იარაღით მოიკლას თავი.

ვიცით, რომ აჭარასა და გურიაში ხშირია მეწყერი, მაგრამ ბოლო დროს რატომღაც იქ არის ეპიცენტრი, სადაც, წესით, ტრაგედია არ უნდა მოხდეს.

**— ანუ რა ლოგიკურ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ?**

— მე არაფერს ვამტკიცებ, უბრალოდ, ფაქტებს ერთმანეთს ვუკავშირებ. კარგი იქნება, თუ გამოვალთ მიამიტური პოზიდან და ერთად დავფიქრდებით ამ ყველაფერზე.

ვიდრე საქართველოში ლუგარის ლაბორატორია გაიხსნებოდა, დიდი ხნით ადრე დაიწყეს დაზვერვითი სამუშაოები. ამერიკის საელჩოს თანამშრომლებად სამხედრო ბაქტერიოლოგები მუშაობდნენ. შტატებიდან არავის გამოუგზავნია მილიონიანი ლაბორატორია, ის სამხარაულმა იყიდა. სიმართლე გითხრათ, თავიდან მიკვირდა — **ვაზიანის ვერტმფრენების ანგარის დათვალიერებას რა კავშირი აქვს კრიმინალისტურ ლაბორატორიასთან-მეთქი?** ეს იყო საფარველი. ვითომ ერთს აკეთებდნენ, სინამდვილეში ლუგარის სისტემა მომზადდა. აქაც ამ ექსპერიმენტული აფეთქებებით, იქნებ, სულ სხვა რაღაც მზადდება?!

**სალებავების შესხმა, სირცხვილის კორიდორები რომ აღარ მუშაობს, ეს მათაც კარგად იციან. ხომ შეიძლება არაძალადობრივს სხვა მეთოდებიც დაამატონ?!** ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ ერთი წამით წარმოიდგინეთ, შოვისნაირი ტრაგედია რომ მოხდეს რიკოთზე და ჭიათურაში, ცენტრალური და სარეზერვო მაგისტრალები ჩაიკეტოს, მთელი პოლიცია და ჯარი ხომ სამაშველო ოპერაციაში ჩაერთვება და თბილისი მოშიშვლებული დარჩება?!

შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც იმ პერიოდში მომაკვდავი მამა ჰყავდა, პრეტენზიებს უყენებენ, რატომ არ ამოვიდაო. შოვში რომ ასულიყო, რას იზამდა, კამერების წინ ნიჩაბს აიღებდა ხელში? სამაშველო სამსახურის უფროსი ბევრად უფრო კომპეტენტურია ამ დროს, ვიდრე მინისტრი.

პირდაპირ ვთქვათ — დღეს მტრის მეთოდებში მხოლოდ სალებავის შესხმა და კედლებზე მუშტების ბრახუნი არ შედის! და კიდევ: **ტექნოგენური კატასტროფის გამოსაწვევად 500 კილოგრამი კი არა, მცირე ტროტილი და ერთი დრონიც საკმარისია.** ვენაცვალე იმ გულანთებულ პატრიოტებს, რომლებიც „ანტიმაედანს“ შეუერთდნენ, მაგრამ დღეს დრონების ომია, მუშტებისა და ტანკების ერა წავიდა!

ყარაბაღიდან 120 ათასი დევნილია წამოსული. ვიცით კი, ვინ შემოჰყვება მათ? ამასწინათ სომხეთში რამდენიმე ვითომ უკრაინული ოჯახი დაუკავებიათ, რომლებიც გაწვრთნილი მებრძოლები აღმოჩნდნენ. ვიცით კი, რომ ისინი ნამდვილად სომხეთში იყვნენ შეგზავნილნი სიტუაციის ასარევად, თუ აქ აპირებდნენ შემოპარვას?!

**— ნაციონალებს სასაცილოდ არ ჰყოფნით რევოლუციის თემა — პარლამენტის სხდომებზე პირდაპირ აცხადებენ — ნუ გეშინიათ, რევოლუცია არ მოდისო...**

— რომელიღაც ობიექტის აფეთქება რომ გქონდეთ დაგეგმილი, გაგიგონ და გითხრან, შენ ამის აფეთქება გინდაო, რას ეტყოდით? კი, ნამდვილად ვაპირებდიო?!

ვითომ ცინიკურად იცინიან **სუს**-ის განცხადებებზე, სინამდვილეში სიმწრის სიცილია. თავის დროზე მეც დამაბრალეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, მეტიც, იძულებული გამხადეს, არარსებული დანაშაული მეღიარებინა. ამიტომ ძალიან დიდი დაკვირვებით ვუყურებ ასეთ ბრალდებებს. მათ სახეზე აწერიათ ყველაფერი.

მაშინ, როცა გეოპოლიტიკური რეალობა მთლიანად იცვლება, რა დროს ფარცხალაძის დასანქცირებაზე ან სტატუსის მიღებაზეა საუბარი?! თუ არ მოგვცემენ სტატუსს, თავში ქვა უხლიათ!

მოკლედ, გზასაყარზე ვდგავართ — ან დავიქცევით, ან ავშენდებით! დიახ, **თუ ეს პერიოდი მშვიდობით გავიარეთ, ჩათვალეთ, საქართველო ახლო მომავალში ძალიან ძლიერი და პერსპექტიული სახელმწიფო გახდება!**

## „ტექნოგენური კატასტროფის გამოსაწვევად 500 კილოგრამი კი არა, მცირე ტროტილი და ერთი დრონიც საკმარისია!“

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# გენერალისიმუსი

№57-58 (225-226) ★ 2023 წლის 9 ოქტომბერი ★ გამოდის 2003 წლიდან


## თვალი უჭირავთ! ★

*თურქეთ-აზერბაიჯანის* ***ტრიუმფალურმა გამარჯვებამ, რასაც მთიანი ყარაბაღიდან სომხების გამოდევნა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოჰყვა, აზერბაიჯანელ საზოგადოებაში, როგორც ჩანს, გააჩინა ცდუნება, რომ სომხეთის შემდეგ ნებადართული და შესაძლებელია, თავში საქართველოსაც წამოუთაქონ და ძაღლთაპირი სააკაშვილის მიერ „სოკარის“ წილის სანაცვლოდ გაყიდულ და ქართველთა სისხლით მორწყულ ჩიჩხიტურის სტრატეგიულ სიმაღლეებს ახალი შენაძენი შემატონ.***



*აზერბაიჯანის პრეზიდენტი* ***ილჰამ ალიევი*** *და თურქეთის პრეზიდენტი* ***რეჯეფ თაიფ ერდოღანი***

# ახია, რუსის თავს, რომ 2020 წელს ბაქოში სომხეთზე გამარჯვების პარადი ერდოღანმა ჩაიბარა!




ამ დღეებში ელექტრონულ მედიაში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის საბჭოს თავმჯდომარემ ვინმე **ელმედდინ ბეჰბუდმა** გამოაქვეყნა **ვითომდა 1918 წლით დათარიღებული ფრანგული რუკა, სადაც სომხეთის ნახევარი „აზერბაიჯანად“ არის გამოცხადებული, ხოლო ქვემო ქართლი თბილისამდე და ასევე ქიზიყი, სავარაუდოდ, „სადავო“ ტერიტორიად არის მიჩნეული და რუკაზე მთელი ეს ტერიტორიები შტრიხებით არის დატანილი.**



ეტყობა, **ელმედდინ ბეჰბუდსა** და მის ხილულ თუ უხილავ პატრონებს მადა ჭამაში მოუვიდათ და თუ ეს სიგიჟე აზერბაიჯანში ვინმემ დროზე არ აღკვეთა, **ალბათ, შორს არ არის ის დრო, როცა შოთა რუსთველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად რომელიმე მეპამიდვრე ან მეკარტოფილე აზერბაიჯანელს ზუსტად ისევე გამოგვიცხადებენ, როგორც დავითგარეჯისა და მთიანი ყარაბაღის უნიკალური ქართული და სომხური ისტორიული ძეგლები უსირცხვილოდ გაასაღეს „ალბანური ქრისტიანული კულტურის“ მემკვიდრეობად.** აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რასაც დაახლოებით ერთი წლის წინათ დიდი ქართველი ქორეოგრაფი, აწ განსვენებული **ბელოდი ფოცხიშვილი** საგაზეთო საუბარში აღშფოთებული მეუბნებოდა:

> ***„ოსებმა ჩვენი „მთიულური“ ურცხვად მოიპარეს და მას „ტანეც ოსეტინსკოე გორცევ“*** *დაარქვეს! ხოლო* ***აზერბაიჯანელებმა ჩვენს „ფარიკაობას“ სახელი შეუცვალეს და „აზერბაიჯანსკი ტანეც საბლიამი“*** *უწოდეს!*
>
> *მოკლედ,* ***დავით ჯავრიშვილის, ჯანო ბაგრატიონის, სუხიშვილებისა*** *და, მათ შორის, ჩემი შექმნილი ცეკვებიც ამ ხალხებმა თავისად „გამოაცხვეს“, მიითვისეს და სახელებიც შეუცვალეს. როდის იყო, აზერბაიჯანელებს ჩოხა ეცვათ, ლეკვერთხები, ქამარი და ხანჯალი ეკეთათ? როცა ამის შესახებ ვთქვი, მიპასუხეს — ახლა ამის დრო არ არის, შესაძლოა, აზერბაიჯანმა გაზი შეგვიწყვიტოსო!“*

მოკლედ, ჩვენი საქმე ასეა: **როცა საქართველოს პარლამენტში ბოკერიას, უგულავასა და ბაქრაძის „ევრონაცების“ წარმომადგენლად ქართული გვარ-სახელის მქონე მტერი — ტარიელ ნაკაიძე გიზის, რომელსაც 1999 წელს „თურქეთის გმირთა სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ აქვს დამთავრებული და აცხადებს — ტაო-კლარჯეთის ქართული ეკლესიების ბედი არ მაინტერესებსო!** — იმის შემდეგ ნუ გაგიკვირდებათ, თუ საქართველოს ისტორიას წაგვიბილწავენ!

როცა ქართველების ბოზებად და ბომჟებად გამომცხადებელ თურქ მწერალს **ორჰან ფამუქს** თბილისში, რუსთაველის თეატრში, გადაგვარებული და გამანქურთებული ქართველები ფეხზე წამოუდგებიან და ოვაციებს გაუმართავენ, ხოლო ვინმე **ფრანკლინელი თინა შარაშენიძე გაშიშვლდება, ჩაიხდის, ვიღაც ჩაკვეტაძის საფლავს დააშარდავს და ამ ყველაფერს მერე სოციალურ ქსელებში გამოფენს,** ნუ გაგიკვირდებათ, თუ **ვლადისლავ არძინბას, ანდრეი სახაროვის, კოკოითის, შევარდნაძისა** და **შაჰ-აბასის ოცნებები** საქართველოსთან მიმართებაში ასრულდება!

როცა არსებობს **ლევან ბერძენიშვილი,** რომელიც დავით აღმაშენებლის ყველა შთამომავალს — დეგენერატად, აკაკისა და ვაჟას — ქალების გამაუპატიურებლად, ხოლო ერეკლეს მოღალატედ აცხადებს და ამაზე არც სახელმწიფოს და არც საზოგადოებას რეაქცია არა აქვთ, ნუ გაიკვირვებთ, თუ საქართველო კრწანისის ველზე გამუდმებული მარცხისთვის იქნება განწირული!

დაბოლოს, **როცა „ჭუტელების“ ტელეკანალიზაციაში ტაშს უკრავენ ივერი მელაშვილს, რომელმაც ვინმე ნატალია ილიჩოვასათან ერთად ლავრენტი ბერიას მიერ შექმნილი „ენკავედეს“ რუკები გადამალა და სააკაშვილის მითითებით, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დავითგარეჯის მონაკვეთი ჩვენს საზიანოდ გაამრუდა, ცხადია, აუცილებლად გამოჩნდება აზერბაიჯანელი ელმედდინ ბეჰბუდი, რომელიც იტყვის, რომ ქვემო ქართლი თბილისამდე და ქიზიყი აზერბაიჯანის საკუთრებაა!**

სად იყო აზერბაიჯანი მაშინ და ვის მხარდამხარ იბრძოდნენ **ელმედდინ**

***გაგრძელება მე-2 გვერდზე***

# სომხეთზე გამარჯვებული და ჩიჩხიტურის მიმტაცებელი აზერბაიჯანი საქართველოს ქვემო ქართლსა და ქიზიყში უჩიჩხინებს!

*ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ*

# ახია, რუსის თავს, რომ 2020 წელს ბაქოში სომხეთზე გამარჯვების პარადი ერდოღანმა ჩაიბარა!

ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲐᲜᲔᲑᲔᲗ!



**ᲑᲔᲯᲑᲣᲓᲘᲡ** გენეტიკური წინაპრები, როცა **1399 წელს კახეთ-ჰერეთში შემოჭრილ თემურლენგს ᲥᲘᲖᲘᲧᲘᲡ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ ᲮᲘᲛᲨᲘᲐ თავდაუზოგავად ებრძოდა,** ეს უკვე იმ უსინდისო ისტორიამ განსაჯოს, რომელიც წიწამურშიც დუმდა, ძველ ხიბულაშიც, 1993 წლის 27 სექტემბრის სოხუმშიც და ოჩამჩირეშიც, სადაც ამ დღეებში პუტინმა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა გახსნა, ხოლო აფხაზეთის ომის დროს, გენერალ **ᲒᲣᲯᲐᲠ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მტკიცებით, **კიტოვანის მეხინკლე ᲐᲙᲘᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲥᲐᲫᲔᲛ** და მისთანა ბანდიტებმა პოზიციები მიატოვეს და სამეგრელოსკენ გაქუსლეს, რათა მშვიდობიანი მოსახლეობა ეძარცვათ!

ჩვენს ერთგულ მკითხველს შევახსენებთ, რომ **ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეული მზისქვეშეთში არასოდეს არსებობდა და ისეთივე ხელოვნური ქმნილებაა, როგორც, მაგალითად, „ᲙᲐᲖᲐᲜᲢᲘᲞᲘ“...**

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲔ-20 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ, ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲒᲘᲚᲝ, ᲐᲜᲣ ᲖᲐᲥᲐᲗᲐᲚᲐ-ᲜᲣᲮᲘᲡ ᲝᲙᲠᲣᲒᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲣᲚᲐᲫᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲔᲠᲒᲝ




## ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔᲛ 1922 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲙᲐᲕᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ.

რაც შეეხება თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ რუსეთის იმპერიის გუბერნიებს, **მთელი ეს ტერიტორია მოქცეული იყო ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიებში.**

1917 წლიდან ბაქოს გუბერნიაში ბოლშევიკები გამაგრდნენ, ხოლო მუსლიმი ნაციონალისტები, ანუ ე.წ. **„ᲛᲣᲡᲐᲕᲐᲢᲔᲚᲔᲑᲘ“,** ძირითადად, ელიზავეტპოლის გუბერნიას აკონტროლებდნენ. 1917 წლის მიწურულს რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში, რომელიც 1918 წლის 19 იანვარს ბოლშევიკებმა გარეკეს, ამიერკავკასია წარმოდგენილი იყო ქართველების, სომხებისა და კავკასიელი მუსლიმების სახით. ხაზს ვუსვამთ, **„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲔᲑᲨᲘ“ არამც და არამც არ იგულისხმებოდა დღევანდელი „ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ“,** რომელიც ასევე ხელოვნური ცნებაა, რადგან სინამდვილეში **„ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ“** ნიშნავს თურქს....

ამის შემდეგ, კერძოდ, **1918 წლის თებერვალში დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელმა წევრებმა უარი თქვეს ბოლშევიკების მორჩილებაზე, შეიკრიბნენ თბილისში და დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში შექმნეს ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲔᲘᲛᲘ, რომლის თავმჯდომარედაც ერთხმად აირჩიეს რუსეთის ცაკის პირველი თავმჯდომარე ᲙᲐᲠᲚᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ.** სეიმის ძალაუფლება ვრცელდებოდა საქართველოზე, სომხეთსა და მხოლოდ ელიზავეტპოლისა და ნახიჭევნის გუბერნიებზე, რადგან ბაქოში ისევ და ისევ კომუნისტები იყვნენ ჩაბუდებული.

1918 წლის 22 აპრილს **ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომლის პარლამენტის თავმჯდომარე გახდა ისევ ᲙᲐᲠᲚᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ, ხოლო მთავრობის თავმჯდომარე — ᲐᲙᲐᲙᲘ ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘ.** ამ სახელმწიფომ იარსება მხოლოდ და მხოლოდ 1918 წლის 26 მაისამდე, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა. შესაბამისად, **1918 წლის 27 და 28 მაისს თბილისში დამოუკიდებლობა გამოაცხადეს დღევანდელმა „აზერბაიჯანელებმა“ და სომხებმა, მაგრამ მთელ ამ ამბავში საინტერესო და პრობლემური იყო ის, თუ რა სახელი უნდა გამოეძებნათ დღევანდელი აზერბაიჯანისთვის, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ასეთი სახელმწიფო ბუნებაში არასდროს არსებობდა.**

კავკასიელი მუსლიმების მაშინდელმა ლიდერმა, პარტია „მუსავატის“ ხელმძღვანელმა **ᲤᲐᲗᲐᲚᲘ-ᲮᲐᲜ ᲮᲝᲘᲡᲙᲘᲛ** გადაწყვიტა, ახლადშექმნილი სახელმწიფოსათვის ეწოდებინა ირანის უძველი პროვინციის **ადარბადაგანის ახალირანული სახელწოდება „ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ“.** ცნობისათვის, **ᲤᲐᲗᲐᲚᲘ-ᲮᲐᲜᲘ ᲮᲝᲘᲡᲙᲘᲡ** უსაყვარლეს ქალიშვილს თამარი ერქვა... 1920 წლის აპრილში, როცა აზერბაიჯანს მთლიანად ბოლშევიკები დაეპატრონნენ, **ᲤᲐᲗᲐᲚᲘ-ᲮᲐᲜᲘ** თავის ოჯახთან ერთად საქართველოში გამოიქცა და დღემდე თბილისშია დასაფლავებული.

**1918 წლის 27 მაისს, როგორც კი თბილისში დამოუკიდებელი სახელმწიფოს „ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ“ შექმნა გამოცხადდა, იმავე დღეს ირანის შაჰმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნა „ანტანტას“ და ცენტრალურ სახელმწიფოებს,** ხოლო 1941 წლის 25 აგვისტომდე, ვიდრე საბჭოთა კავშირის სამი არმია ჩრდილოეთ ირანში არ შეიჭრა და ქვეყნის ოკუპაცია არ მოახდინა, **ირანის შაჰები არ ცნობდნენ და სტალინთან და „ერთა ლიგაში“ განუწყვეტლივ აპროტესტებდნენ „ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობას!** ირანელები მიიჩნევდნენ და მიიჩნევენ, რომ **„ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ“** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნით იბღალებოდა და დღესაც იბღალება უძველესი აქემენიდური სპარსეთის ისტორიული ტოპონიმიკა და დღევანდელი ჩრდილო-დასავლეთ ირანის უდიდესი პროვინციის, **„ირანის აზერბაიჯანის“** სახელი...

სხვა უამრავ მიზეზთან ერთად ეს ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმ დაძაბულობისა და მტრობისა, რომლითაც ირანი აზერბაიჯანის აღმასვლას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და სომხეთზე გამარჯვებას ხვდება!

**ᲕᲘᲜᲛᲔ ᲔᲛᲔᲚᲓᲘᲜ ᲑᲔᲯᲑᲣᲓᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲮᲣᲓᲘᲐ ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲔᲚᲘ ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲪᲐᲕᲓᲐ!**

არც ქიზიყის მოურავები ყოფილან **„აზერბაიჯანელები“** და საფლავიდან ამოგდებული **ᲗᲔᲛᲣᲠ-ᲚᲔᲜᲒᲘ** თბილისში, ქიზიყში, თორთომში, ბირთვისში, იმერეთსა თუ კახეთ-ჰერეთში „აზერბაიჯანს“ კი არა, საქართველოს ებრძოდა!

**ახია, რუსის თავს, რომ 2020 წელს ბაქოში სომხეთზე გამარჯვების პარადი ერდოღანმა ჩაიბარა!**

*ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ*



**როცა ქართველების ბოზებად და ბომჟებად გამომცხადებელ თურქ მწერალს ორჰან ფამუქს თბილისში, რუსთაველის თეატრში, გადაგვარებული და გამანქურთებული ქართველები ფეხზე წამოუდგებიან და ოვაციებს გაუმართავენ, ხოლო ვინმე ფრანკლინელი თინა შარაშენიძე გაშიშვლდება, ჩაიხდის, ვიღაც ჩაკვეტაძის საფლავს დააშარდავს და ამ ყველაფერს მერე სოციალურ ქსელებში გამოფენს, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვლადისლავ არძინბას, ანდრეი სახაროვის, კოკოითის, შევარდნაძისა და შაჰ-აბასის ოცნებები საქართველოსთან მიმართებაში ასრულდება!**

# „პირდაპირ გეუბნებით — საქართველოს ხელისუფლებას საკუთარ მოსახლეობას დასავლეთი უჯანყებს!“

*„გასულ გაზაფხულზე ამერიკის შეერთებული შტატების და ევროკავშირის ეგიდით რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მორიგი პაკეტი ამოქმედდა, რის შედეგადაც წნეხის ქვეშ აღმოჩნდა არა რუსეთი, არამედ ქართული ეკონომიკის რეალური სეგმენტი — 3000 რეგისტრირებული მეწარმე და მრავალი ათასი მოქალაქე, ვინც ინდივიდუალურად იყო დაკავებული ავტომანქანების რეექსპორტით. ამ სანქციის შედეგად ქართველ დილერებს მიმდინარე წლის 26 სექტემბრიდან ამერიკისა და ევროკავშირის ტერიტორიაზე წარმოებული ავტოტრანსპორტის რუსეთსა და ბელარუსში გაყიდვა აეკრძალათ, რის შედეგადაც ათასობით საქართველოს მოქალაქე გაკოტრებამდე მივიდა!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი ყოფილმა პარლამენტარმა, უფლებადამცველმა, ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორმა***

***დიმიტრი ლორთქიფანიძემ:***

## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# ამერიკისა და ევროკავშირის საელჩოებს ავტომობილების უწყვეტი ჯაჭვით მივადგებით!



### პოლიტიკოსის სიტყვა

— როგორც მოსალოდნელი იყო, **აშშ-ევროკავშირის ერთობლივი სანქციის ამოქმედების შედეგად** ქართულ საავტომობილო ბიზნესს შეექმნა აქამდე არნახული პრობლემები. ოფიციალურად საქართველოში 3 ათასზე მეტი მეწარმე დილერია დარეგისტრირებული, რომელიც ამერიკისა და ევროკავშირის ავტობაზრებზე ვაჭრობით იყვნენ დაკავებული, საზღვარგარეთიდან შემდგომი რეექსპორტის მიზნით ავტომობილები ჩამოჰყავდათ და ოჯახებს ამ ბიზნესით არჩენდნენ, თუმცა, მათ გარდა, **ათასობით კერძო პირიც** ანალოგიურ საქმიანობას ეწეოდა. არც ეს არის სანქციებით დაზარალებული მოქალაქეების სრული რაოდენობა იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი მეორადი მანქანა საქართველოში გარკვეული ხარვეზით ჩამოდის და მათ რემონტს ემსახურება **15-მდე სხვადასხვა დარგის ხელოსანი** — მეთუნუქეები, ძრავის, ელექტრობის, სავალი ნაწილის და ა.შ. შემკეთებლები. მხედველობაში მისაღებია, რომ ავტონაწილების შეძენა ხდება ავტობაზრობებზე, ავტომაღაზიებში, სადაც, თავის მხრივ, ათასობით ადამიანია დასაქმებული; ასევე, მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ ავტოინდუსტრია საქართველოში ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია და რადგან მრავალი ოჯახი მატერიალურად სულის მოთქმას სწორედ ამ საქმიანობით ცდილობდა, ბიზნესის დასაწყებად უზარმაზარი თანხები ჩადეს. ზოგმა საცხოვრებელი ბინების ჩათვლით პირადი ქონებაც დააგირავა და დიდძალი საბანკო დავალიანება დაუგროვდათ. **საზოგადოების ეს ნაწილი დღეს სრული გაკოტრების პირას აღმოჩნდა, ანუ დასავლეთიდან რუსეთისა და ბელარუსისთვის სანქციების დაწესებამ ეს ქვეყნები კი არა, საქართველოს ათასობით მოქალაქე დააზარალა. ქართველი ავტოიმპორტიორები თავის ფასშიც ველარ ახდენენ ავტომანქანების რეალიზაციას. მძაფრი კრიზისი დღითი დღე ღრმავდება.**

**— რუსებს და ბელარუსებს საერთოდ არ დაეტყოთ ზარალი?**

— რუსეთიც და ბელარუსიც დიდი ხანია, აზიურ მწარმოებლებზე, კონკრეტულად, კორეულ და ჩინურ ავტობაზარზე არიან გადართულები, სამამულო ავტოინდუსტრიაც გააჩნიათ და ნაკლებად ადარდებთ, საქართველოდან მათ ტერიტორიაზე წელიწადში ათასი მანქანა შევა თუ არ შევა. აი, საქართველოსთვის კი ეს სანქცია ნამდვილად იქცა დილემად, რადგან „საქსტატის“ ცნობით, მარტო 2023 წლის პირველ 6 თვეში საქართველოდან რუსეთში გაიყიდა 53 მილიონი ლარის ღირებულების ავტომობილი, რაც მნიშვნელოვანი შემოსავალი იყო 3 ათასი რეგისტრირებული ქართველი დილერისთვისაც და ქვეყნისთვისაც, მითუფრო იმ ფონზე, რომ ვაჭრობის ინერცია იყო მკვეთრად ზრდადი! **ავტომობილების რეექსპორტმა აზრი დაკარგა სომხეთის მიმართულებითაც, სადაც ქართველი დილერების შეყვანილი ავტომობილები აღარ იყიდება, რადგან სომხეთიდან ავტომობილების რუსეთში გადაყვანის ერთადერთი გზა ისევ საქართველოზე, ლარსზე, გადის...** დასავლური სანქცია კი კრძალავს ამერიკისა და ევროკავშირის **„ვინ“ კოდიანი** მეორადი სატრანსპორტო საშუალების ლარსზე გატარებას. **გამოდის, ჩემს საკუთრებაში არსებულ მანქანას რუსეთში ვერ გავყიდი, იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფოსგან კონსტიტუციის დონეზე გარანტირებულად მაქვს საკუთრების უფლება, ანუ რუსეთისათვის ამერიკა-ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქცია ფეხქვეშ თელავს ჩემი ქვეყნის კონსტიტუციას და სუვერენიტეტს!** რეალურად, დასავლეთმა ამ სანქციით ომი რუსეთს კი არა, თავის „სტრატეგიულ პარტნიორს“ — საქართველოს გამოუცხადა იმ მიზეზით, რომ უარს ამბობს რუსეთისთვის მეორე ფრონტის გახსნაზე!

თავად დასავლეთი კი, მისი დაწესებული სანქციების მიუხედავად, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებს უდარდელად აგრძელებს — **პირველ რიგში, გამდიდრებულ ურანს ყიდულობენ რუსეთიდან, ასევე ენერგომატარებლებს, რუსეთში წარმოებულ არაორგანულ სასუქებს და უამრავ სხვა პროდუქტს!** რუსეთი ევროკავშირისგან ყოველდღიურად 2 მილიარდ ევროს იღებს მარტო ბუნებრივი გაზის გაყიდვით, რომელიც ავსტრიის გამანაწილებელში უკრაინის ტერიტორიის გავლით შეედინება!

**— რუსეთის ავტობაზარზე ქართული სეგმენტი მთლიანად დაცარიელდა?**

— სამწუხაროდ, ქართველი დილერები, რომლებსაც ამერიკულ და ევროპულ აუქციონებსა და სავაჭრო კომპანიებში სპეციალური კოდებით გამოხატული ექსკლუზიური უფლებები გააჩნდათ, იძულებულები ხდებიან, ბოლომდე გაკოტრების თავიდან ასარიდებლად ეს კოდები გაყიდონ. **ქართველი დილერების გაყიდულ კოდებს ყირგიზები, ტაჯიკები, უზბეკები და ყაზახები ყიდულობენ, რომლებიც აქამდეც აქტიურად იყვნენ ჩართულები რუსეთის ავტოინდუსტრიაში.** ფაქტია, რომ შუა აზიიდან რუსეთში ავტომობილის გადაყვანა თავისუფლად შეიძლება, მათზე სანქციები არ მოქმედებს, შუააზიელები ქართველების გვერდის ავლით თავისუფლად ვაჭრობენ თბილისში, ამერიკიდან და ევროპიდან მანქანები თვითონ ჩამოჰყავთ, შემდეგ კი ბათუმისა და ფოთის პორტებიდან მიაქვთ შუა აზიაში, საიდანაც რუსეთში თავისუფლად გადაჰყავთ.



ევროკავშირის ჯერ კიდევ ვადიანი ელჩი საქართველოში პაველ ჰერჩინსკი



აშშ-ის ან უკვე ვადაგასული ელჩი საქართველოში კელი დეგნანი

**— იქნებ სანქციების ნამდვილი სამიზნე რუსეთი კი არა, მხოლოდ ქართველი საზოგადოება იყო?**

— დიახ, **რუსეთისა და ბელარუსის წინააღმდეგ დაწესებული დასავლური სანქციები სინამდვილეში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებაა** და შემთხვევითი არც ის გახლავთ, კრიზისი სექტემბრის მიწურულს რომ დაემთხვა. ამ სანქციით დასავლეთმა მწვანე შუქი შეგნებულად აუნთო ხელისუფლებისკენ მიმართულ უკმაყოფილების მძლავრ ტალღას. უკვე ცნობილია, დასავლეთის პოლიტიკური წრეები მარგინალურ ჯგუფებზე დაყრდნობით, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების, ახალი მაიდნის მოწყობას რომ აპირებენ და, მათი გათვლებით, ხელოვნურად დამძიმებული სოციალური პირობებით უკმაყოფილო მოსახლეობის ნაწილი ქუჩაში გამოსულ მარგინალურ ჯგუფებს შეუერთდება. პირდაპირ გეუბნებით — **საქართველოს ხელისუფლებას საკუთარ მოსახლეობას დასავლეთი უჯანყებს!**

**— ნუთუ ამას ვერ ხვდებიან ის დილერები, რომლებმაც სანქციის გამო შემოსავალი დაკარგეს? ნუთუ ისინი აგრესიას დასავლეთის კი არა, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართავენ?**

— მალე ყველა კარგად მიხვდება მოვლენების არსს, როცა საკუთარ ტყავზე გამოცდის ზარალს. ავტოინდუსტრიაში ასეთი ჩავარდნა და საქართველოში საავტომობილო ბიზნესის განადგურება მოსახლეობას ძალზე ძვირად დაუჯდება, რადგან **კიდევ უფრო გაიზრდება ავტომობილების ფასები,** მეტი და მეტი მოქალაქე დარჩება უმუშევარი. ჯამში ქვეყანა დილემის წინაშე აღმოჩნდება, რის დასაძლევადაც ხელისუფლებას გონივრული გადაწყვეტილება მართებს — ეს არის ჩვენი ქვეყნის სანქციის ინსტრუმენტად გამოყენებაზე უარის გაბედულად თქმა, რადგან ეს სანქციები საქართველოს ორგანულ ინტერესებს აზიანებს! წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორადი ავტომანქანების გაყიდვის შეზღუდვას აუცილებლად მოჰყვება მომდევნო ნაბიჯი, ვთქვათ, მანგანუმისა და ფეროშენადნობების გატანაზე სანქცია. საქართველო ხომ მანგანუმის მსოფლიო მარაგის 80 პროცენტს ფლობს და რუსეთი ამ პროდუქტის ერთ-ერთი მომხმარებელია!

ძალიან ბევრ ავტოდილერთან უშუალოდ მაქვს კავშირი. **მივმართავ ყველა იმპორტიორ კომპანიას და იმპორტიორთა ასოციაციას,** ჩაატარონ გამაფრთხილებელი საავტომობილო აქცია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, ავტომობილებით მოახდინონ საელჩოების პიკეტირება და დიპლომატებს გადასცენ საზოგადოებრივი პეტიცია დასაბუთებული მოთხოვნით, დაუყოვნებლივ შეწყდეს საქართველოს მიმართ დაწესებული, უკიდურესად ნეგატიური შედეგების მომტანი აქტის მოქმედება! **დაე, ნუ ჩაერევიან ჩვენს საშინაო-ეკონომიკურ პოლიტიკაში!!!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

## „რუსეთისათვის ამერიკა-ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქცია ფეხქვეშ თელავს ჩემი ქვეყნის კონსტიტუციას და სუვერენიტეტს!“

# «ქართველი ხალხი არ შეეგუება „ციფრული კონცლაგერის“ მონობას!»

***„გაგვეცალე, რუსო!“ — უნივერსიტეტის კედლებში რამდენიმე თვის წინ ამ შეძახილით დახვდნენ ახალგაზრდები ფილოსოფიის დოქტორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ელიზბარ ელიზბარაშვილს. მას „სირცხვილის დერეფანი“ მოუწყვეს და აუდიტორიაში ლექციის ჩატარების საშუალება არ მისცეს. ამ ახალგაზრდების აზრით, უნივერსიტეტში არ უნდა ასწავლიდნენ ისეთი პროფესორები, რომლებიც ევროკავშირის პოლიტიკას ეწინააღმდეგებიან და მაინც, რა არის მიუღებელი ევროკავშირისა და ნატოს პოლიტიკაში ახალგაზრდა ქართველი ფილოსოფოსისათვის?***
*— „ქართველი ხალხი არ შეეგუება „ციფრული კონცლაგერის“ მონობას!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი პროფესორმა:***




## პროფესორის პოლიტიკა ★

— ეს ახალგაზრდები არ იყვნენ ის სტუდენტები, რომლებიც ჩემს ჯგუფში ირიცხებიან. მათში სხვა უნივერსიტეტელები და არასტუდენტებიც ერია და გამიზნულად ცდილობდნენ ჩემს პროვოცირებას, რათა პირადი შეურაცხყოფის გამო რაიმე არაეთიკური საქციელი ჩამედინა, ეს კი, თავის მხრივ, ჩემი ლეგიტიმურად დასჯის საფუძველი გახდებოდა!

ეს ჯგუფი ჯერ ლექციაზე შემომეჭრა და მე ისინი აუდიტორიიდან დავითხოვე; შემდეგ კი ე.წ. „სირცხვილის დერეფანი“ მომიწყვეს. ვუპასუხე, რომ ისინი არიან მანიპულაციის მსხვერპლი, იმ ლიბერასტული ძალების ინსტრუმენტი, რომლებიც ებრძვიან ეროვნულ და კონსერვატიულ პოზიციებზე მყოფ თვალსაჩინო პირებს. **მაქვს ინფორმაცია, რომ პატრიოტულ მანტიაში შეფუთული ასეთი ჯგუფები კეზერაშვილის მიერ არიან დაქირავებული. ისინი წინასწარ ადგენენ ეროვნულად მოაზროვნე და ლგბტ მსოფლმხედველობის მგმობი პირების სიებს, ვინც რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების მომხრეა და პრორუსის იარლიყით სურთ საზოგადოებრივი თუ სოციალური სფეროებიდან მათი გარიყვა.**

უფრო მეტიც, ისინი სტუდენტების სახელით ჩნდებიან უნივერსიტეტებში, ქუჩებში, პარლამენტის წინ გამართულ აქციებზე, რომლებიც პერსპექტივაში შეიძლება სახელმწიფო გადატრიალებაში გადაიზარდოს! **რეალურად, თავად ისინი წარმოადგენენ უცხოეთიდან დაფინანსებულ აგენტურას, ვისთვისაც „თავისუფლების ცნება“ ზნეობრივი შეზღუდვების გაუქმებაში, ოჯახის ინსტიტუტის რღვევაში და სრული თვითნებობის დაკანონებაში მდგომარეობს.** საქართველოში ამ მიზანს რამდენიმე უნივერსიტეტი და ისეთი ტრენინგცენტრები ემსახურება, როგორებიც არიან **„ფრანკლინის კლუბი“, „ჯიუტები“, „ნაბიჯი“** და მსგავსი ორგანიზაციები. ისინი იმ სოუსის ინგრედიენტები არიან, რომელიც ამერიკის საელჩოში იხარშება. ასეთ ცენტრებში გამოზრდილი ახალგაზრდობა ხდება ე.წ. „ფერადი რევოლუციების“ დასაყრდენი ძალა, რომელიც არ ინდობს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას, კულტურას, ეკონომიკას და ახდენს დამკვეთებისთვის სასურველი წესრიგის დამყარებას! **ჯერ იმხელა ძალა არ გააჩნიათ, განსხვავებულად მოაზროვნე ხალხი ციხეში გამოკეტონ და დახვრიტონ, მაგრამ ამასაც გააკეთებენ, თუ საქართველოში სააკაშვილის რეჟიმი აღდგება!**

**— საქართველო კვლავ გზაგასაყარზეა. ერთ მხარეს რუსეთია, რომელსაც ჩვენი ტერიტორიების ნაწილი აქვს დაპყრობილი; მეორე მხარეს — დასავლეთი, საიდანაც ეროვნული საზოგადოების მკვლელი იდეოლოგია შემოედინება. რა ორიენტაცია უნდა აირჩიოს ჩვენმა ქვეყანამ?**

— ბოლო პერიოდში რუსეთთან და დასავლეთთან ერთად მსოფლიოში სხვა პოლიტიკური ცენტრი — **ჩინეთიც** იკვეთება, მაგრამ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს ახსნა არ ეძებნება, თუ **მეოთხე მოთამაშეს** არ ვახსენებთ. მასზე ღიად არ საუბრობენ, რადგან არ გახლავთ სახელმწიფო თავისი კრიტერიუმებით, თუმცა, კენედიმ მას **„სიღრმისეული სახელმწიფო“** უწოდა. ეს არის **ანგლოსაქსური სამყაროს წიაღში მყოფი ფინანსური მმართველობა.**



## ელიზბარ ელიზბარაშვილი:

# გახსოვდეთ, რომ არსებობს მეოთხე მოთამაშე!

### უამრავი აუხსნელი მოვლენა, რაც მსოფლიოში ხდება, სწორედ ამ მეოთხე მოთამაშის მიერ არის გამოწვეული.

**გასაგებია, რომ ამერიკას სურს, რუსეთის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი წიაღისეულისა და რესურსების ხელში ჩაგდება. რუსეთი და ჩინეთი, თავის მხრივ, საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვიან, მაგრამ ეს მეოთხე ძალა მსოფლიოში თამაშის ახალი წესებით შემოდის და ახალ მსოფლიო წესრიგს ამკვიდრებს.** მისი მიზანია ხელოვნურად გამოწვეული პრობლემების, კატაკლიზმების მეშვეობით **ერთიანი, „მსოფლიო ხელისუფლების“** შექმნა, რის-

## „ევროკავშირში გაერთიანება

# „თუ, უპირველესად, რუსეთთან არ დავალაგებთ დამოკიდებულებებს, არც ჩვენს ეკონომიკას ეშველება ოდესმე რამე და ვერც ტერიტორიებს დავიბრუნებთ!“




თვისაც სხვადასხვა სახელმწიფოებს იყენებს. მას სურს, რომ მსოფლიოში ყველა, განსაკუთრებით კი, წამყვანი სახელმწიფოები ერთიან **ტექნოლოგიურ კონცლაგერში** მოაქციოს, სადაც ყველაფერი, მათ შორის, ადამიანების პირადი ცხოვრება და ფინანსური სისტემა **ერთიან ციფრულ კონტროლს** დაექვემდებარება. ეს ყველაფერი წარმატებით უკვე დაინერგა ჩინეთში! ინერგება ევროპაშიც! **ჯერ უცნობია, რა მიმართულებით წავლენ რუსეთი და ინდოეთი — დაექვემდებარებიან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმს და მსგავს გლობალურ ინსტიტუტებს თუ განვითარების განსხვავებულ გზას მოძებნიან.** ასე რომ, გახსოვდეთ, რომ არსებობს მეოთხე მოთამაშე!

**— ჩინეთიდან მომავალ საფრთხეებზე მიგვანიშნებთ?**

— კარგია, რომ მსოფლიოში **მესამე ხილულ მოთამაშედ** ჩინეთი მკვიდრდება, ეს ზრდის საქართველოს საგარეო პოლიტიკური გეზის არჩევანთა ნუსხას, ამასვე უკავშირდება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ახალი შანსი! საქართველოს მიმართ დასავლეთის უკონტროლო აგრესიულ იდეოლოგიურ პოლიტიკას ჩინეთი სასიკეთოდ დააბალანსებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩინეთთან ურთიერთობა მნიშვნელოვან საფრთხეებს შეიცავს, თუ ჩვენ მათი ცხოვრების წესისა და სისტემების საქართველოში უკონტროლოდ დანერგვას დავაპირებთ, რადგან **ჩინელ საზოგადოებაში ციფრული ტექნოლოგიების გამო ადამიანების თავისუფლება თითქმის გაუქმებულია!** ამასთან, თუ ამ პროცესს ჩვენზე მორგებულ გონივრულ კანონებს არ დავახვედრებთ, უმოკლეს დროში შეიძლება, დემოგრაფიულად უმცირესობაში აღმოვჩნდეთ. იმავეს ვფიქრობ ევროკავშირთან მიმართებაშიც — **უნდა შემოვიფარგლოთ ევროპიდან ქართველებისთვის მისაღები ეკონომიკური და კულტურული ღირებულებების დამკვიდრებით, მაგრამ ევროკავშირში გაერთიანება საქართველოსთვის დამღუპველი იქნება!** ევროკავშირის შემადგენლობაში არანაირი წინსვლა არ ელოდება საქართველოს სოფლის მეურნეობას, იქაურ ბაზარზე ჩვენს ჭირნახულს არაფრისდიდებით არ დაუშვებენ. ამასთან, ანტიქრისტიანულ სამყაროში საქართველოს ინტეგრაცია, გენდერული და ლგბტ ღირებულებებით ცხოვრება ქართველ ხალხს საერთოდ გადააგვარებს და სულიერ ფრუსტრაციას განაპირობებს!

**— რაც შეეხება რუსეთს?**

— საქართველოს პრემიერის **ირაკლი ღარიბაშვილის** მრავალპოლარული საგარეო პოლიტიკა უდავოდ შეიძლება, წარმატებულად შეფასდეს, მაგრამ, რაც არ უნდა კარგი ურთიერთობები დაამყაროს საქართველომ საუდის არაბეთთან, ისრაელთან და ჩინეთთან, თუ, უპირველესად, რუსეთთან არ დავალაგებთ დამოკიდებულებებს, არც ჩვენს ეკონომიკას ეშველება ოდესმე რამე და ვერც ტერიტორიებს დავიბრუნებთ!

ამასთან, კავკასიაში რუსეთი თურქული ექსპანსიის შემაკავებელი ერთდერთი ფაქტორია. ჩვენი გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, **რუსეთთან საქართველოს ურთიერთობას უზარმაზარი მნიშვნელობა ექნება იმ შემთხვევაშიც, თუ აღმოსავლეთ-დასავლეთთან ერთად, ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის გლობალური პროექტი განხორციელდება.** შესაბამისად, ჩვენ რუსეთთან სამხედრო სტრატეგიული ურთიერთობების განვითარებასაც უნდა ვეცადოთ, რადგან სამხედრო თვალსაზრისით, სწორედ რუსეთს შეუძლია სწრაფი რეაგირება, თუ კავკასიაში სტაბილურობას საფრთხე შეექმნება.

**— მაგრამ რუსეთს უკვე აქვს მძლავრი პლაცდარმი მიტაცებულ ცხინვალის რეგიონში, ხოლო ახლახან გაჟღერდა ინფორმაცია, რომ მიტაცებულ აფხაზეთშიც, კერძოდ, ოჩამჩირეში შეუდგა სამხედრო ბაზის მშენებლობას.**

— **ოჩამჩირეში სამხედრო ბაზის მშენებლობით რუსეთი აკეთებს განაცხადს, რომ შავ ზღვაზე უვადოდ ფუძნდება და ამ რეგიონში შეერთებული შტატების შემოშვებას არ დაუშვებს.** ჩვენთვის ასეთ ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთარი ინტერესების დაცვა შევძლოთ იმგვარად, რომ ჩვენი ინტერესები რუსეთისას დაემთხვეს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ნატოსთან დაახლოების საქართველოსთვის არაფრისმომცემი მცდელობები დავასრულოთ.

ნიშანდობლივია, რომ რამდენიმე თვის წინ ჩინეთის ელჩმა განაცხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით მოლაპარაკებებში შუამავლობის მზადყოფნასთან დაკავშირებით. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მინიშნებაა, იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ჩინეთმა დააზავა ერთმანეთთან ირანი და საუდის არაბეთი — ჩინეთს ნამდვილად აქვს ამისი პოტენციალი! არის მეორე მინიშნებაც, ამჯერად რუსეთიდან...

*„როგორც ჩანს, სურთ, რომ უკრაინის ფლანგთან ერთად ჩვენს საზღვრებთან დაძაბულობის კიდევ ერთი კერა შეიქმნას. ისევ მიდის საუბარი ნატო-ში საქართველოს შესაძლო გაწევრიანებაზე... ჩვენ მზად ვართ, გავუმკლავდეთ პრობლემებს მოლაპარაკებების მაგიდასთან გაეროს წესდების სულისკვეთებით, მაგრამ, თუ ჩვენს შეშფოთებას რეალური საფრთხე დაემუქრება, ჩვენ არ მოგვერიდება. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთთან შეერთების იდეა კვლავ პოპულარულია. ის შეიძლება, განხორციელდეს, თუ ამის საფუძვლიანი მიზეზი იარსებებს...“*

— განაცხადა ახლახან რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **დიმიტრი მედვედევმა.**

**— მუქარის გარდა, კიდევ რა მინიშნებას ხედავთ მედვედევის განცხადებაში?**

— უკრაინის ომის წინ პუტინიც მსგავს განცხადებებს აკეთებდა. მედვედევი მიგვანიშნებს, რომ არსებობს ორი გზა — **რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირება გაეროს წესდების შესაბამისად,** რომელიც აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით ან **სიტუაციის გადაწყვეტა თბილისის გვერდის ავლით,** აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სრული ანექსიით! ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, რას მოიმოქმედებს რუსეთი.

## თუ გვსურს, სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნოთ, რუსეთთან მოლაპარაკებას ალტერნატივა არ გააჩნია!

კაცობრიობა ახალი გლობალური განსაცდელის წინაშე დგას. როგორც ქართველი ხალხი არ შეეგუება **ე.წ. „ციფრული კონცლაგერის“** მონობას, იმედია, იმგვარადვე ფიქრობენ რუსებიც... ჩემი აზრით, ახლო მომავალში სწორედ ეს მიზანი გააერთიანებს რუსეთისა და საქართველოს ინტერესებს!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

„მაქვს ინფორმაცია, რომ პატრიოტულ მანტიაში შეფუთული ასეთი ჯგუფები კეზერაშვილის მიერ არიან დაქირავებული, ისინი წინასწარ ადგენენ ეროვნულად მოაზროვნე და ლგბტ მსოფლმხედველობის მგმობი პირების სიებს, ვინც რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების მომხრეა და პრორუსის იარლიყით სურთ საზოგადოებრივი თუ სოციალური სფეროებიდან მათი გარიყვა!“




# საქართველოსთვის დამღუპველი იქნება!“

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ 2023 წლის №56*



## ისტორიკოსის თვალით

# სვიმონ მასხარაშვილი:

# გერმანიასთან ომში შემობრუნება მას შემდეგ დაიწყო, რაც სამხედრო ხელმძღვანელობა თავის თავზე პირადად სტალინმა აიღო!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი** იმ ტოტალური ქაოსისა და განუკითხაობის შესახებ მოგვითხრობს, რომელმაც დიდი სამამულო ომის დაწყების წინ „წითელი არმიის“ ელიტა წალეკა:*

— რიტორიკა იმის შესახებ, თითქოს 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საბჭოთა არმიის ტოტალური წარუმატებლობა, ჩავარდნა და ფრონტის მოშლა 1937 წლის რეპრესიების შედეგი იყო, რადგან სტალინმა „წითელი არმიის“ სამხედრო ელიტა გაანადგურა, სიცრუეა! ცნობილია, რომ სტალინის პირადი მტრები და მაგინებლები ბელადს დღემდე არ პატიობენ იმას, რომ **მიხეილ ტუხაჩევსკი, ალექსანდრე ეგოროვი, ვასილი ბლიუხერი, იონა იაკირი** და სხვა მხედართმთავრები ბელადმა დახვრიტა. ეს ცრუ ბრალდებები სტალინისადმი განსაკუთრებით გაძლიერდა 1956 წლის შემდეგ, როცა **ნიკიტა ხრუშჩოვმა მიხეილ ტუხაჩევსკის მეთაურობით,** თითქმის ყველა დახვრეტილი გენერალი და მარშალი გაამართლა და რეაბილიტაცია მოახდინა. იმ დღიდან საბჭოთა კავშირში რაღაცნაირად დამკვიდრდა **ტუხაჩევსკის კულტი.** უფრო მეტიც, **ეგოროვთან, ვოროშილოვთან, ბლიუხერთან და სვიმონ ბუდიონისთან** ერთად საბჭოთა კავშირის პირველი მარშალი **მიხეილ ტუხაჩევსკი** საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგაც კი „მოდაში შემოვიდა“, რომლის ე.წ. „თეორიასაც“ სამხედრო სასწავლებლებში ასწავლიდნენ. არადა, ამ დროს, ყველა სერიოზული სამხედრო პირის ანალიზით, **მარშალი ტუხაჩევსკი** აბსოლუტურად უნიჭო სამხედრო იყო, რომელმაც ერთადერთი წარმატებული სამხედრო ოპერაცია საცოდავი ტამბოველი გლეხების წინააღმდეგ ჩაატარა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას აუჯანყდნენ და მან გაზით ამოწყვიტა. 1920 წელს ვარშავამდე მისულმა „წითელმა არმიამ“ დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია რომ დაკარგა, სწორედ **მიხეილ ტუხაჩევსკის** „დამსახურება“ გახლდათ... ეს კაცი იყო უნიჭობის განსახიერება...

**— ტუხაჩევსკი რომელი „თეორიის“ ავტორია?**

— არავითარი თეორია მას არ ეკუთვნის... სინამდვილეში **მიხეილ ტუხაჩევსკიმ** უნიჭიერესი გერმანელი გენერლის **ჰაინს გუდერიანის** გახმაურებული წიგნიდან „ახტუნგ, ტანკს!“ (გერმ. „ყურადღება, ტანკები!“) მოიპარა მთავარი იდეა, რომლის თანახმადაც, მოახლოებულ მეორე მსოფლიო ომში ბრძოლის ბედს ძირითადად გადაწყვეტდნენ ტანკები. **გუდერიანის** გარდა **ტუხაჩევსკიმ** ასევე მოიპარა უდიდესი ინგლისელი სამხედრო თეორეტიკოსისა და სამხედრო ისტორიკოსის **სერ ბესილ ჰენრი ლიდდელ ჰარტის** ცნობილი თეორია იმის შესახებ, რომ რა ეფექტიც შუა საუკუნეებში მონღოლების კავალერიას ჰქონდა, მომავალ ომებში სწორედ იგივე მისია დაეკისრებოდა ტანკებს. სახელოვანი გენერალ-ფელდმარშლის **ერიხ ფონ მანშტაინის** გეგმას „ბლიცკრიგის“ შესახებ სწორედ **ლიდდელ ჰარტის** ნაშრომები დაედო საფუძვლად. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მანშტაინის ფუნდამენტური ნაშრომის მთავარი რედაქტორი სწორედ **ბესილ ლიდდელ ჰარტი** გახდა. მოკლედ, **მიხეილ ტუხაჩევსკიმ,** ზოგადად, ყურმოკვრით შეიტყო ლიდდელ ჰარტისა და გუდერიანის შრომების შესახებ და **წამოაყენა ბულუბრყვილო იდეა, რომლის თანახმადაც, საბჭოთა კავშირი დაიპყრობდა მთელ მსოფლიოს, თუ მას 50 ათასი ტანკი ექნებოდა.**

ტუხაჩევსკის უნიჭობით არც **მარშალი ეგოროვი** ჩამორჩებოდა... ასეთივე კრეტინები იყვნენ **ბლიუხერიც და იაკირიც...** საერთოდ, სამოქალაქო ომის გენერლები სინამდვილეში ჯალათები იყვნენ, რომლებსაც არავითარი სამხედრო კვალიფიკაცია არ გააჩნდათ, ხოლო საბჭოთა არმია ყოველთვის განიცდიდა განათლებული და პროფესიონალი კადრების დეფიციტს.

**— რა იყო ამის მიზეზი?**

— მეფის ოფიცრობის 80 პროცენტი, სამოქალაქო ომის დროს „წითელ არმიაში“ მსახურობდა და მხოლოდ 20 პროცენტი იბრძოდა „თეთრ გვარდიაში“, მაგრამ დეფიციტი უკავშირდება **იმპერატორ ნიკოლოზ მეორის** მორიგ სისულელეს, როცა დაუჯერა თავის ბიძას, დიდ მთავარ **ნიკოლოზ რომანოვს** და პირველ მსოფლიო ომში 1914 წლის აგვისტოში, სამსონოვის მეორე და რენენკამფის პირველი არმიების კატასტროფის შემდეგ, **რუსეთის იმპერიის საუკეთესო და განათლებული სამხედრო ელიტა — გვარდიული შენაერთები გერმანიის ფრონტს შეაკლა.** მაშინ რუსეთის იმპერიამ ერთბაშად **60 ათასი მეომარი** დაკარგა. ეს უზარმაზარი მსხვერპლი განაპირობა იმან, რომ რუსეთის ოფიცრობა ძალიან ცუდად იყო აღჭურვილი. თუ დიდი ბრიტანეთისა და ჰიტლერის არმიები სავსე იყო პირველი მსოფლიო ომის დროინდელი გენერლებითა და ადმირალებით, საბჭოთა არმიაში გერმანიასთან ომის წინ არცერთი ნიკოლოზის დროინდელი გენერალი არ მსახურობდა — ყველა იყო ემიგრაციაში ან — დაღუპული. ერთადერთი პოლკოვნიკი, რომელიც „წითელ არმიაში“ მსახურობდა, გახლდათ, **ბორის შაპოშნიკოვი,** რომელიც 1940 წელს საბჭოთა კავშირის მარშალი გახდა.

სხვათაშორის, ნიკოლოზის დროს ახალგაზრდა პოლკოვნიკი **შაპოშნიკოვი** გრენადერთა მე-16 მეგრულ პოლკს მეთაურობდა და კავკასიაში მსახურობდა. საბჭოთა კავშირის მარშალი, გენიალური **ალექსანდრე ვასილევსკი,** რომელმაც მესამედი ჩინეთი სამ კვირაში დაიკავა და 700-ათასიანი კვანტუნის არმია იაპონელებს თვალსა და ხელს შუა გაუნეიტრალა, მეფის რუსეთის არმიაში მხოლოდ და მხოლოდ კაპიტნის ჩინს ფლობდა. მარშალი **კონსტანტინე როკოსოვსკიც** პირველ მსოფლიო ომში მხოლოდ რიგითი ჯარისკაცი იყო, მაგრამ მაღალი კვალიფიკაცია **ვასილევსკისაც** იმთავითვე ეტყობოდა, **შაპოშნიკოვსაც, ანტონოვსაც და როკოსოვკისაც...** მარშალი **სემიონ ბუდიონი** პირველი მსოფლიო ომის გმირი იყო, წმინდა გიორგის ოთხ ჯვარს ფლობდა, მაგრამ ეს უშიშარი კაცი, რომელსაც სტალინმა 1935 წელს მარშლის წოდება მიანიჭა, მეფის არმიის რიგითი ჯარისკაცი იყო. **მიხეილ ტუხაჩევსკიც,** თავისი აზნაურული წარმოშობის მიუხედავად, პირველ მსოფლიო ომში უმცროსი ლეიტენანტი იყო, რომელმაც ვერ იომა და მთელი ომის კამპანია საფრანგეთში ტყვეობაში გაატარა.

**— თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია სტალინის მიერ 1937 წელს არმიაში ჩატარებულ რეპრესიებს როგორ აფასებს?**

— საზღვარგარეთ გაქცეული „გრუ“-ს ოფიცერი **ვიქტორ სუვოროვიც** კი, **ჟუკოვსა და საიცინზე** რომ არაფერი ვთქვათ, ამტკიცებს — თუ არა 1937 წლის რეპრესიები და **ტუხაჩევსკისა** და მისთანა ნაძირალებისგან საბჭოთა არმიის გაწმენდა, საბჭოთა კავშირი 1941 წლის ბოლოს არსებობას შეწყვეტდა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ **ტუხაჩევსკის, ეგოროვის, ბლიუხერისა და იაკირის სახით 1937 წელს სტალინმა საბჭოთა არმიას ფურუნკულები მოაცილა!**

**— კვალიფიციური კადრების სიმცირის გარდა კიდევ რამ განაპირობა 1941 წელს საბჭოთა არმიის სამარცხვინო კრახი და ჰიტლერის შეუჩერებელი წინსვლა?**

— კვალიფიციური კადრების სიმცირის გარდა 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ფრონტის ჩამოშლის მიზეზი ისიც იყო, რომ გერმანიასთან ომის წინ ხელოვნურად, მოუმზადებლად გაზარდეს არმიის რიცხოვნება, ხოლო საბჭოთა კავშირის სავალალოდ, ამ დროს გენშტაბის უფროსი გახლდათ აბსოლუტური კრეტინი, გენერალი **გიორგი ჟუკოვი,** ხოლო თავდაცვის მინისტრი — **სემიონ ტიმოშენკო,** რომელიც გენერალურ შტაბს არასოდეს ენდობოდა და კადრებს პირადი სიმპათიის მიხედვით არჩევდა. ეს იყო უნიჭოთა და მაამებელთა ხროვა, რომელსაც არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

**— და მაინც, რა ხდებოდა საბჭოთა კავშირის საზღვარზე**



## „1941 წლის ივლისიდან 60 წლის სტალინმა ომის ხელოვნების შესწავლა ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო და მეორე მსოფლიო ომი მოიგო!“



მიხეილ ტუხაჩევსკი, ალექსანდრე ეგოროვი, ვასილი ბლიუხერი, იონა იაკირი

## „ტუხაჩევსკის, ეგოროვის, ბლიუხერისა და იაკირის სახით 1937 წელს სტალინმა საბჭოთა არმიას ფურუნკულები მოაცილა!“




ფრინავი ფარეხებში იყო გამოკეტილი. სწორად მოქმედების შემთხვევაში, ეს დიდი რესურსი იქნებოდა საბჭოთა არმიისთვის, მაგრამ ომის დაწყების პირველივე საათებში ეს ტანკები და თვითმფრინავები, ფაქტობრივად, ბრძოლაში ჩართვის გარეშე, ფარეხებში გამობუგეს! აი, ამიტომ დახვრიტეს გენერალი **დიმიტრი პავლოვი!**

ისტორიკოსმა კარპოვმა შეისწავლა და გამოაქვეყნა იმ ჟურნალის ჩანაწერები, რომელშიც ომის დაწყების პირველ დღეებში სტალინთან შემსვლელთა და გამომსვლელთა გვარები, სახელები და ვიზიტების დრო ფიქსირდებოდა. გამოქვეყნდა დეპეშებიც, რომელსაც სტალინი ომის დაწყების პირველ დღეებში მთელი მსოფლიოდან ღებულობდა.

**სტალინის კაბინეტი სტუმრებს ვერ იტევდა, ბელადი ერთმანეთის მიყოლებით იღებდა გენერლებს, მინისტრებს, ელჩებს, სამხედრო ქარხნების ხელმძღვანელებს, მეთაურებს...**

აი, ამ დროს გენერალ დიმიტრი პავლოვს ჯარისკაცები სოკოს საკრეფად ჰყავდა გაგზავნილი, ხოლო ტექნიკა — გამოკეტილი... მოხდა ისე, რომ გერმანელების ერთმა ფუგასურმა ჭურვმა მთელი საბჭოთა ესკადრილია და სატანკო კოლონა ფარეხებში გადაბუგა. აი, ამას ჰქვია სამშობლოს ღალატი!

ერთადერთი, ვინც გერმანელები შეაჩერეს, ეს ბერიას დაქვემდებარებაში მყოფი „ნკვდ“-ს ჯარები იყო... დანარჩენი ყველგან ყველაფერი ჩამოიშალა და მოსკოვთან კომუნიკაცია შეწყდა.

**— როგორც ვიცი, მარშალი ივან კონევიც კინაღამ დახვრიტეს მაშინ!**

— **კონევი** მე-19 არმიის სარდალი იყო და ვიტებსკთან და სმოლენსკთან განცდილი კატასტროფული მარცხის შემდეგ კინაღამ ტყვედ ჩავარდა. მაშინ **ჟუკოვმა** გადაარჩინა გენერალ-ლეიტენანტი **ივანე კონევი,** რადგან პავლოვის მსგავსად, გერმანელებს ისიც სრულიად მოუმზადებელი დახვდა. მაგრამ **კონევს** ჯარისკაცები სოკოს საკრეფად ნამდვილად არ გაუგზავნია...

**— როდის დაიწყო შემობრუნება „წითელ არმიაში“?**

— გერმანიასთან ომში შემობრუნება მას შემდეგ დაიწყო, რაც სამხედრო ხელმძღვანელობა თავის თავზე **პირადად სტალინმა** აიღო. **სწორედ სტალინმა გადაარჩინა მოსკოვი და ლენინგრადი დაცემას...** 1941 წლის ივლისიდან 60 წლის **სტალინმა** ომის ხელოვნების შესწავლა ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო და მეორე მსოფლიო ომი მოიგო!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***
***გაგრძელება იქნება***

## „ისტორიკოსმა კარპოვმა შეისწავლა და გამოაქვეყნა იმ ჟურნალის ჩანაწერები, რომელშიც ომის დაწყების პირველ დღეებში სტალინთან შემსვლელთა და გამომსვლელთა გვარები, სახელები და ვიზიტების დრო ფიქსირდებოდა...“

**ომის დაწყების წინ?**

— აი, მაგალითად ავიღოთ დასავლეთის ფრონტის სარდალი, სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი და საბჭოთა კავშირის გმირი **დიმიტრი პავლოვი,** რომელიც 1941 წლის 22 ივლისს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ სამშობლოს ღალატის ბრალდებით დახვრიტა... 1957 წელს ნაძირალა **ნიკიტა ხრუშჩოვმა** მისი სრული რეაბილიტაცია მოახდინა. დღევანდელი გადასახედიდან აშკარაა, რომ პავლოვი დახვრეტას იმსახურებდა, რადგან რაც მან გააკეთა, ეს სწორედ სამშობლოს ღალატი იყო...

**— მაინც რა ჩაიდინა?**

— 1941 წლის 22 ივნისამდე 24 საათით ადრე ყველა ფრონტის სარდალს მოსკოვიდან მიუვიდა დაშიფრული ცნობა იმის შესახებ, რომ ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირზე თავდასხმას აპირებდა. ცხადია, ასეთი ცნობა მიიღო დასავლეთის ფრონტის სარდალმა, **გენერალმა პავლოვმაც.** ეს ის დასავლეთის ფრონტია, საიდანაც ფაშისტური ვერმახტის ძირითადი ძალები შემოვიდნენ და 1941 წლის 28 ივნისს მინსკი დაიკავეს. სწორედ დასავლეთის ფრონტი იყო ჰიტლერის მთავარი სამიზნე და ამ დროს **გენერალ-პოლკოვნიკმა პავლოვმა** მთელი თავისი ჯარი, ფაქტობრივად, დამალა და ჯარისკაცები ორი დღით სოკოსა და კენკრის საკრეფად შვებულებაში გაუშვა!

**— ცნობა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ პავლოვს მოსკოვიდან უკვე მიღებული ჰქონდა?**

— დიახ, მოსკოვიდან ცნობა მიღებული ჰქონდა და გერმანიის მიერ ომის დაწყების შესახებ გაფრთხილებულიც იყო, მაგრამ იმედოვნებდა, რომ საზღვარს ორი დღის შემდეგ, კერძოდ, 1941 წლის 23 ივნისიდან გაამაგრებდა!

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერი რომ საბჭოთა კავშირს თავს დაესხა, გერმანელებს დასავლეთის ფრონტზე წინააღმდეგობის გამწევი, ფაქტობრივად, არავინ დახვდათ. ფარეხებიდან და ანგარებიდან გაშლილ ველზე გაყვანილი არ იყო არც ტანკები, ხოლო უამრავი თვითმ-

### 1941 წლის 21 ივნისი

| | |
|---|---|
| 1. ამხ. მოლოტოვი | 18.27 - 23.00 |
| 2. ამხ. ვოროშილოვი | 19.05 - 23.00 |
| 3. ამხ. ბერია | 19.05 - 23.00 |
| 4. ამხ. ვოზნესენსკი | 19.05 - 20.15 |
| 5. ამხ. მალენკოვი | 19.05 - 22.20 |
| 6. ამხ. კუზნეცოვი | 19.05 - 20.15 |
| 7. ამხ. ტიმოშენკო | 19.05 - 20.15 |
| 8. ამხ. საფონოვი | 19.05 - 20.15 |
| 9. ამხ. ტიმოშენკო | 20.50 - 22.20 |
| 10. ამხ. ჟუკოვი | 20.50 - 22.20 |
| 11. ამხ. ბუდიონი | 20.50 - 22.00 |
| 12. ამხ. მეხლისი | 21.55 - 22.20 |
| 13. ამხ. ბერია | 22.40 - 23.00 |

(დოკუმენტში ასეა)
*ბოლო მომსვლელები 23.00-ზე გამოვიდნენ*

### 1941 წლის 22 ივნისი

| | |
|---|---|
| 1. ამხ. მოლოტოვი | 05.45 - 12.05 |
| 2. ამხ. ბერია | 05.45 - 09.20 |
| 3. ამხ. ტიმოშენკო | 05.45 - 08.30 |
| 4. ამხ. მეხლისი | 05.45 - 08.30 |
| 5. ამხ. ჟუკოვი | 05.45 - 08.30 |
| 6. ამხ. მალენკოვი | 07.30 - 09.20 |
| 7. ამხ. მიქოიანი | 07.55 - 09.30 |
| 8. ამხ. კაგანოვიჩი | 08.00 - 09.35 |
| 9. ამხ. ვოროშილოვი | 08.00 - 10.15 |
| 10. ამხ. ვიშინსკი | 07.30 - 10.40 |
| 11. ამხ. კუზნეცოვი | 08.15 - 08.30 |
| 12. ამხ. დიმიტროვი | 08.40 - 10.40 |
| 13. ამხ. მანუილსკი | 08.40 - 10.40 |
| 14. ამხ. კუზნეცოვი | 09.40 - 10.20 |
| 15. ამხ. მიქოიანი | 09.50 - 10.30 |
| 16. ამხ. მოლოტოვი | 12.25 - 16.45 |
| 17. ამხ. ვოროშილოვი | [11].40 - 12.05 |
| 18. ამხ. ბერია | 11.30 - 12.00 |
| 19. ამხ. მალენკოვი | 11.30 - 12.00 |
| 20. ამხ. ვოროშილოვი | 12.30 - 16.45 |
| 21. ამხ. მიქოიანი | 12.30 - 14.30 |
| 22. ამხ. ვიშინსკი | 13.05 - 15.25 |
| 23. ამხ. შაპოშნიკოვი | 13.15 - 16.00 |
| 24. ამხ. ტიმოშენკო | 14.00 - 16.00 |
| 25. ამხ. ჟუკოვი | 14.00 - 16.00 |
| 26. ამხ. ვატუტინი | 14.00 - 16.00 |
| 27. ამხ. კუზნეცოვი | 15.20 - 15.45 |
| 28. ამხ. კულიკი | 15.30 - 16.00 |
| 29. ამხ. ბერია | 16.25 - 16.40 |

*ბოლო მომსვლელები 16.45-ზე გამოვიდნენ*

### 1941 წლის 23 ივნისი

| | |
|---|---|
| 1. ამხ. მოლოტოვი | 03.20 - 06.25 |
| 2. ამხ. ვოროშილოვი | 03.25 - 06.25 |
| 3. ამხ. ბერია | 03.25 - 06.25 |
| 4. ამხ. ტიმოშენკო | 03.30 - 06.10 |
| 5. ამხ. ვატუტინი | 03.30 - 06.10 |
| 6. ამხ. კუზნეცოვი | 03.45 - 05.25 |
| 7. ამხ. კაგანოვიჩი | 04.30 - 05.20 |
| 8. ამხ. ჟიგარევი | 04.35 - 06.10 |

*ბოლო მომსვლელები 06.25-ზე გამოვიდნენ*

### 1941 წლის 23 ივნისი

| | |
|---|---|
| 1. ამხ. მოლოტოვი | 18.45 - 01.25 |
| 2. ამხ. ჟიგარევი | 18.25 - 20.45 |
| 3. ამხ. ტიმოშენკო | 18.50 - 20.45 |
| 4. ამხ. მერკულოვი | 19.10 - 19.25 |
| 5. ამხ. ვოროშილოვი | 20.00 - 01.25 |
| 6. ამხ. ვოზნესენსკი | 20.50 - 14.25 |
| 7. ამხ. მეხლისი | 20.55 - 22.40 |
| 8. ამხ. კაგანოვიჩი | 23.15 - 01.10 |
| 9. ამხ. ვატუტინი | 23.55 - 00.55 |
| 10. ამხ. ტიმოშენკო | 23.55 - 00.55 |
| 11. ამხ. კუზნეცოვი | 23.55 - 00.50 |
| 12. ამხ. ბერია | 24.00 - 01.25 |
| 13. ამხ. ვლასიკი | 00.50 - 00.55 |

*ბოლო მომსვლელები 24.VI.41-ის 01.25-ზე გამოვიდნენ*

### 1941 წლის 24 ივნისი

| | |
|---|---|
| 1. ამხ. მალიშევი | 16.20 - 17.00 |
| 2. ამხ. ვოზნესენსკი | 16.20 - 17.05 |
| 3. ამხ. კუზნეცოვი | 16.20 - 17.05 |
| 4. ამხ. კიზაკოვი (ლენ.) | 16.20 - 17.05 |
| 5. ამხ. ზალცმანი | 16.20 - 17.05 |
| 6. ამხ. პოპოვი | 16.20 - 17.05 |
| 7. ამხ. კუზნეცოვი (საზღვ. ფლ.) | 16.45 - 17.00 |
| 8. ამხ. ბერია | 16.50 - 20.25 |
| 9. ამხ. მოლოტოვი | 17.05 - 21.30 |
| 10. ამხ. ვოროშილოვი | 17.30 - 21.10 |
| 11. ამხ. ტიმოშენკო | 17.30 - 20.55 |
| 12. ამხ. ვატუტინი | 17.30 - 20.55 |
| 13. ამხ. შახურინი | 20.00 - 21.15 |
| 14. ამხ. პეტროვი | 20.00 - 21.15 |
| 15. ამხ. ჟიგარევი | 20.00 - 21.15 |
| 16. ამხ. გოლიკოვი | 20.00 - 21.20 |
| 17. ამხ. შჩერბაკოვი | 18.45 - 20.55. |
| 18. ამხ. კაგანოვიჩი | 19.00 - 20.35 |
| 19. ამხ. სუპრუნი | 20.15 - 20.35 |
| 20. ამხ. ჟდანოვი | 20.55 - 21.30 |

*ბოლო მომსვლელები 21.30-ზე გამოვიდნენ*

### 1941 წლის 25 ივნისი

| | |
|---|---|
| 1. ამხ. მოლოტოვი | 01.00 - 05.50 |
| 2. ამხ. შჩერბაკოვი | 01.05 - 04.30 |
| 3. ამხ. პერესიპკინი | 01.07 - 01.40 |
| 4. ამხ. კაგანოვიჩი | 01.10 - 02.30 |
| 5. ამხ. ბერია | 01.15 - 05.25 |
| 6. ამხ. მერკულოვი | 01.35 - 01.40 |
| 7. ამხ. ტიმოშენკო | 01.40 - 05.50 |
| 8. ამხ. კუზნეცოვი | 01.40 - 05.50 |
| 9. ამხ. ვატუტინი | 01.40 - 05.50 |
| 10. ამხ. მიქოიანი | 02.10 - 05.30 |
| 11. ამხ. მეხლისი | 01.20 - 05.20 |

*ბოლო მომსვლელები 05.50-ზე გამოვიდნენ*

### 1941 წლის 25 ივნისი

| | |
|---|---|
| 1. ამხ. მოლოტოვი | 19.40 - 01.15 |
| 2. ამხ. ვოროშილოვი | 19.40 - 01.15 |
| 3. ამხ. მალიშევი | 20.05 - 21.10 |
| 4. ამხ. ბერია | 20.10 - 21.10 |
| 5. ამხ. სოკოლოვი | 20.10 - 20.55 |
| 6. ამხ. ტიმოშენკო | 20.20 - 24.00 |
| 7. ამხ. ვატუტინი | 20.20 - 21.10 |
| 8. ამხ. ვოზნესენსკი | 20.25 - 21.10 |
| 9. ამხ. კუზნეცოვი | 20.30 - 21.40 |
| 10. ამხ. ფედორენკო | 21.15 - 24.00 |
| 11. ამხ. კაგანოვიჩი | 21.45 - 24.00 |
| 12. ამხ. კუზნეცოვი | 21.50 - 24.00 |
| 13. ამხ. ვატუტინი | 22.10 - 24.00 |
| 14. ამხ. შჩერბაკოვი | 23.00 - 23.50 |
| 15. ამხ. მეხლისი | 20.10 - 24.00 |
| 16. ამხ. ბერია | 00.25 - 01.15 |
| 17. ამხ. ვოზნესენსკი | 00.25 - 01.00 |
| 18. ამხ. ვიშინსკი | 00.35 - 01.00 |

*ბოლო მომსვლელები 01.00-ზე გამოვიდნენ*

### 1941 წლის 26 ივნისი

| | |
|---|---|
| 1. ამხ. კაგანოვიჩი | 12.10 - 16.45 |
| 2. ამხ. მალენკოვი | 12.40 - 16.10 |
| 3. ამხ. ბუდიონი | 12.40 - 16.10 |
| 4. ამხ. ჟიგარევი | 12.40 - 16.10 |
| 5. ამხ. ვოროშილოვი | 12.40 - 16.30 |
| 6. ამხ. მოლოტოვი | 12.50 - 16.50 |
| 7. ამხ. ვატუტინი | 13.00 - 16.10 |
| 8. ამხ. პეტროვი | 13.15 - 16.10 |
| 9. ამხ. კოვალევი | 14.00 - 14.10 |
| 10. ამხ. ფედორენკო | 14.10 - 15.30 |
| 11. ამხ. კუზნეცოვი | 14.50 - 16.10 |
| 12. ამხ. ჟუკოვი | 15.00 - 16.10 |
| 13. ამხ. ბერია | 15.10 - 16.20 |
| 14. ამხ. იაკოვლევი | 15.15 - 16.00 |
| 15. ამხ. ტიმოშენკო | 13.00 - 16.10 |
| 16. ამხ. ვოროშილოვი | 17.45 - 18.25 |
| 17. ამხ. ბერია | 17.45 - 19.20 |
| 18. ამხ. მიქოიანი | 17.50 - 18. 20 |
| 19. ამხ. ვიშინსკი | 18.00 - 18.10 |
| 20. ამხ. მოლოტოვი | 19.00 - 23.20 |
| 21. ამხ. ჟუკოვი | 21.00 - 22.00 |
| 22. ამხ. ვატუტინი | 21.00 - 22.00 |
| 23. ამხ. ტიმოშენკო | 21.00 - 22.00 |
| 24. ამხ. ვოროშილოვი | 21.00 - 22.10 |
| 25. ამხ. ბერია | 21.00 - 22.30 |
| 26. ამხ. კაგანოვიჩი | 21.05 - 22.45 |
| 27. ამხ. შჩერბაკოვი | 22.00 - 22.10 |
| 28. ამხ. კუზნეცოვი | 22.00 - 22.20 |

*ბოლო მომსვლელები 23.20-ზე გამოვიდნენ*

### 1941 წლის 27 ივნისი

| | |
|---|---|
| 1. ამხ. ვოზნესენსკი | 16.30 - 16.40 |
| 2. ამხ. მოლოტოვი | 17.30 - 18.00 |
| 3. ამხ. მიქოიანი | 17.45 - 18.00 |
| 4. ამხ. მოლოტოვი | 19.35 - 19.45 |
| 5. ამხ. მიქოიანი | 19.35 - 19.45 |
| 6. ამხ. მოლოტოვი | 21.25 - 24.00 |
| 7. ამხ. მიქოიანი | 21.25 - 02.35 |
| 8. ამხ. ბერია | 21.25 - 23.00 |
| 9. ამხ. მალენკოვი | 21.30 - 00.47 |
| 10. ამხ. ტიმოშენკო | 21.30 - 23.00 |
| 11. ამხ. ჟუკოვი | 21.30 - 23.00 |
| 12. ამხ. ვატუტინი | 21.30 - 23.50 |
| 13. ამხ. კუზნეცოვი | 21.30 - 23.30 |
| 14. ამხ. ჟიგარევი | 22.05 - 00.45 |
| 15. ამხ. პეტროვი | 22.05 - 00.45 |
| 16. (გვარი გაურკვეველია, როგორც ჩანს, ამხ. სოკოლოვ-სოკოლიონოკი) | 22.05 - 00.45 |
| 17. ამხ. ჟაროვი | 22.05 - 00.45 |
| 18. ამხ. ნიკიტინი | 22.05 - 00.45 |
| 19. ამხ. ტიტოვი | 22.05 - 00.45 |
| 20. ამხ. ვოზნესენსკი | 22.15 - 23.40 |
| 21. ამხ. შახურინი | 22.30 - 23.10 |
| 22. ამხ. დემენტიევი | 22.30 - 23.10 |
| 23. ამხ. შჩერბაკოვი | 23.25 - 24.00 |
| 24. ამხ. შახურინი | 00.40 - 00.50 |
| 25. ამხ. მერკულოვი | 01.00 - 01.30 |
| 26. ამხ. კაგანოვიჩი | 01.10 - 01.35 |
| 27. ამხ. ტიმოშენკო | 01.30 - 02.35 |
| 28. ამხ. გოლიკოვი | 01.30 - 02.35 |
| 29. ამხ. ბერია | 01.30 - 02.35 |
| 30. ამხ. კუზნეცოვი | 01.30 - 02.35 |

*ბოლო მომსვლელები 02.40-ზე გამოვიდნენ*

### 1941 წლის 28 ივნისი

| | |
|---|---|
| 1. ამხ. მოლოტოვი | 19.35 - 00.50 |
| 2. ამხ. მალენკოვი | 19.35 - 23.10 |
| 3. ამხ. ბუდიონი | 19.35 - 19.50 |
| 4. ამხ. მერკულოვი | 19.45 - 20.05 |
| 5. ამხ. ბულგანინი | 20.15 - 20.20 |
| 6. ამხ. ჟიგარევი | 20.20 - 22.10 |
| 7. ამხ. პეტროვი | 20.20 - 22.10 |
| 8. ამხ. ბულგანინი | 20.40 - 20.45 |
| 9. ამხ. ტიმოშენკო | 21.30 - 23.10 |
| 10. ამხ. ჟუკოვი | 21.30 - 23.10 |
| 11. ამხ. გოლიკოვი | 21.30 - 22.55 |
| 12. ამხ. კუზნეცოვი | 21.50 - 23.10 |
| 13. ამხ. კაბანოვი | 22.00 - 22.10 |
| 14. ამხ. სტეფანოვსკი | 22.00 - 22.10 |
| 15. ამხ. სუპრუნი | 22.00 - 22.10 |
| 16. ამხ. ბერია | 22.40 - 00.50 |
| 17. ამხ. უსტინოვი | 22.55 - 23.10 |
| 18. ამხ. იაკოვლევი (თავდაცვის სახკომატიდან) | 22.55 - 23.10 |
| 19. ამხ. შჩერბაკოვი | 22.10 - 23.30 |
| 20. ამხ. მიქოიანი | 23.30 - 00.50 |
| 21. ამხ. მერკულოვი | 24.00 - 00.15 |

*ბოლო მომსვლელები 00.50-ზე გამოვიდნენ*

**ომის დაწყების ამბავს რომ შეიტყობს, მძიმე ავადმყოფი სტალინი სასწრაფოდ მიემგზავრება კრემლში და 05.45-დან 16.45-მდე თავის კაბინეტში მუშაობს პოლიტბიუროს წევრებთან და უმაღლეს სარდლებთან ერთად. ამ ხნის განმავლობაში მან ხელი მოაწერა სსრკ შეიარაღებული ძალებისთვის დირექტივას ჰიტლერელთა აგრესიის მოგერიების შესახებ, ბრძანებულებას მობილიზაციის ჩატარების და ქვეყნის ევროპულ ნაწილში სამხედრო მდგომარეობის შემოღების შესახებ, მთავარსარდლობის ბანაკის შექმნის შესახებ და ბევრ სხვა დოკუმენტს. მომდევნო დღეებშიც, ავადმყოფობის მიუხედავად, სტალინი ყოველდღე მუშაობდა კრემლში.**

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

## ცნობილია, რომ ომის დროსაც და მის შემდეგაც სტალინი დაუნდობელი იყო გერმანიაში ქურდობასა და მაროდიორობაში ეჭვმიტანილ ცნობილ მხედართმთავართა მიმართ. შეგიძლიათ, კონკრეტული მაგალითები დაგვისახელოთ?

მაგალითები, რომლებიც თვალნათლივ ადასტურებს **ი. სტალინის** შეურიგებლობას მუნდირის შემარცხვენელი მხედართმთავრების მიმართ, მრავლად მოიპოვება. დაგისახელებთ რამდენიმე განსაკუთრებით დამახასიათებელ შემთხვევას. **გენერალ-ლეიტენანტი კრიუკოვი,** საბჭოთა კავშირის გმირი, გერმანიაში მოხვედრის შემდეგ არაფერს თაკილობდა და ვაგონებით აგზავნიდა სამშობლოში ნაძარცვ ქონებას. მის მაროდიორობაზე ანონიმური სიგნალების მიღების შემდეგ **სტალინმა კრიუკოვის** საქმიანობის შემოწმება ბრძანა. **აბაკუმოვის უწყების (СМЕРШ)** მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ ფაქტები დაადასტურა. ამასთან, გაირკვა, რომ **გენერალი კრიუკოვის** და მისი ცოლის — ცნობილი მომღერლის **ლიდია რუსლანოვას** მფარველობით ფუნქციონირებდა ევაკოჰოსპიტლად შენიღბული მოძრავი საროსკიპო, რომელიც წითელი არმიის უმაღლეს ოფიცრობას ემსახურებოდა. რუსეთის პრესა დღემდე გულამოსკვნილი დასტირის 10 წლით ბანაკში გამწესებული **რუსლანოვას** ნაღვლიან ბედს, არადა, ის მხოლოდ **„მამაშა“** კი არა, გერმანიაში ნაძარცვის რეალიზატორიც გახლდათ. მისი ქმრის ხვედრი კიდევ უფრო მწარე აღმოჩნდა. სამხედრო ტრიბუნალმა **კრიუკოვს** წოდება და ჯილდოები ჩამოართვა და დახვრეტა მიუსაჯა, რომელიც შემდეგ **25 წლის** პატიმრობით შეეცვალა. მაროდიორი **ხრუშჩოვის** დროს გაათავისუფლეს, სხვათაშორის, სამხედრო წოდებაც აღუდგინეს და ამგვარად **„სტალინური თვითნებობის“** თვალსაჩინო მსხვერპლად აქციეს.



გენერალ-ლეიტენანტი კრიუკოვი მეუღლესთან – ლიდია რუსლანოვასთან ერთად



ტელეგინი, სიდნევი, აბაკუმოვი და ჟუკოვი

მეორე მაგალითი — **გენერალ-ლეიტენანტი ტელეგინი,** მოსკოვის დაცვის ერთ-ერთი გმირი, ომის შემდეგ ბერლინში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების სამხედრო საბჭოს წევრი. გამოძიებამ დაადგინა, რომ ამ პოსტზე ყოფნისას **ტელეგინი** ჩალის ფასად იძენდა გერმანელებისგან ფასეულობებს, რომლებიც ხაზინაში ჩაბარებას ექვემდებარებოდა. ტრიბუნალმა მას **25-წლიანი** პატიმრობა მიუსაჯა. **1958 წელს ხრუშჩოვმა** შეიწყალა და წოდებაც აღუდგინა.

იგივე ვადა მიესაჯა კიდევ ერთ მაროდიორს — **გენერალ-მაიორ სიდნევს, არმიის კონტრდაზვერვის (СМЕРШ) უფროსის მოადგილეს.** პასუხისმგებლობას ვერც მისი შეფი — **გენერალ-პოლკოვნიკი აბაკუმოვი** გაექცა, რომელიც მაროდიორთა საქმეებს იძიებდა, მაგრამ თვადაც მოასწრო გერმანიაში ხელების მოფათურება. თუმცა, მისი ცოდვები მხოლოდ **1951 წელს** გახდა ცნობილი.

მსგავსი მაგალითი უამრავია.

მაგრამ ჭეშმარიტი **„მაროდიორთა მარშალი“** დიდი მხედართმთავარი **ჟუკოვი** გახლდათ. მისი ბინა და აგარაკები გერმანიიდან გამოზიდული ქონებით იყო გამოჭედილი. გარდა ამისა, არსებობდა ძვირფასეულობით სავსე ჩემოდანი, რომელსაც მარშლის მეუღლე მუდამ თან დაატარებდა. გამოძიების მასალების მიღების შემდეგ **სტალინმა** მარშალი გამოიძახა და ყველა ფასეულობის ხაზინაში ჩაბარება უბრძანა. **ჟუკოვი,** ბუნებრივია, დაემორჩილა, მონანიების ბარათი დაწერა და უკანასკნელ სამშვენისამდე ყველაფერი ჩააბარა. **ბელადმა** მხოლოდ მასთან დაკავშირებით გამოიჩინა გულმოწყალება. მარშალი რეპრესირებული არ ყოფილა, **სტალინმა** ის თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან მოხსნა და ჯერ ოდესის, შემდეგ კი ურალის სამხედრო ოლქის სარდლად გადაიყვანა.





## ი. სტალინის ბავშვობის მეგობარი იოსებ ირემაშვილი იყო, რომელიც შემდგომში მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე გახდა. გთხოვთ, უფრო დაწვრილებით გვიამბოთ ამ ადამიანზე



იოსებ ირემაშვილი **1878 წელს დაიბადა გორში. სტალინთან** ერთად სწავლობდა **გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი ტფილისის სემინარიაში.** ის იმდენად ახლოს იყო თავის მეგობარ **სოსო ჯუღაშვილთან,** განსაკუთრებით კი მის ოჯახთან, რომ **სტალინის დედა ეკატერინე ჯუღაშვილი „ჩემს მეორე სოსოს“** ეძახდა. **სტალინისა** არ იყოს, **ირემაშვილიც** ადრე გაიტაცა მარქსიზმმა, რსდმპ-ში შევიდა, იატაკქვეშა რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა და ერთხანს **„მესამე დასის“** ბოლშევიკურ ფრთასაც კი დაუახლოვდა. მაგრამ თებერვლის რევოლუციის შემდეგ მეგობრების გზები გაიყარა. **ირემაშვილი** მენშევიკებს მიეკედლა. **1921 წლის თებერვალში,** საქართველოში მე-11 არმიის შემოსვლის და გასაბჭოების შემდეგ **იოსებ ირემაშვილი** სხვა ცნობილ მენშევიკებთან ერთად დააპატიმრეს, თუმცა, მას არცერთი პარტიული პოსტი არ ეკავა და საქართველოში მენშევიკთა მმართველობის მთელი პერიოდი სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. სხვათაშორის, ის **სტალინის უფროსი ვაჟის — იაკობ ჯუღაშვილის** ერთ-ერთი პედაგოგი იყო. პატიმრობაში **ირემაშვილმა** თითქმის ერთი წელი გაატარა. მისმა **დამ სტალინთან** დაკავშირება შეძლო და დახმარება სთხოვა. შედეგად **1922 წლის** დასაწყისში **იოსებ ირემაშვილი** გაათავისუფლეს და ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრის **სტალინის** განკარგულებით გათავისუფლებული სხვა მენშევიკების ჯგუფთან ერთად საზღვარგარეთ გაასახლეს. თავდაპირველად ის გერმანიაში დამკვიდრდა. **1932 წელს ბერლინში** გამოვიდა მისი მოგონებების წიგნი **„სტალინი და საქართველოს ტრაგედია“.** მასში ავტორი პირდაპირ ადანაშაულებს სიყრმის მეგობარს საქართველოს გასაბჭოებაში, პრორუსულ კოლონიალიზმსა და სხვა ცოდვებში. მაგრამ ირემაშვილის წიგნი ყამწვილი **სტალინის** ცხოვრების დეტალებით, მისი ოჯახის ამბებითაა საინტერესო. საგულისხმოა, რომ **ბელადის დედაზე ირემაშვილი** აღფრთოვანებით საუბრობს, **მამას — ბესო ჯუღაშვილს** კი მხოლოდ შავი ფერით ხატავს. დიდი სიმპათიით წერს **ირემაშვილი სტალინის პირველ ცოლზე — ეკატერინე სვანიძეზე.** სხვათაშორის, სტალინის მეგობრებიდან ერთადერთი ის დაესწრო **კატოს** დაკრძალვას.

წიგნი **„სტალინი და საქართველოს ტრაგედია“** დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. რუსულად ის ნაწილობრივ ითარგმნა და **80-იანი წლების ბოლოს — 90-იანის დასაწყისში პრესაში ქვეყნდებოდა.** ქართულად, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, წიგნი არ უთარგმნიათ.

ხელისუფლებაში ნაცისტების მისვლის შემდეგ ირემაშვილი საფრანგეთში გადავიდა. პოლიტიკურ საქმიანობას არ ეწეოდა. გარდაიცვალა **1944 წელს** პარიზში.



იოსებ ირემაშვილი

## სადღაც წამიკითხავს, რომ ომის დროს მოკავშირეების მიერ მეორე ფრონტის გახსნის დაყოვნების მიზეზად იქცა საკითხი – სად გაეხსნათ იგი. სტალინი საფრანგეთის ჩრდილოეთს მოითხოვდა, ჩერჩილს ჯარების გადასხმა იუგოსლავიაში სურდა, ასახელებდნენ სხვა პუნქტებსაც. იქნებ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ ამის შესახებ.

მთავარ მიზეზად, ჩემი აზრით, უნდა ჩაითვალოს არა მოკავშირეთა ჯარების გადასხდომის ადგილი, არამედ მათი მისწრაფება, ორივე მეომარი მხარე დაესუსტებინათ და წითელი არმიის გამძლეობა გამოეცადათ. როდესაც აშკარა გახდა, რომ საბჭოთა კავშირი **ჰიტლერულ გერმანიას** სხვათა დახმარების გარეშეც გაუმკლავდება (1944 წლის გაზაფხული), მეორე ფრონტი გაიხსნა, თანაც იქ, სადაც **სტალინი** ითხოვდა — ნორმანდიაში.

რაც შეეხება სხვა ვარიანტებს, მოკავშირეები მათ ნამდვილად სთავაზობდნენ. განსაკუთრებით **იუგოსლავიას** ჩასციებოდნენ. გათვლა ნათელი იყო, მათი ჯარები აღმოსავლეთ ევროპაში მოხვდებოდნენ, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. მაგრამ **ბელადმა** ეს ვარიანტი უარყო და განაცხადა, რომ **იუგოსლავიაში** ფრონტი უკვე არსებობს — იქ **იუგოსლავიის** სახალხო-განმათავისუფლებელი არმიაა განლაგებული. **ჩერჩილმა** თავისი დესპანის ლორდი **ბივერბრუკის** მეშვეობით ჯერ კიდევ **1941 წლის სექტემბერში** შესთავაზა **სტალინს** დახმარება და შეუთვალა, რომ **„ირანში თავმოყრილ ბრიტანეთის ჯარებს შეუძლიათ წითელი არმიის მხარდასაჭერად კავკასიისკენ დაიძრან“.** კავკასიის დაუფლება ძველთაგანვე ბრიტანეთის ოცნება გახლდათ. მაშინ ხომ არავინ იცოდა, როგორ დამთავრდებოდა ომი — საბჭოთა ჯარები ყველგან უკან იხევდნენ, ბრიტანელები კი ამასობაში კავკასიაში გამაგრდებოდნენ. მაგრამ **სტალინმა** იოლად აუარა გვერდი ამ **„ხაფანგს“** და ცივად უპასუხა: **„კავკასიაში ომი არ არის, ომი ბელორუსიასა და უკრაინაში მიმდინარეობს“.**



ჩერჩილი, ტრუმენი, სტალინი 1945 წლის 23 ივლისის პოტსდამის კონფერენციაზე


გენერალისიმუსი
2023 წლის 9 ოქტომბერი, №57-58 (225-226)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**



# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად




# თამარ კორძაიამ ქუტაანთ უბორნიაში წაუქვითინა!

მეგონა, საკონსტიტუციო სასამართლოს დარბაზი გადაიჭედებოდა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდოდაო... თუმცა, შევცდი, როგორც აღმოჩნდა, ხალხს ეს თემა არ აინტერესებს და, საერთოდაც, მგონი, აღარაფერი აინტერესებსო.

წარმოგიდგენიათ? **ყოველ ჯერზე რაღაცნაირად და რატომღაც გადეპუტატებულ კორძაიას** ეგონა, რომ სალომე ზურაბიშვილის საიმპიჩმენტო პროცედურის გამო ჯერ საკონსტიტუციო სასამართლოს დარბაზი გადაიჭედებოდა, შემდეგ კი ასიათასობით ადამიანი ქუჩაში გამოვიდოდა და **მადამ პლეზიდანს** დაიცავდა.

☺

აი, აქედანაც ნათლად ჩანს, რომ პოლიტიკოსობა მხოლოდ პარტიულ სიაში ჩასმა, საკანონმდებლო ორგანოში წამოჯდომა და ნაცების თითის დაქნევაზე ისტერიკების მოწყობა არ არი... პოლიტიკოსობა, უპირველესად, რეალობის აღქმა და სიტუაციის სწორი შეფასებაა. შენ რაც გინდა, იმას რომ რეალობად წარმოაჩენ, ეს უკვე უნიჭო ილუზიონისტობაა. ან კი, თუ ადამიანი ოდნავ მაინც აზროვნებ, რატომ უნდა გეგონოს, რომ **მადამ პლეზიდანის** გამო საქართველოს მოსახლეობა ქუჩაში გამოვა?

ეეეეჰ... ამას ისიც ეგონა, **სააკაშვილი** რომ ჩამოვიდოდა, თბილისის ქუჩებში ნემსი აღარ ჩავარდებოდა, მაგრამ ხელში **„სმეტანის ბანკაში" ჩავარდნილი სირთაოზი** შერჩა!



# სამი სალომე

**ირაკლი კობახიძე** საკონსტიტუციო სასამართლოში უფასო გაკვეთილებს რო ატარებს, **მადამ პლეზიდანი,** მისი წარმომადგენლები და მათნაირები რამეს სწავლობენ?

სხვათაშორის, ისიც მაინტერესებს, **ჩუგოშვილისა** და **კოპალეიშვილის** „წამება" როდემდე უნდა გაგრძელდეს?

**განა ეს არ არი არაადამიანური მოპყრობა?**

**ფიქრობთ, რომ მხოლოდ ჰარაკირია?**

**კი მაგრამ, მე რო დავიწვი მაგათი ცოდვით, ეგ არაფერი?!**



☺

და, საერთოდ, გინახავთ ერთად **სამი სალომე,** მიუხედავად იმისა, რომ ერთი მათგანი იმ ორს საკონსტიტუციო სასამართლოში არც კი წამოუღიათ?




# რევოლუცია გინდებლარიენ? «პაქალუსტა!»

ჰმ... ემზადებიან თურმე, ვიღაც **სერბი მაწანწალები** მოუწვევიათ, ფულიც გადაუხდიათ — დაგვატრეინინგეთ, პარლამენტის წინ რომ გავალთ საპროტესტოდ, როგორი მიხვრა-მოხვრა, გამომეტყველება და ჟესტიკულაცია უნდა გვქონდეს, რათა ხელისუფლება შევაშინოთო.

ესენიც უხსნიან — **მუშტი უნდა აღმართოთ, ფეხები მხრების სიგანეზე გადგათ და მრისხანე გამომეტყველება მიიღოთ, ეგრე მარტო ხელისუფლებას კი არა, მის მომხრეებსაც შეეშინდებათ, შეიძლება, წითელი ხიდისკენაც გაჰკურცხლონო.**

მეთოდები აშკარად მოუძველდათ ამ ჩემის კირაკოსიანებს!

ისევ **„კმარა, „ოტპორი", ჯანდაბა და დოზანაო...** იმას აღარ უყურებენ, ქართველმა ხალხმა რა გამოიარა, რა ნახა, რა ისწავლა, რაზე თქვა უარი... არც იმას უყურებენ, ქართველ ხალხს რა უნდა, რა სურს, საით ისწრაფვის... რაღა დროს რევოლუცია და აღმა-დაღმა თოფით სირბილია? დიახ, **ეგ კინო უკვე ვნახეთ, თანაც რამდენიმე სერია და აღარ ვაპირებთ, ხელახლა ვნახოთ!**

**არა, მართლა გინდებლარიენ რევოლუცია?** „პაჟალუსტა", ოღონდ მერე თავპირი რო ჩაგელეწებათ, არ დაიწყოთ, რათაო? რათა და **იმათაო!** და თუ არ გაწყობთ, **მთლა იმითაო!**

# მწნილები და დამწნილებული პოლიტიკოსები



გიკვირთ, რატომ დაძრწიან ბაზრებში და **რატომ იწევენ მაინცდამაინც მწნილებისკენ?** არსებობს მყარი ვერსია, რომ 1789 წელს საფრანგეთში რევოლუცია სწორედ **მწნილის გამო** დაიწყო.

დიახ, ერთ ადგილზე, სადაც ყოველთვის იყიდებოდა შესანიშნავი **მწნილები,** ერთმანეთს გადაეყარნენ რესპუბლიკანიზმისა და აბსოლუტური მონარქიზმის მომხრეები. როდესაც **მწნილი** დააგემოვნეს და კაი გვარიანადაც გამოტყვრნენ, დიდი დებოშიც ატეხეს. აი, აქედან დაიწყო ის ტრაგედია, რაც შემდეგ უდიდეს სისხლისღვრაში გადაიზარდა და 10 წელიწადს გაგრძელდა.

☺

**როგორც ჩანს, ნაცმოძრაობაში ვიღაცამ საფრანგეთის რევოლუციის საფუძვლები შეისწავლა და დაადგინა, რომ სხვა გამოსავალი აღარ არსებობს — ხსნა და გამარჯვება ისევ ბაზარსა და მწნილებშია.**

ნუ გეცინებათ... თავის დროზე ფრანგებიც ეგრე იცინოდნენ, მაგრამ ის სიცილი ძალიან ძვირი დაუჯდათ.

ახლა ჩვენ თავი იმით უნდა დავიმშვიდოთ, რომ ნაცმოძრაობაში **მაქსიმილიან რობესპიერის** ნაცვლად **კურკუმალ ხაბეიშვილი** ჰყავთ, **ნაპოლეონ ბონაპარტის** ნაცვლად — **პეტრე ცისკარიშვილი, ჟოზეფ ფუშეს** ნაცვლად — **გია ბარამიძე, ჟან პოლ მარატის** ნაცვლად — **კობა ხაბაზი.**

თუმცა, მთლად დასამშვიდებლადაც აღარ გვაქვს საქმე, ხვალ რომ ნაცებში ახალი **რობესპიერი** გამოჩნდეს მიხა სააკაშვილის სახით, მერე სად მივდივართ? ხომ იძახის, ელოდეთ ჩემგან სიურპრიზებსო?

და განა შემთხვევითია, რომ დღეს რევოლუციური იდეებით აღტყინებულ საზოგადოებრიობას საფრანგეთის მოქალაქე უდგას სათავეში?

არა, მეგობრებო, არ არის შემთხვევითი და სწორედ ამიტომაც უნდა ვიყოთ ყურადღებით... **თქვენ რომ გგონიათ, მწნილი უვნებელი საკვებია, არც მთლად ეგრეა საქმე, მწნილი მიზეზი შეიძლება გახდეს რევოლუციისა...** მით უფრო, თუ მას თავად **დამწნილებული პოლიტიკოსები** დაიწყებენ!



# სირების სეირი

ამან გუშინწინ ჭუტაანთ უბორნიიდან ისეთი რამე თქვა, აქამომდე მეგის ქარდავასაც რომ არ უთქვამს: **ხალხო, არჩევნებში ჩვენ მხარი იმიტომაც უნდა დაგვიჭიროთ, რომ სეირს უყუროთო...** არა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **სეირის ყურება** მაინც არ გინდათო? მხარი დაგვიჭირეთ და მერე ნახავთ, როგორ დაისჯებიან ესენიო!

გაიგონეთ? ეს ყველაფერი ბრძანა ერთ-ერთმა **გია ჟანტურიამ.**

**მხარი დაგვიჭირეთ, ხელისუფლებაში დავბრუნდებით და სეირსაც გაყურებინებთო...**

☺

არა, შეიძლება **მეგის ქარდავამ** ბევრი ფილმი გადაიღო, ბევრი აწამა, ბევრს პანჩური ამოარტყა, მაგრამ სიტყვიერად მაინც „ჰუმანისტად" დარჩა, ასეთი რამ არ უთქვამს. ისე კი — **რა სეირი, რი სეირი? სირების სეირმა, ემანდ, თავად არ გიწიოთ!**

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР ქვესელავა აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ ლიკვიდაციას ედუარდ შევარდნაძე თავისი კარის ინტელიგენციის მეშვეობით ამზადებდა და რომ მიცვალებულებს, რომლებმაც ქვეყანა დაღუპეს, ჩვენ ვერ გავასამართლებთ, მაგრამ ისინი უნდა გაიკიცხონ და მომავალ თაობებს მათი ავი საქმეების შესახებ ემცნოს:***





კონსტანტინე (კოკო), გიორგი და ცოტნე გამსახურდიები საქართველოში ჩამოსვენებული ზვიად გამსახურდიას სამოქალაქო პანაშვიდზე კოლხურ კოშკში. 2007 წლის, მარტი

# იგორ ქვესელავა:

# კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ბატონ კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდიას– დაასახელოს მამის მკვლელი!

— ზვიად გამსახურდიას მკვლელობაზე ამ რამდენიმე წლის წინათ „ასავალ-დასავალს“ ძალიან საინტერესო რამ უთხრა საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, აწ განსვენებულმა გენერალმა **შოთა გორგოძემ.** მისი განცხადებით,

*„პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიება იმ ხალხის დაკითხვით უნდა დაეწყოთ, ვინც მას ბოლო დღეებში ვითომ იცავდა და გვერდიდან არ შორდებოდა!“*

**გორგოძე** დარწმუნებული იყო, რომ ზვიად გამსახურდია ჯიხაშკარიდან ძველი ხიბულისკენ მიმავალ გზაზე დაატყვევეს და **კარლო ღურწკაიას** სახლში მისი ორეული მიიყვანეს. **შოთა გორგოძემ,** რომელსაც შინაგანი კონფლიქტი ჰქონდა შევარდნაძესთან, ზვიადის მკვლელობის შესახებ ბევრი რამ იცოდა, მაგრამ ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, ყველაფერი მაინც არ თქვა!

იმ გადატრიალების საფრთხის წინაშე, რომლის უკანაც ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი ერთად იდგნენ, საქართველო დღესაც დგას. საქართველოს უბედურებაა ის, რომ ერთი და იგივე ხალხი ხან ხელისუფლების, ხანაც ოპოზიციის და ხან ე.წ. „არასამთავრობოთა“ რიგებიდან მორიგეობით არყევს ქვეყანას. სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალებიდან ოცდაათ წელზე მეტი ხანი გავიდა და ქვეყანა ვერა და ვერ დაწყნარდა!

**— რა არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი?**

— ამ სიტუაციიდან გამოსავალი ერთადერთია — **ლუსტრაციის კანონის** ამოქმედება და იმ პირებისთვის, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალებაში რაღაც ფორმით მაინც მონაწილეობდნენ, პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა! **შევარდნაძის** გამონათქვამებს თუ გავიხსენებთ, მაშინვე მივხვდებით, რომ ედუარდი ზვიად გამსახურდიას მკვლელობის თემას სულ გარშემო უტრიალებდა და ამ საკითხზე რამდენი განცხადებაც გააკეთა, იმდენი აღიარებითი ჩვენება მოგვცა!

მისი ერთ-ერთი განცხადება, რომელიც მთავრობის სხდომაზე გაჟღერდა, ვიცით —

*„პინოჩეტს ჩილე რომ აეყვავებინა, ალიენდე უნდა მოეკლა და ის ხალხი გაენადგურებინა, რომელსაც დემოკრატიისკენ მიჰყავდა ქვეყანა!“*

საინტერესოა, შევარდნაძის კიდევ ორი განცხადება:

*1. „ზვიად გამსახურდია წავიდა თავისი ნებით აქედან... და კიდევ კარგი, რომ არ ესროლეს!“ 2. „რაიმე ოპერაცია ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დაგეგმილი არ ყოფილა, რომ ყოფილიყო, მე მეცოდინებოდა და ჩემი ინიციატივით იქნებოდა!“*

ამ სამი განცხადების ელემენტარული ანალიზიც კი ადასტურებს, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა სწორედ **ედუარდ შევარდნაძის** კისერზეა! თუ ამას დავუმატებთ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ყოფილი შეფის **ირაკლი ბათიაშვილის** სკანდალურ განცხადებას, რომელიც მან 2004 წლის 27 დეკემბერს პრესაში გააკეთა, დანაშაულის ჩამდენთა წრე აშკარად შეიკვრება. მოგეხსენებათ, ბათიაშვილმა მაშინ ასეთი რამ განაცხადა —

*„გამსახურდიას მკვლელობაში შესაძლოა, უცხო ძალაც ერია, მაგრამ ფულის გადამხდელიც, ამღებიც და მკვლელიც ქართველი იყო!“*

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ბატონ **კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდიას,** დაასახელოს მამის მკვლელი! მოგეხსენებათ, 2007 წლის 5 მარტს გაზეთ „კვირის პალიტრას“ მან განუცხადა —

*„ზვიად გამსახურდიას გიორგაძის, კვირაიას, იოსელიანის და გულუას სპეცრაზმები მისდევდნენ. ერთ-ერთი ჯგუფის წევრმა დახვრიტა ზვიად გამსახურდია. დადგება დრო, როცა ამას საჯაროდ განვაცხადებ!“*

საინტერესოა, ამ განცხადებიდან 16 წელი გავიდა და აღარ დადგა დრო, რომ პირველი პრეზიდენტის მკვლელს ხელი დაედოს? თუ კაცს ჭკუა-გონების ნატამალი ჰქონდა შერჩენილი



ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ლეგენდარულ მისიონერთან – დედა ტერეზასთან ერთად. თბილისი, 1989 წლის ივნისი

## კვირგვინოსნები

**სერგო ედიშერაშვილი**
*ფოტოგრაფი*



**ზვიად გამსახურდია იყო ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური ადამიანი, ვისაც ვიცნობდი.** არასოდეს უთქვამს, დაპირისპირებას დაპირისპირებითა და ძალით უნდა ვუპასუხოთო. პირიქით, ამბობდა, **აუცილებლად შევრიგდებითო.** ომის დაწყებიდან სამი დღით ადრე შევხვდი და **ისევ შერიგებაზე ლაპარაკობდა.** რაც მოხდა, მისი გარემოცვის დამსახურება იყო, რომელმაც ხელი შეუწყო სისხლისღვრის დაწყებას... **მე ედუარდ შევარდნაძესთანაც** ვმუშაობდი, როდესაც უკვე ერთიანად **კრიმინალიზებულ ქვეყანაში ვცხოვრობდით.** ის სხვანაირად ცდილობდა დაპირისპირების შეწყვეტას, **უემოციოდ იშორებდა კრიმინალებს.** ჭადრაკის დაფაზე რომ სვლებს გაითვლი, ისე ჰქონდა გათვლილი ეს პროცესი. თუმცა, **სიძულვილის აურა,** რომელიც გრიგალივით მოგვდევდა, ვერც მის დროს მოისპო, ვერც შემდგომი ხელისუფლებისას და ახლაც გრძელდება.

„კვირის პალიტრა“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



რადიკალური ოპოზიციის გეგმა ასეთია — **იქნებ, ლობისტებისა და სხვების მეშვეობით მიაღწიონ, რომ კანდიდატის სტატუსი ისევ არ მოგვცენ** და ამის გამო შეიკრიბოს ახალგაზრდობა. **პროვოკაციების მოწყობის ნამდვილი პროფესიონალები არიან.**

„TV იმედი“

**რაულ ჩილაჩავა**
*პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი, დიპლომატი*



**არასოდეს** დანებდე განსაცდელს, **არასოდეს** დარჩე სხვის იმედად, **არასოდეს** უღალატო საკუთარ იდეალს!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ირაკლი ჩიქოვანი**
*პარლამენტარი*



ქვეყანაში **არეულობის შესაძლებლობა არ იქნება** და ქართველი საზოგადოება ყველაფერს პასუხს გასცემს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

„რეზონანსი“

# ირაკლი ბათიაშვილი:

# გამსახურდიას მკვლელობაში შესაძლოა, უცხო ძალაც ერია, მაგრამ ფულის გადამხდელიც, ამლებიც და მკვლელიც ქართველი იყო!



და ელემენტარული აზროვნების უნარი გააჩნდა, ადვილად მიხვდებოდა, რომ **შევარდნაძეს, რომელიც ვითომდა შენიღბულად მოქმედებდა, სინამდვილეში საქართველოში თავისი ჩამოსვლის რეალური მიზანი — ქვეყნის დაქცევა და ზვიად გამსახურდიას მკვლელობა არასოდეს დაუმალავს!** ასე, მაგალითად, აფხაზეთში ომის დაწყებამდე რვა დღით ადრე, 1992 წლის 6 აგვისტოს, შევარდნაძის დავალებით, თბილისში, რიყეზე, ხალხი შეკრიბეს და სამთავრობო მიტინგი გამართეს. მიტინგზე შევარდნაძის კარის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გააკეთეს შემდეგი სახის მოწოდება — **„ზვიადისტები უნდა განადგურდნენ, ზვიადისტები უნდა მოისპონ!“**

**— ვინ იყო ამ განცხადების ავტორი?**

— როგორც ვიცი, ეს განცხადება გაახმოვანებინეს **რუსლან მიქაბერიძეს, იზა ორჯონიკიძესა და რომან მიმინოშვილს!** ისე მიტინგზე შეკრებილი შევარდნაძის კარის ინტელიგენციის თითოეული წარმომადგენელი — **ძმები გიორგი და ელდარ შენგელაიები, ჭაბუა ამირეჯიბი, გიგა ლორთქიფანიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ქეთი დოლიძე, ლევან ალექსიძე, გურამ გვერდწითელი, ნოდარ ლომოური** და სხვები ამ მოწოდებასა და პათოსს ეთანხმებოდნენ. არსებობს ცნობა, რომლის თანახმადაც უნიჭიერესი ქართველი კინორეჟისორი **რეზო ესაძე** სახელმწიფო გადატრიალების დღეებში, როცა თბილისში ზარბაზნების კანონადები და ტყვიების წვიმა არ წყდებოდა, დიდ ქართველ მსახიობს, ყველასათვის საყვარელ **ზურაბ ქაფიანიძეს** სახლში ისტერიულად ურეკავდა — შინ რა გაჩერებს, აიღე თოფი და გამსახურდიას ეომეო! იმავე 1992 წლის 6 აგვისტოს გამართულ შევარდნაძის მხარდამჭერთა მიტინგზე გაისმა ასეთი ფრაზაც — **ჩვენ დავაპატიმრეთ ნაძირალა ზაზა გოგიჩაიშვილი, რომელსაც 1991 წლის დეკემბერში სწორედ ზვიად გამსახურდიას დავალებით, ედუარდ შევარდნაძე უნდა გაენადგურებინა! შესაბამისად, უკვე დადგა დრო, როცა ზვიადისტები აქეთ უნდა გავანადგუროთო!** როგორც მკვლევარმა, ბევრი ვეძებე ვინმე **ზაზა გოგიჩაიშვილის** ასავალ-დასავალი, მაგრამ ამ პიროვნებას ვერსად მივაკვლიე. მიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ზაზა გოგიჩაიშვილი ბუნებაში საერთოდ არ არსებობდა და შევარდნაძემ და მისმა გარემოცვამ გამოიგონეს ანდა საერთოდ მოკლეს და გააქრეს. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ **იზა ორჯონიკიძე,** რომლის სახელსაც არაერთი სიბინძურე უკავშირდება...

**— რას გულისხმობთ?**

— არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ, როცა **იზა ორჯონიკიძე** ლიტერატურის მუზეუმის დირექტორად მუშაობდა, შევარდნაძის დავალებით აპირებდა, მოსკოვში გაეგზავნა რეპრესირებული ქართველი მწერლების დაკითხვის ის მასალები, რომლებიც ლიტერატურის მუზეუმში ინახებოდა. **შევარდნაძე და მისი გარემოცვა აპირებდნენ კონსტანტინე გამსახურდიას სახელის ლაფში ამოსვრას და ამ დაკითხვის მასალებით რაღაც მანიპულაციების ჩატარებას.** ამიტომ 1991 წლის ოქტომბერში ეს მასალები ლიტერატურის მუზეუმიდან ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო ფლიგელში გადაიტანეს, ხოლო **იზა ორჯონიკიძის** ადგილზე ცხონებული **გურამ შარაძე** დანიშნეს.

როგორც კი შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა, **იზა ორჯონიკიძე** ისევ მუზეუმის დირექტორად გაამწესა, ხოლო იმ დაკითხვის მასალებს დიდი ხნის განმავლობაში უკირკიტეს, მაგრამ ამ საქმიდან არა გამოვიდა რა...

**1993 წლის სექტემბერში, სოხუმის ჩაბარების წინ, შევარდნაძის ხელისუფლებამ დახურა გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“ და ნადირობა გამოაცხადა მის მთავარ რედაქტორზე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტ, პროფესორ ელიზბარ ჯაველიძეზე, რომელიც ფართო საზოგადოებაში მაშინაც და დღესაც თავისი პრინციპული, ეროვნული პოზიციის გამო დიდად პატივცემული და აღიარებული პიროვნებაა.**

ბატონ ელიზბარს მხედრიონელები დაეძებდნენ და ის მიმალვაში იყო... ბოლოს აკადემიკოსი იძულებული გახდა, საქართველოდან გადახვეწილიყო და ოჯახთან ერთად ემიგრაციაში, კერძოდ, გერმანიაში წასულიყო. შევარდნაძე რომ ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ არსებობას ვერ შეეგუებოდა და პირველ პრეზიდენტს აუცილებლად მოკლავდა, ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა ერთ-ერთ შეკრებაზე, სადაც გაისმა ასეთი მოწოდება — **„ძირს ზვიადიზმი, წილი ნაყარია!“**

**— სად გაისმა ეს მოწოდება?**

— ეს მოწოდება გაისმა საზოგადოება „თბილისელის“ შეკრებაზე 1993 წლის 27 ოქტომბერს. ამ საზოგადოების სათავეში ოფიციალურად იდგა **დავით ციციშვილი,** თორემ სინამდვილეში „თბილისელი“ ჯანსუღ ჩარკვიანის, რეზო ამაშუკელისა და შევარდნაძის გარემოცვაში მყოფი ქართველი მწერლების, პოეტების, თეატრალებისა და ე.წ. „კარგი ბიჭების“ შექმნილი გახლდათ. იმ არეულ დროსა და წლებში, ძირითადად, სწორედ „თბილისელი“ იცავდა თბილისის დასავლეთის კარიბჭეს „სხვა ქართველთა“ შემოტევისაგან. როგორც „მხედრიონსა“ და კიტოვანის ე.წ „გვარდიას“, ისე „თბილისელსაც“ ჰქონდა იმ ხალხის სიები, რომლებიც სამეგრელოში ან აფხაზეთში უნდა დაეყაჩაღებინათ და გაეძარცვათ. მაგალითად, დანამდვილებით შემიძლია, გითხართ, რომ მსგავსი სია არსებობდა აჭარისთვისაც, რომელშიც 5 ათასი კაცი იყო შეყვანილი.

დიახ, შევარდნაძის ბანდებს სიები ჰქონდათ და აჭარაში 5 ათასი კაცი პირწმინდად უნდა გაეძარცვათ, მოეკლათ, გაეუპატიურებინათ და დაეყაჩაღებინათ! ამ 5 ათას კაცში მხოლოდ ზვიად გამსახურდიას მომხრენი არ იყვნენ, აქ შეიყვანეს ის ადამიანებიც, რომლებსაც არავითარი პოლიტიკური ამბიციები არ ჰქონდათ,

გაგრძელება 24-ე გვერდზე



## ნოდარ ლომოური:

**აფხაზეთში წამოწყებული ომი, მისი წარუმატებლობა და გაჭიანურება აფხაზეთის ქართული მოსახლეობის საკმაოდ საგულისხმო ნაწილის, მათ შორის, მეგრელების ბრალია!**



**„როცა იზა ორჯონიკიძე ლიტერატურის მუზეუმის დირექტორად მუშაობდა, შევარდნაძის დავალებით აპირებდა, მოსკოვში გაეგზავნა რეპრესირებული ქართველი მწერლების დაკითხვის ის მასალები, რომლებიც ლიტერატურის მუზეუმში ინახებოდა!“**

## კვირგვინოსნები

**ვახუშტი მენაბდე**
*კონსტიტუციონალისტი*



**ყველა პრეზიდენტს ახსოვდეს,** რომ ოდესღაც მონარქი იყო და რომ **ლუი მე-16-ის გილიოტინაზე აყვანა სახელმწიფოს მეთაურის იმპიჩმენტის პირველი აქტია.**

„ალია“

**ოთარ ზურაბიშვილი**
*სალომე ზურაბიშვილის ძმა*



**იმპიჩმენტი იქნება თუ არ იქნება,** პრეზიდენტი მზად არის, გამოიყენოს ყველა იარაღი, რომ მივიდეს მთავარ მიზანთან. **სალომე ზურაბიშვილი არის დახვეწილი დიპლომატი,** რომელიც მთელ ევროპას იცნობს და **ახალგამოჩეკილი დიპლომატები** რომ რიყავენ საქართველოს მომავალს, მეცინება.

„TV პირველი“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



მე იმ ადამიანთა შორის ვარ, ვისაც ჰგონია, რომ **„ქართული ოცნება“ იმდენ სისულელეს სჩადის, უნდა შეგნებულად არ მიიყვანოს არჩევნებამდე საქმე.** ძალიან დიდ შარში არიან! **კარვები რომ აკრძალონ** კი არა, **ქუჩაში „კალოშით“ გამოსვლაც რომ აკრძალონ,** იმიტომ, რომ „კალოშიც“ კარგად იწვის საბურავივით, ისინი მაინც წავლენ!

„ახალი თაობა“

**ვალერი გელბახიანი**
*ჟურნალისტი*



ნეტავ, ვინ უნდა იყოს **საქართველოს ის მოქალაქე,** რომელსაც მალე დაასანქცირებენ? **ბიძინა ივანიშვილი** ხომ არა?!

„ალია“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის წევრი*



**ბიძინა ივანიშვილი** იძახდა — **„მარგველაშვილი ჩემი შეცდომა კი არა, კურიოზიაო“,** ალბათ, ახლა ამბობს, რომ **სალომე ზურაბიშვილიც** კურიოზია.

„პალიტრანიუსი“

დასაწყისი 22-ე გვერდზე



## იგორ კვესელავა:

მაგრამ იყვნენ მდიდრები. სწორედ ეს სიმდიდრე აინტერესებდათ. არადა, ეს ბანდიტები რომ აჭარაში შესულიყვნენ, დიდი ალბათობით, აჭარაც აფხაზეთის ბედს გაიზიარებდა.

1993 წლის 18 ოქტომბერს, ზუსტად 30 წლის წინათ, ფილარმონიაში გაიმართა შევარდნაძისა და მისი ხროვის შეკრება... ამ შეკრებამ ისტერიული სახე მიიღო, სადაც პოეტი **რეზო ამაშუკელი** გამოვიდა და თქვა —

> *„ნამდვილმა მამაკაცებმა აქვე ავიღოთ იარაღი ხელში და დავირაზმოთ გამსახურდიასა და მისი მომხრეების გასანადგურებლად!“*

**— შევარდნაძე ამ დროს სად იყო?**

— შევარდნაძე ამ დროს დარბაზში იჯდა და ამ ყველაფერს ტაშს უკრავდა! ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების ფიზიკურ ლიკვიდაციას მოითხოვდნენ იმავე დარბაზში მჯდომი დიდი ივანე ჯავახიშვილის შვილი, პროფესორი **ლალი ჯავახიშვილი.** ამავე შეკრებაზე მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდნენ პროფესორ **ნოდარ ლომოურის** მოწოდებას —

> *„ზვიადიზმის დაუნდობლად აღმოფხვრის, ცალკეულ პარტიათა ალაგმვისა და პარლამენტის დათხოვნის“*

შესახებ. ლომოური მოითხოვდა, შევარდნაძეს ქვეყნის ერთპიროვნული მმართველის სტატუსი მინიჭებოდა და დაეხურათ ტელევიზია და რადიო! აი, ამას ლაპარაკობდა ტრიბუნიდან ე.წ. პროფესორი, რომლის მტრობაც ზვიად გამსახურდიასთან მხოლოდ პიროვნულ ხასიათს ატარებდა... აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ იმავე შეკრებაზე **ირინა სარიშვილმა,** რომელიც შევარდნაძის ვიცე-პრემიერი იყო, ზვიად გამსახურდიას მკვლელობა პირდაპირ მოითხოვა, ქოქოლა დააყარა მათ, ვინც გამსახურდია თბილისიდან ცოცხალი გაუშვა და განაცხადა —

> *„გამსახურდია უნდა დარჩეს საქართველოში, ოღონდ ფიზიკურად სახეცვლილი ფორმით!“*

ანუ ის მოითხოვდა, ზვიადი მოკალითო... თითქოს ცოლის ამ ბრძანებას ელოდაო, სარიშვილის ქმარი **გიორგი ჭანტურია** სწორედ იმავე პერიოდში დასავლეთ საქართველოდან შევარდნაძეს ატყობინებდა —

> *„მე და ჩემი პარტიის წევრები გამაგრებულები ვართ ხონში და ვიბრძოლებთ მანამდე, სანამ ზვიად გამსახურდიას ფიზიკურად არ გავანადგურებთ!“*

**— მაინც რა იყო ნოდარ ლომოურისა და ზვიად გამსახურდიას მტრობის მიზეზი?**

— ჩემი ინფორმაციით, **ნოდარ ლომოური** სინამდვილეში **ხუდადოვი** იყო, ხოლო, თუ რატომ სძულდა მას **ზვიად და კონსტანტინე გამსახურდიები,** რომელთა ოჯახთანაც მისი ოჯახი მეგობრობდა და ახლობლობდა, ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგან ეს პირადული საკითხია. **ლომოური** პარლამენტიდან **აკაკი ასათიანისა** და „ტრადიციონალისტების“ გაძევებას ემხრობოდა... საუბედუროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ **აკაკი ასათიანმა** ვერც ზვიად გამსახურდიასა და ვერც საზოგადოებას იმედები ვერ გაუმართლა. სხვათაშორის, იმავე შეკრებაზე **ნოდარ ლომოურმა** განაცხადა, რომ **თენგიზ კიტოვანი** კრიტიკასა და განქიქებას არ იმსახურებდა, რადგან მან ზვიადი დაამხო და მის წინაშე თავი ისე უნდა დაეხარათ, როგორც ეროვნული გმირის. ლომოურის „ლოგიკით“, იგივე ეხებოდა თენგიზ სიგუასაც, რომელიც

> *„უკადრისი გზით არ იყო მოსული ხელისუფლებაში და როგორც ჭეშმარიტ ერისკაცსა და მამულიშვილს ყველაფერი ეპატიებოდა!“*

**ნოდარ ლომოური** იმასაც აღიარებდა, რომ ზვიად გამსახურდიას ავტომატით დაუპირისპირდა „რუსთაველის საზოგადოებაც“... მოკლედ, ამ „პადხალიმობისა“ და ქვემძრომობისთვის **შევარდნაძემ** ლომოური საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად დანიშნა. ამ თანამდებობაზე მის სახელთან არაერთი მაქინაცია და ბნელი საქმეა დაკავშირებული. რომ არა შევარდნაძე, ნოდარ ლომოურს დირექტორის პოსტზე არაკანონიერი საქმიანობის გამო აუცილებლად დაიჭერდნენ.

ლომოური შეურაცხყოფას აყენებდა სამეგრელოს მოსახლეობას, როცა ამბობდა —

> *„აფხაზეთში წამოწყებული ომი, მისი წარუმატებლობა და გაჭიანურება აფხაზეთის ქართული მოსახლეობის საკმაოდ საგულისხმო ნაწილის, მათ შორის, მეგრელების ბრალია!“*

**ნოდარ ლომოურსა და რომან მიმინოშვილს** მხარს უბამდა მწერალი **რევაზ ჯაფარიძე,** რომელიც 1993 წლის დეკემბერში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერდა:

> *„შევარდნაძე არის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება, ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭო და 1991 წლის 26 მაისს არჩეული პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი თანამოაზრეები — მკვლელები, მძარცველები და დაქირავებული ბანდა!“*

**— ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ამ ხალხს, რომელმაც ქვეყანას ამდენი ავნო, მაგრამ დღეს ცოცხალი არ არის, როგორ უნდა მივუდგეთ?**

## – გამოსავალი ისევ და ისევ ლუსტრაციის კანონის მიღებასა და ამ ხალხის მორალურ გაკიცხვაშია! მიცვალებულებს ჩვენ ვერ გავასამართლებთ, მაგრამ ისინი უნდა გაიკიცხონ და მომავალ თაობებს მათი ავი საქმეების შესახებ ემცნოს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*



## რევაზ ჯაფარიძე:

**შევარდნაძე არის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება, ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭო და 1991 წლის 26 მაისს არჩეული ზვიად გამსახურდია და მისი თანამოაზრეები — მკვლელები, მძარცველები და დაქირავებული ბანდა!**



## შოთა გორგოძემ, რომელსაც შევარდნაძესთან შინაგანი კონფლიქტი ჰქონდა, ზვიადის მკვლელობის შესახებ ბევრი რამ იცოდა!



## რეზო ამაშუკელი:

## ნამდვილმა მამაკაცებმა აქვე ავიღოთ იარაღი ხელში და დავირაზმოთ გამსახურდიასა და მისი მომხრეების გასანადგურებლად!

## კვირგვინოსნები

**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ დამფუძნებელი*



მივდივარ იქ, სადაც ბრძოლა მოიტანს შედეგებს. **2024 წელს მინდა, რომ თანამონაწილე ვიყო ბიძინა ივანიშვილისა და რუსეთის დამარცხების.** ჩემი ადგილი არ არის წამყვანის მაგიდასთან, **ჩემი ადგილი არის იქ, სადაც იბრძვიან სხვა მეთოდებით ბიძინა ივანიშვილის და რუსეთის დასამარცხებლად.**

„მთავარი არხი“

**კოტე ჯანდიერი**
*მწერალი*



**მგონი, ერთი ავტობუსი ხალხი დარჩა საქართველოში ნორმალური.** ზოგიერთ ქვეყანაში კასტინგი აქვთ, **ვინ დანიშნონ აქ ოპოზიციის ლიდერად.** ხან **ყოფილი ომბუდსმენი** უნდათ მთავარ ოპოზიციონერად, ხან — **სალომე ზურაბიშვილი,** ახლა **გვარამიას** უთხრეს, გინებას მოუკელი, სოლიდურად მოიქეციო.

„კვირის პალიტრა“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



რასაც უნდა აპირებდეს **ნიკა გვარამია,** „გადატრილება“ არ გამოუვა. კი ბატონო, **გახდეს თუნდაც ნაცმოძრაობის ხელმძღვანელი,** მაგრამ „გადამტრიალებლები“ ესენი ვერასდროს იქნებიან და **ვერც ვერასდროს დაბრუნდებიან ქართული სახელმწიფოს სათავეში.**

„საერთო გაზეთი“

**კორნელი კაკაჩია**
*„საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი*



ევროკავშირშიც არა აქვთ ერთიანი პოზიცია — **არიან სახელმწიფოები,** რომლებიც კრიტიკულად უდგებიან „ქართული ოცნების“ გატარებულ რეფორმებს, **მაგრამ არიან სახელმწიფოები,** რომლებიც ფიქრობენ, რომ **პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე შეიძლება მისცენ საქართველოს ეს სტატუსი,** მაგრამ კიდევ დავამატოთ ამ **12 პირობას** დამატებითი პირობებიო.

„კვირის პალიტრა“

*ვასრულებთ ცნობილი ჟურნალისტის ნადანა ფრიდრიხსონის სკანდალურ ინტერვიუს საქართველოს უშიშროების ყოფილ მინისტრთან იგორ გიორგაძესთან, რომლის პირველი ნაწილი „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში დაიბეჭდა.*

# იგორ გიორგაძე:

# კონსტიტუციაში, იმის ჩაწერა, რომ ხალხის ოცნებაა ნატოს ბლოკში შესვლა,

# არის პარანოია!



**„ჭრილობები ღრმაა, ძალიან ღრმა! ისინი უნდა შეხორცდეს!“**

— **ფაშინიანის** კულბიტების ფონზე საფრთხე მართლაც სერიოზული ხდება. თუ ბრუნდება ხელისუფლება, რომელმაც არამარტო... არაა საჭირო ილუზიებში ყოფნა — 2012 წელს „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, ხოლო 2017 წელს შეიტანა ცვლილება კონსტიტუციაში და მითითება მისცა სახელმწიფო ორგანოებს, ხელი შეუწყონ ქვეყნის შესვლას ევროკავშირსა და ნატოში. არადა, ევროკავშირი და ნატო ეს მხოლოდ და მხოლოდ აბრევიატურაა, ცალკეული ასოები... მაგრამ შინაარსობრივად ამით ჰიშკარს ვუღებთ საქართველოში ლგბტ-ებისადმი ტოლერანტობას.

**— ქართველები აშკარად წინააღმდეგნი არიან!**

— მაგრამ საქართველოში ეს მოცემულობა უკვე არსებობს. აი, 30 წლის წინათ რომ გეთქვათ — იგორ პანტელეიმონოვიჩ, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, სამი ათეული წლის შემდგომ ხანაში გადავიხედოთ და ქართველი ბიჭები ასე და ისე... ნუ, როგორც, მინიმუმ, თქვენ წააწყდებოდით უკიდურეს აღშფოთებას.

**— არათუ აღშფოთებას...**

— და, მითუმეტეს, თუ ეს იქნებოდნენ ქართველები ერთმანეთში... ცხადია, ეგრევე გაუქანებდით, რაც ხელში მოგხვდებოდათ... არადა, დღეს ეს უკვე სინამდვილედ იქცა. და ამას რატომ ვამბობ? ეს ხომ „ქართულმა ოცნებამ“ ქნა, როცა კონსტიტუციაში შეიტანა...

## ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ნებისმიერ კავშირში თუ ნებისმიერ ბლოკში შესვლის თაობაზე კონსტიტუციაში რომ ჩაწერო, მე არ მესმის ასეთი გადაწყვეტილების...

მე ვარ იურისტი, სამართალმცოდნე, მაგრამ, ვიმეორებ, ჩაწერო კონსტიტუციაში, რომ **ხალხის ოცნებაა ნატოს ბლოკში შესვლა, ეს არის პარანოია!** და რა მოაქვს ამ ბლოკს, არ უნდა გაარკვიო? რა მოაქვს მას ყველაფერთან ერთად, სოროსულ ფასეულობებთან ერთად, რომლებიც დაგმო თავად მსოფლიოს პირველმა მილიარდერმა, როდესაც ბრძანა — მრჩება შთაბეჭდილება, რომ სოროსს სურს, გაანადგუროს ევროპული ცივილიზაცია... ჩვენ კი, კონსტიტუციური წესით გვსურს, რომ იქ ჩაგვითრიონ?

**— ეს ილონ მასკმა თქვა, ოღონდ ლტოლვილებთან კონტექსტში...**

— მაგრამ **ილონ მასკმა** მკაფიოდ ბრძანა, რომ ის საზოგადოება თუ ღია ფონდი, როგორ ჰქვია მას?.. ჰო, **ღია საზოგადოება,** შექმნილია აშკარად არა კეთილდღეობისათვის... მეც ვადასტურებ, რომ დღემდე საქართველოში სოროსის სახელმძღვანელოები თუ სოროსის ფონდები სხვა მიზანს ემსახურება.

**— ანუ, თუ ხდება სახელმწიფო გადატრიალება, საქართველო ყველა შემთხვევაში მიექანება ნატოსაკენ? მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი ისევ ღიად რომ რჩება? მაშინ ქართველებს უნდა უთხრას ახალმა ხელისუფლებამ — მორჩა, უარს ვამბობთ მათზე, მივდივართ ნატოსაკენ!**

— მაგრამ ვინც ამას იტყვის, კარგავს ძალაუფლებასა და ხალხის მხარდაჭერას... აი, როგორ არის დღეს: გვეუბნებიან — თქვენ შეხვალთ ევროკავშირში, თქვენ იქნებით ნატოში, არადა, თურქეთიც 50 წელია ელის, როდის შევა...

**— და რა რისკები არსებობს ამ ვითარებაში რუსეთისათვის?**

— რუსეთისათვის ესაა ამიერკავკასიის გადაქცევა მთლიანად მტრულ ტერიტორიად! ლაპარაკი არც მხოლოდ იმაზეა, რომ საქართველოსა და სომხეთში ნატოს ბაზები გაჩნდება... ხომ არის ამერიკის სამხედრო ბაზა ინჯერლიკში, თურქეთის ტერიტორიაზე. ესაა ზებგერითი თვითმფრინავისათვის, სულ რაღაც, 7-წუთიანი გზა... მაგრამ, როდესაც ამიერკავკასიის მთელი სივრცე შეეძლებათ, გამოიყენონ? ხომ ვხედავთ ამჟამად, ვინ აწვდის უკრაინელებს დასაბომბი ტერიტორიების კოორდინატებს? ესაა ნატოს დაზვერვა — საჰაერო, მიწისზედა, წყალზედა... და თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთისათვის სიტუაცია მწვავდება ჩრდილოეთის მიმართულებით? ხომ ფაქტია, ამერიკელები ტყუილად როდი ითრევენ შვედეთსა და ფინეთს ნატოში. ესაა ჩრდილოეთის საზღვაო გზა და ბალტიისპირეთიც მათ რიგშია... აბა, დააკვირდით — ბალტიისპირეთი, უკრაინა, ამიერკავკასია... რჩება ბოლომდე გაურკვეველი პოზიციებით მხოლოდ შუა აზიის ქვეყნები...

**— ბაიდენი უკვე მუშაობს ამ მიმართულებით, არ ვიცი როგორ, მაგრამ მაინც...**

— ბაიდენები მოდიან და მიდიან, მაგრამ ვექტორი რჩება!

**— მივადექით ყველაზე რთულ კითხვას: რა რეაგირება უნდა მოახდინოს რუსეთმა საქართველოში შექმნილ ვითარებაზე? ივანიშვილს ადრე თუ გვიან ამერიკელები გვერდზე გასწევენ... რა ქნას რუსეთმა? თუ კვლავ ნინო ბურჯანაძეზე უნდა გააკეთოს არჩევანი, უამრავი ქართველი იტყვის — ხელიმც დამიბანია!**

— გამოდის, რომ საქართველოს მოქალაქემ, თქვენმა ერთგულმა მსახურმა, რეკომენდაციები უნდა მივცე რუსეთის ხელისუფლებას?

**— უბრალოდ, გაიაზრეთ...**

— მე ვფიქრობ, რომ **სააზროვნო ცენტრები** და რუსეთის საკეთილდღეოდ გადაწყვეტილების მიმღები ცენტრებიც არსებობს და საჭირო მომენტში სათანადო რეაგირებასაც მოახდენენ. მე ვიცი ჩემი თანამემამულეების, ჩემი მეგობრების, უმცროსებისა თუ თანატოლების სათქმელიც, მაგრამ **საით იყურება რუსეთი?**

მოდით, მივცეთ რუსეთს საშუალება, თავისი კეთილდღეობისათვის იმზიროს იქით, საითკენაც უფრო მიზანშეწონილად თვლის და აქვე გავიხსენოთ ბანალური ფრაზა: **„ჩასაძირად განწირულთა გადარჩენა თავად ჩასაძირად განწირულთა ხელშია!“**

რა თქმა უნდა, ჩვენ გვჭირდება რუსეთის მხარდაჭერა — მორალურიც, ინფორმაციულიც, პოლიტიკურიც... მე დღემდე ვთვლი და ეს საკუთარ წიგნშიც დავწერე, რომ ჩვენ რუსეთის გარეშე... და ამას უკვე ვხედავთ, რადგან 30 წელია, მივედმოვედებით ურუსეთოდ... და რად ვიქეცით? ჩვენ მთელი საბჭოეთის საყვარელი ერიდან გადავიქეცით **„ბრუზინჩიკებად“...** და ეს ნაპერწკალთმფრქვეველი იუმორი ქართული კინოსი, ეს ბრწყინვალე სპორტი, ეს ვეებერთელა სამეცნიერო პოტენციალი, საბედნიეროდ, კიდევ შემორჩა და ბოლომდე არ გაცამტვერებულა... თუნდაც ლიტერატურა, ხელოვნება... და საით მიექანება ეს ყველაფერი?

## ჩვენ თანდათანობით ვხდებით ოფიციანტების, ექსკურსია-მძღოლების, მთარგმნელების, ტაქსისტების, დამლაგებლების ერი.

**მრეწველობას ვანადგურებთ, ფინანსურ სექტორს ვერ ვანვითარებთ, არადა, თავის დროზე სწორედ ამის თაობაზე ვეკამათებოდი შევარდნაძეს... ის ამბობდა, რომ ჩვენ უნდა გავმხდარიყავით ამიერკავკასიის მეორე ისრაელი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. მე კი ვეუბნებოდი, რომ უმჯობესია, გავხდეთ შვეიცარია არა ვინმესთვის, არამედ საკუთრივ საქართველოსთვის!** აი, ასე — არჩევანიც ჯერჯერობით ასეთია! ისე კი, რაც ახლა ხდება, და იცით, ყველაზე საშინელი რამ უკვე მოხდა — ეს არის ქართული

*გაგრძელება 26-ე გვერდზე*










ლეგენდარული
დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული
ვასილ მჟავანაძის
სტუმრობიდან
57-ე წელია,

მცხეთის სალობიეში
გეპატიჟებათ!






## იგორ გიორგაძე:

# ყველაზე საშინელი რამ უკვე მოხდა – ეროვნული ცნობიერების გადაფორმატება!

დასაწყისი 25-ე გვერდზე

ეროვნული ცნობიერების გადაფორმატება. ეს გადაფორმატება რომ არ მომხდარიყო, ჩვენ დღეს ამ საკითხზე არც ვიმსჯელებდით. **დიახ, ეროვნული ცნობიერება უკვე გადაფორმატებულია**! მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ არა სრულად! და ასევე მადლობა ღმერთს, რომ ხალხის უმეტეს ნაწილს შემორჩა სურვილი, დაიცვას თავისი ეროვნული, ტრადიციული ფასეულობანი. ამჟამად თითქმის ყველა ამბობს, რომ გადატრიალების წინააღმდეგია, კი მაგრამ, ვინ ახდენს ამ გადატრიალებებს? ახალგაზრდობა... **და ახალგაზრდობის ძალიან დიდ მასას საქართველოში დღეს აკანკალებს ასო „რ"-ზე დაწყებული სიტყვის გაგონებაზე!**

**— ასო „რ" ეს რუსეთია!!!**

— დიახ, მათ ტანში აჟრიალებთ ამ სიტყვის გაგონებაზე. აი, ეს შეძლეს, ამას მიაღწიეს...

**— და რუსულად თითქმის ვერ ლაპარაკობენ... არ ესმით...**

— სამწუხაროდ, ასეა! კიდევ ცოტაც და მერე...

**— მნიშვნელოვანი შეკითხვა — ქართული პოლიცია, ქართველი ძალოვნები და საქართველოს შეიარაღებული ძალები, არმია, დღეს ვის მხარეზეა?**

— როგორც ხელისუფლება თვლის, მათი უმრავლესობა ხელისუფლების მხარესაა.

**— და სინამდვილეში?**

— მართალია, სპეცსამსახურებში არ დავბადებულვარ, მაგრამ მთელი ჩემი ცხოვრება იქ გავატარე, თუმცა, არასაკმარისი ინფორმაციის გამო (არადა, ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ყველაფერი გავაანალიზოთ უტყუარი და სრული ინფორმაციის ბაზაზე) მე თავს შევიკავებ იმის გაცხადებისაგან, თუ ვინ არის უმრავლესობაში, გნებავთ — არმიაში, გნებავთ — პოლიციაში... ხომ გვყავდა ჩვენ შს მინისტრი, მთლად პრემიერიც კი, მხედველობაში მყავს **გახარია**, რომელიც დღეს საპირისპირო მხარეზეა...

**— როცა იწყება ქუჩის აქტივობები, რომელსაც შემდგომ სახელმწიფო გადატრიალებას არქმევენ, საკვანძო მომენტია, თუ ვის მხარეზე დადგებიან ძალოვნები...**

— დღეისათვის მე ვერ ვიტყოდი, რომ ხელისუფლება თავს იმშვიდებს. მიმაჩნია, რომ ის აკონტროლებს სიტუაციას, ხოლო ძალოვანი სტრუქტურებისა და არმიის უმეტესი ნაწილი მის მხარეზეა.

**— თურქეთის ფაქტორი... ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ აჭარა, რომელიც დღეს საქართველოს ნაწილია, მოქცეულია ერდოღანის ინტერესთა სფეროში. და როდესაც სააკაშვილს ჰქონდა კონფლიქტი ასლან აბაშიძესთან 2004 წელს, თუ არა მოსკოვი, აჭარა შეიძლება საქართველოს ნაწილი აღარ ყოფილიყო. და თუ ამოქმედდება სახელმწიფო გადატრიალების სცენარი, შესაძლებელია თუ არა, რომ მასში თურქებიც ჩაერთონ და თქვან — მორჩა, ვახდენთ ყარსის ხელშეკრულების ანულირებას და აჭარა მშობლიურ სავანეს უბრუნდება?**

— თქვენ იცით, რომ თურქეთი აჭარაში უკვე დამკვიდრდა თითქმის სრული მასშტაბით. წარმოიდგინეთ, ბათუმის აეროპორტი შედის თურქეთის შიდა ავიახაზებშიც...

**— დიახ, მე ვიყავი ბათუმში და ამან ძალიან გამაოცა...**

— თურქეთიდან ჩამოდის თურქი და ის არ გადის სავიზო კონტროლს. თქვენ იმასაც შეამჩნევდით, რომ ბათუმში თურქული საუბარი და თურქული რესტორნები ჭარბობს. თურქეთისათვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, რომ არათუ დაძაბულობის, არამედ რეალური გადატრიალების ან სამოქალაქო ომის პირობებში იურიდიულად დასაბუთებული წინაპირობის საფუძველზე დაიცვას საქართველოს მუსულმანი მოსახლეობა ყველა შესაძლო გართულებისგან. ამისათვის მესამე ქვეითი ჯარი დგას საზღვარზე... არაფერს ვამბობ დივიზიაზე, ნუ — ერთ-ორ ბატალიონზე...

**— უკრაინის მოვლენების ფონზე... თუ დაიწყო სახელმწიფო გადატრიალება, ძალიან სწრაფად საქართველო მიემართება თურქეთისაკენ...**

— თავად აჭარის მოსახლეობა — არა! ტერიტორია, შესაძლოა... ამის თაობაზე 30 წელია, მე და ჩემი თანამოაზრენი, ინტელიგენცია, განათლებული ხალხი გამუდმებით ვლაპარაკობთ და საიდან ამდენი დაბნეულობა... აი, ნახეთ — კრემლის აგენტია... ახლა მე მივმართავ ჩემს თანამემამულეებს: **ილია მართალი, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად არის გამოცხადებული, გახლდათ რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი.** წაიკითხეთ, რას წერს იგი საქართველოში რუსეთის არმიის შემოსვლის 100 წლისთავთან დაკავშირებით! თუ ჩვენ ვაფასებთ ილიას, როგორც ერის სინდისს, გონებასა და ინტელექტს, მაშინ წავიდეთ მისი გზით! ის კი ამბობდა, რომ საქართველოში რუსეთის მოსვლის შემდეგ შეწყდა ძრწოლა მტრის წინაშე და ქვეყანამაც ამოისუნთქა...

### იცით, როგორ ამუშავებდა ქართველი მიწას – ერთ ხელში თოხი ეჭირა, მეორეში – ხმალი. ასე ცხოვრობდა ასწლეულების მანძილზე, მაგრამ მოვიდა რუსეთი და თქვა: მორჩა! თუმცა, დადგა დღე, როდესაც აღმოჩნდა, რომ ძია სემი უკეთესია, ხოლო თურქი ქართველთა საუკეთესო მეგობარია...

**— ფინალური კითხვა: როგორ გესახებათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მომავალი?**

— სანამ არ მოხდება იმის საყოველთაო ანალიზი, თუ რატომ და როგორ მოხდა ყოველივე, რატომ დაესხნენ თავს ქართველები ჯერ ოსებს და რატომ შევიდნენ აფხაზეთში ტანკებით, **სანამ ჩვენ, როგორც მოქალაქეები, როგორც ნაცია, არ ვაღიარებთ, რომ თავად ვართ ამაში დამნაშავენი,** ვერც ამერიკა და ვერც რუსეთი (რომელიც იმხანად თავად იმართებოდა ამერიკის მიერ)... **რომ რუსეთმა კი არა, ელცინმა წაგვართვა ჩვენ აფხაზეთი, რომელმაც რუსეთი ფეხქვეშ გაუგო ამერიკას.**

დღეს ამერიკა ნაციონალური უსაფრთხოების კონცეფციაში ნომერ პირველ და ნომერ მეორე მტრად ოფიციალურად რუსეთსა და ჩინეთს ასახელებს. და თუ შენ გინდა, რომ დაიბრუნო აფხაზეთი და ოსეთი, პირველებმა ჩვენ უნდა ვთქვათ — **ძმებო, გვაპატიეთ, ეშმაკმა კი არ აღგვრია, სატანა წარგვიძღვა!**

**— ზვიად გამსახურდია... თუ ძალიან ზუსტები გვინდა ვიყოთ...**

— **ზვიად გამსახურდიამ** გააღვიძა ნაციონალიზმის ბაცილა, მაგრამ ტანკებით აფხაზეთში ვინ შევიდა? — **სააკაშვილი კი არა, შევარდნაძე!!!** ხოლო სააკაშვილი ტანკებით შევიდა სამხრეთ ოსეთში!!! **და ჩვენ ბოდიში უნდა მოვუხადოთ ხალხს და ველაპარაკოთ არა ტერიტორიის, არამედ ნდობის დაბრუნებაზე,** ეს ის ხალხია, რომელთანაც ვცხოვრობდით ერთ ოჯახად საუკუნეების მანძილზე...

**— ანუ გერმანული ვარიანტია: მონანიება, კომპენსაციის გადახდა და შემდგომ — რეფერენდუმის შეთავაზება...**

— იცოდეთ:

### ვერც კომპენსაცია და ვერც რეფერენდუმი ამას ვერ უშველის... მაგრამ მონანიება და საგნებისათვის თავისი სახელების დარქმევა – დიახაც!

და რაც ყველაზე მთავარია, **ჩვენ უნდა ავირჩიოთ განვითარების ვექტორი — ნატოში მივდივართ თუ ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული განვითარების ევრაზიულ სივრცეში მივეშურებით.** თუ აქ ვართ, მაშინ საუბარი აფხაზებთან და ოსებთან, ჩვენს ძმებთან, გაცილებით ადვილი იქნება, რადგანაც **ისინი თავიანთი არსებობის გარანტად მხოლოდ რუსეთს თვლიან** და თუ შენ ნატოსკენ და ევროკავშირისკენ მიემართები, წინასწარვე უხსნი გზას ლგბტ-ს და ჭიშკარს უხშობ აფხაზებსა და ოსებს საქართველოს წიაღში დასაბრუნებლად. რა ფორმით მოხდება ეს — ფედერაციის თუ კონფედერაციის, ამ საკითხის გადაწყვეტა მომავალ თაობებს დავუტოვოთ...

ჭრილობები ღრმაა, ძალიან ღრმა! ისინი უნდა შეხორცდეს! იყო ოსებთან დაახლოების პირველი ყლორტები — საერთო ბაზრობა საზღვართან, **მაგრამ გარეკეს ეს ხალხი, მერე ტანკებით მიიტანეს იერიში ცხინვალზე და ეს პარანოიკი მთელ მსოფლიოს უმტკიცებს, რომ რუსეთი დაესხა თავს ცხინვალს, ხოლო იგი თავს იცავდა.** და ვიდრე ჩვენ რუსს ოკუპანტად მივიჩნევთ და ვილაპარაკებთ, ტერიტორია წაგვართვაო... კი არ წაგართვა, არამედ შენ ყველაფერი გააკეთე იმისათვის, რომ ოსსა და აფხაზს ეთხოვა რუსეთისათვის — **დამიცავი!** როგორ მიიყვანე შენ აქამდე საქმე? როგორ მიიყვანე ეს ხალხები აქამდე? და ახლა მოვლენათა უკან გადახვევა ძალიან ძნელია. და ეს არ უნდა მოხდეს **მესამე პირთა** გადაწყვეტილების დონეზე!

**აი, თუ რუსეთი დაგვიბრუნებს აფხაზეთსა და ოსეთს, ჩვენ ვიქნებით მასთან...** არა, ძვირფასებო, ეს არასწორი პოზიციაა. და საკითხის დაყენება იმ კუთხითაც, რომ რუსეთს სჭირდება საქართველო, ასევე არასწორია. **ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით, მაგრამ ვის უფრო, მოდით, ამაში ნუ შევეჯიბრებით!**

ალბათ, საქართველოს უფრო მეტად სჭირდება მართლმადიდებელი მეზობელი... აი, ახლა რომ გააღვიძო ის ქართველები, რომლებიც კლდიდან ცვიოდნენ, ოღონდაც მათ არ შეხებოდათ არამართლმორწმუნის ხელი...

**— ოსმანები?**

— ოსმანები, თურქები, სპარსელები... და რომ თქვა ახლა, რომ მხოლოდ გურიაში, დიახ, გურიაში (ეს დასავლეთ საქართველოა!), ამჟამად 28 მუსულმანური სამლოცველოა... მე ისლამის წინააღმდეგი არა ვარ, ისინი ჩვენი ძმები არიან! დიახ, მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ, რომ ჩემი ხალხი გადავიდეს მართლმადიდებლობიდან ნებისმიერ სხვა სარწმუნოებაზე, გნებავთ, რომელიმე სექტაში აღმოჩნდეს. არადა, სააკაშვილმა ჩვენთან სწორედ სექტანტები შემორეკა, იეღოველები სტადიონებს ავსებდნენ... ბაპტისტები... გახსენებაც არ მსურს... **აი, რას ნიშნავს ჩვენთვის გადატრიალება!**

**— და თქვენ რას მოიმოქმედებთ, თუ სახელმწიფო გადატრიალების პროცესი დაიწყება?**

— მე თქვენ გიცნობთ, როგორც ბრწყინვალე ჟურნალისტს და ნუ მოახდენთ ჩემს პროვოცირებას! და რა გსურთ, მოისმინოთ ჩემგან? ცხადია, მე მომმართავენ ჩემი პარტიის **(პარტია „სამართლიანობა". რედ.)** წევრები, რომლებიც ახლა სტენბაი-ში **(მოცდის რეჟიმში. რედ.)** იმყოფებიან. მე ამჟამად არ ვაქტიურობ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ უნებურად ზიანი არ მივაყენო ჩემს თანამოაზრეებს... ვინ იცის, იქნებ **იქ** ვინმეს მიერ ეს ისე არ შეფასდეს... ჩემთვის საქართველოს ბედი ჩემი ბედია, ბოლოს და ბოლოს, შვილებისა და შვილიშვილების ბედია! **მე არამხოლოდ განვიცდი, ეს გულში ჩაცემული დანასავითაა!** მაგრამ თქვენს შეკითხვას მე ვუპასუხებ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იმავე შეკითხვას საქართველოდან დამისვამენ!

## „ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით, მაგრამ ვის – უფრო, მოდით, ამაში ნუ შევეჯიბრებით!"

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №18-43*

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში.***






**გია ხუხაშვილმა** თავის მემუარებში დეტალურად აღწერა, რომ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის როგორც **გიორგი მარგველაშვილის** გაპრეზიდენტებაში, ასევე **ბიძინა ივანიშვილის** მოღალატის დამღით მოსიარულე **გიორგი კვირიკაშვილის** ჯერ რეაბილიტაციაში, შემდეგ კი — გაპრემიერებაში! აკი, მის გავლენაზე ბიძინა ივანიშვილზე და საკადრო პოლიტიკაზე 2012-2013 წლებში, მართლაც, მითები დადიოდა:

> ***„ჩემს „ფარულ გავლენებზე“ ლეგენდები დადის, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი თანამდებობა არ მიჭირავს და დემონსტრაციულად არ ვერევი არცერთი უწყების საქმიანობაში. მოთხოვნილება ჩემთან შეხვედრაზე და „თემების“ გადაწყვეტაზე ძალზედ დიდია და უარს ვაცხადებ ყველანაირ კომუნიკაციაზე პრაქტიკულად ყველასთან, მითუმეტეს, რომ შეიქმნა მეტად არასასიამოვნო პრეცედენტები — ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა ადამიანმა, მე ვიტყოდი, თაღლითმა, ჩემთან სრულიად ფორმალური კომუნიკაცია გამოიყენა საკუთარი პერსონისაგან „საქმეების ჩამწყობის“ მითოლოგიის გამოსაძერწად პირადი გამორჩენის მიზნით“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 249).*

**ხუხაშვილი** ამ შესავალს იმიტომ აკეთებს, რომ **ბიძინა ივანიშვილის** უახლოეს გარემოცვაში ყოფნის თავისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი **(პიროვნულადაც და ქვეყნისთვისაც)** გადაწყვეტილება უნდა გაიხსენოს:

> ***„მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს ჩემი მეუღლე მეუბნება, რომ ჩვენმა ერთმა ახალმა მეზობელმა სთხოვა ჩემთან გასაუბრება. მე ის გაფრთხილებული მყავდა, რომ არც ჰქონოდა ასეთი შეხვედრების ჩაწყობის მცდელობა, მათ შორის, ჩვენს საკმაოდ ფართო სანათესაოს თუ სამეგობროს ჩათვლით. ამიტომ სასტიკი უარი ვტკიცე, მაგრამ სხვა ეპიზოდებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში მისგან საკმაოდ აქტიურ წინააღმდეგობას წავაწყდი. მითხრა, რომ მეზობელს ყოველდღე ხვდებოდა, ესალმებოდა და ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვაგდებდი. ბოლოს დამითანხმა...“*** *(იქვე, გვ. 249).*

მოკლედ, ეს მეზობელი იყო **გიორგი გახარიას მამა,** რომელმაც **ხუხაშვილს** უთხრა, რომ მალე საქართველოში დაბრუნებას აპირებდა **მისი შვილი** და სთხოვა, ყოველგვარი წინასწარი ვალდებულებების გარეშე, შეხვედროდა მას და, უბრალოდ, გასაუბრებოდა... **ხუხაშვილიც** შეჰპირდა, აუცილებლად შევხვდებიო:




> ***„გავიდა ცოტა ხანი, გიორგი ჩამოვიდა და ჩვენი გაცნობა შედგა. თავიდანვე მომეწონა. ის არამარტო საკმაოდ კომპეტენტური იყო, მათ შორის, საქართველოში მიმდინარე პროცესების შეფასებისას, არამედ ჰქონდა საკმაოდ დამაჯერებელი ქცევისა და საუბრის მანერა, რაც მას უდავოდ გამოარჩევდა სხვებისგან და განსაკუთრებული ქარიზმით მოსავდა“*** *(იქვე, გვ. 250).*

როგორც ხედავთ, **ხუხაშვილი** აშკარად მოხიბლულია და საქებარ სიტყვებს არ იშურებს **გახარიასადმი** — პირველი შეხვედრისთანავე შევიგრძენი, რომ ნამეტნავად ქარიზმატული იყოო!

როგორც მემუარისტი ყვება, **გახარიასთან** შეხვედრა არ ჰქონდა დასრულებული, რომ **ივანიშვილმა** დაურეკა და მასთან მისვლა სთხოვა. **ხუხაშვილიც** დაემშვიდობა **გახარიას,** როგორც თვითონ ამბობს, „პროტოკოლური ტექსტით“, მხედველობაში მეყოლებით და თუ სისტემაში რაიმე ვაკანსია გამოჩნდება, აუცილებლად გაგიწევთ რეკომენდაციასო. ამის შემდეგ კი გაემართა ივანიშვილის სასახლისკენ:

> ***„სხვა საკითხებთან ერთად, მან შემახსენა, რომ დაგეგმილი გვქონდა ბიზნესმენებთან შეხვედრა, რათა წარგვედგინა მათთვის ჩვენი ხედვები ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის ურთიერთობის შესახებ, მოგვესმინა მათი მოსაზრებები და ურთიერთობის ახალი ალგორითმი შეგვექმნა. ადრეც გვქონდა ნათქვამი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ამ შეხვედრამდე უკვე შერჩეული გვეყოლებოდა ბიზნესომბუდსმენი და შეხვედრაზე მასაც წარვადგენდით“*** *(იქვე, გვ. 251).*

ჰოდა, **ხუხაშვილმაც** ივანიშვილს უთხრა, სწორედ დღეს გავიცანი ერთი საინტერესო კაციო:

> ***„ვუთხარი, რომ ახლა გავიცანი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც შესანიშნავად ესმის ბიზნესი, მშვენიერი წარმომადგენლობითი მონაცემები აქვს და, რაც მთავარია, არ არის დაკავშირებული არცერთ ქართულ ბიზნესჯგუფთან.***
>
> ***შევთავაზე, რომ გამეცნო. ასეც მოხდა და, პრაქტიკულად, ეს გახდა უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც სრულიად უცნობი ადამიანი, ყოველგვარი პარტიული, ნეპოტისტური თუ ლობისტური „დამსახურების“ გარეშე აღმოჩნდა საკმაოდ მნიშვნელოვან პოზიციაზე“*** *(იქვე, გვ. 251).*

აი, ასე დაიწყო **გახარიას** აღმასვლა, თუმცა, მემუარისტი ეშმაკობს, ჩემი წვლილი გახარიას აღმაფრენაში მინიმალურია — მან თავისი ნიჭითა და უნარით გაიკვალა გზა პრემიერ-მინისტრის სავარძლამდეო:

> ***„როგორც ხედავთ, მის კარიერულ სვლაში ჩემი მონაწილეობა მინიმალურია. მე მხოლოდ კარგი სასტარტო პირობები შევუქმენი, დანარჩენი მთლიანად მისი ნიჭის და უნარების დამსახურებაა. უფრო მეტიც, სისტემიდან წამოსვლის შემდეგ მე მისთვის უფრო შემაფერხებელ ფაქტორად ვიქეცი, ვიდრე დამხმარედ“*** *(იქვე, გვ. 252).*

ის კი არა, მემუარისტი **გახარიას** მაგალითზე პოლიტიკაში „დამთხვევითობის თეორიასაც“ კი ავითარებს:

> ***„ომბუდსმენის საკითხი ბიძინას გიორგისთან ჩემ შეხვედრამდე ორი დღით ადრე ან გვიან რომ დაეყენებინა, მაღალი ალბათობით, ის არათუ ამ პოზიციაზე, არამედ მთლიანად სისტემაში ვერ აღმოჩნდებოდა და, შესაბამისად, ვერც პრემიერ-მინისტრი გახდებოდა. ჩვენც მივიღებდით საქართველოს ალტერნატიულ ისტორიას, რომელსაც, ვფიქრობ, გახარიამ სერიოზული კვალი დააჩნია“*** *(იქვე, გვ. 252).*

ამ ლოგიკით ყველაფერი დამთხვევაა — **მარგველაშვილიც, კვირიკაშვილიც, გახარიაც...**

მაგრამ ფაქტია, რომ **ხუხაშვილის** მრჩევლობით დაწინაურებულმა ამ სამივემ უგანა ივანიშვილს და ლამის მოსისხლე მტრადაც მოეკიდნენ მას!

**ხუხაშვილი დაემშვიდობა გახარიას, როგორც თვითონ ამბობს, „პროტოკოლური ტექსტით“, მხედველობაში მეყოლებით და თუ სისტემაში რაიმე ვაკანსია გამოჩნდება, აუცილებლად გაგიწევთ რეკომენდაციასო. ამის შემდეგ კი გაემართა ივანიშვილის სასახლისკენ...**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ჩხიკვაძე**
*მსახიობი*



**ქართველი ქალი ერთ-ერთი გამორჩეულია მსოფლიოში,** ჩემს გონებასა და გულში მოწინავე ადგილზეა, რადგან **ქართველი ქალი ტემპერამენტიანი, ძლიერი, ჭკვიანი და ძალიან მიმზიდველია.**

„თბილისელები“

**ბადრი ყაველაშვილი**
*ვერცხლის მედლის მფლობელი კაიაკით ცურვაში*



აზერბაიჯანში საერთაშორისო შეჯიბრებაზე **ჩემი 30 წლის ნავით რომ გამოვედი, ვიგებდი, მაგრამ ნავი ჩამეძირა** და მესამე ადგილზე გავედი.

„თბილისელები“

**ანი სტეფანიშვილი**
*სამოდელო სააგენტო „ქეთრინის“ მოდელი*



ბევრი თაყვანისმცემელი მყავს და მათგან **ცოტა უცნაურ შეტყობინებებს ვიღებ ხოლმე.** მაგალითად, ერთი ბიჭი მწერდა, **თქვენ გამო ეშმაკს მივყიდდი სულსო.**

„თბილისელები“

**კახა მიქიაშვილი**
*მსახიობი*



**მილიარდერობაზე არასდროს მიოცნებია.** მგონი, ეს ძალიან დიდი თავის ტკივილია და ყველას უნდა თანავუგრძნოთ, ვისაც ძალიან ბევრი ფული აქვს. **პირადად მე, რაც მაქვს, მადლობელი ვარ** — არ მშია, არ მწყურია, სახლიც მაქვს, კარიც, გაგიკვირდებათ და, მანქანაც.

„თბილისელები“

**თიკო ჩუჩიძე**
*მსახიობი*



ზუსტი გამონათქვამია, რომ 40 **წლის შემდეგ იწყება ახალი ცხოვრება.** ჩემს ცხოვრებაში სწორედ ასეთი პერიოდია.

„სარკე“

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი ბაბუაწვერასა და დარიჩინის სასწაულმოქმედი თვისებების შესახებ მოგვითხრობს და იმ რეცეპტურასაც გვთავაზობს, რომლის საშუალებითაც ინსულინრეზისტენტობისა და შაქრიანი დიაბეტის მართვა შეიძლება:***





*კახა საბახტარიშვილი:*

# დღე-ღამის განმავლობაში ერთხელ, მაქსიმუმ, ორჯერ ჭამას უნდა მივეჩვიოთ!

— როგორც წინა ინტერვიუში აღვნიშნეთ, **ინსულინრეზისტენტობა,** ანუ ფარული დიაბეტი შესაძლოა, ასიდან სამოცდაათ ადამიანს ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, ვიდრე ინსულინრეზისტენტობა არ გამოირიცხება, მანამდე ალცჰაიმერის, ართრიტების, ღვიძლის პათოლოგიების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების უმრავლესობისა და სხვადასხვა სახის ჰორმონალური თუ ენდოკრინული დარღვევების მკურნალობას აზრი არა აქვს! სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: კიბოსთან ერთად ინსულინრეზისტენტობის პრობლემის გადაწყვეტა კაცობრიობის ნომერ პირველი ამოცანაა.

**— და მაინც, როგორ დავამარცხოთ ფარული დიაბეტი, როცა შაქრისა და შაქრის შემცველი ნახშირწყლების ჭარბი მოხმარების კვალდაკვალ ინსულინი ჭარბად გამოიყოფა, მაგრამ, როგორც თქვენ ადრე ბრძანეთ, გლუკოზა, როგორც ენერგიის წყარო, უჯრედში ვერ შეაქვს?**

— ინსულინრეზისტენტობის დასამარცხებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არამარტო იმას, თუ რას ვჭამთ, არამედ იმასაც, როგორ ვჭამთ. წლების განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის და წონის კორექციისთვის ძალიან სასარგებლო იყო დღის განმავლობაში ხშირად, მაგრამ დაბალკალორიული საკვების მცირე ულუფებით მიღება. თითქოს ამით ორგანიზმის მეტაბოლიზმი იზრდებოდა და ნივთიერებათა ცვლა უმჯობესდებოდა, რაც ორგანიზმს დიდად რგებდა. ეს შეხედულება უკვე მოძველებული და უარყოფილია. უფრო მეტიც, **დადასტურებულია, რომ მცირე ულუფებით ხშირი კვება ჯანმრთელობას ვნებს, რადგან ყოველი წახემსების დროს ინსულინი გამოიყოფა, ხოლო ინსულინის ზედმეტ გამოყოფას ინსულინრეზისტენტობამდე მივყავართ, ხოლო უჯრედი როგორც ინსულინის, ისე გლუკოზის მიმართ შიმშილს განიცდის!**

თუ გვინდა, რომ ინსულინრეზისტენტობა ჯერ შევამციროთ და მერე დავამარცხოთ, ამისათვის დღე-ღამის განმავლობაში ერთხელ, მაქსიმუმ, ორჯერ ჭამას უნდა მივეჩვიოთ. **როცა საკვების მიღებიდან მიღებამდე ინტერვალი დიდია და, მათ შორის, არავითარი წახემსება არ ხდება, ინსულინი მხოლოდ საკვების მიღების დროს გამოიყოფა.** დანარჩენ დროს ინსულინის გამოყოფა არ ხდება, რაც, ბუნებრივად, იმას ნიშნავს, რომ ინსულინრეზისტენტობის HOMA-IR ინდექსი დაბლა იწევს. თუ ორგანიზმს გლუკოზის მოხმარების ნაცვლად კეტონური სხეულების, ანუ ცხიმების დაშლის პროდუქტების მოხმარებაზე გადავიყვანთ, ჩვენი სხეული იდეალურ ფორმაში ჩადგება!

***— რას ნიშნავს კეტონური სხეულების მიღება? რა უნდა ვჭამოთ, რათა ინსულინრეზისტენტობასაც თავი ავარიდოთ და იდეალური წონაც შევინარჩუნოთ?***

— როცა ორგანიზმში ჭარბი რაოდენობით ინსულინი გამოიყოფა, მაშინ ზრდის ჰორმონის, ანუ **სომატოტროპინის** წარმოქმნა მკვეთრად მცირდება. ბავშვებში ზრდის ჰორმონი კუნთოვანი მასის გადიდებასა და გაზრდას ემსახურება, ხოლო დიდებში, სხვა ფუნქციებთან ერთად, ის ცხიმების უპირველესი დამშლელია. 40-45 წლის შემდეგ ზრდის ჰორმონის გამომუშავება ბუნებრივად მცირდება. სწორედ ეს არის იმის უპირველესი მიზეზი, რომ ამ ასაკიდან ადამიანი უმეტეს შემთხვევაში წონაში იმატებს. ინსულინი და ზრდის ჰორმონი ერთმანეთისადმი ანტაგონისტურად არიან განწყობილი. ინსულინი ცხიმებს „აგროვებს“, ხოლო ზრდის ჰორმონი ცხიმებს შლის... ცხადია, იმისათვის, რათა ორგანიზმმა მეტი ზრდის ჰორმონი გამოიმუშაოს, ინსულინი მინიმალური რაოდენობით უნდა იყოს წარმოდგენილი. ყოველი საკვების მიღებისა და წახემსების დროს კი, მოგეხსენებათ, ინსულინი განუწყვეტლივ გამოიყოფა... ამიტომაა, რომ სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა — **ვინც დღის განმავლობაში, ერთხელ ან, მაქსიმუმ, ორჯერ თუნდაც მამაპაპურად ჭამს, წონაში ნაკლებად იმატებს, ვიდრე ის, ვინც ბევრჯერ და მცირე ულუფებით იკვებება. ინსულინრეზისტენტობის შესამცირებლად ან გასაქრობად საკვების მიღების რაოდენობის კლებასთან ერთად აუცილებელია საერთოდ უარი ვთქვათ შაქრის, სახამებლისა და ნახშირწყლების შემცველ პროდუქტებზე.**

ეს არ ეხება მხოლოდ ბოსტნეულს, რომელშიც შაქარი თითქმის არ არის და არის ნახშირწყალი, მაგრამ ის ინსულინის გამოყოფას ხელს არ უწყობს. ბოსტნეულში შემავალი ნახშირწყალი უჯრედისი, ანუ ცელულოზაა, რომელსაც ბევრ სიკეთესთან ერთად კიბოს საწინააღმდეგო თვისებებიც გააჩნია. ასეთ დროს ცილოვანი საკვების დიდი რაოდენობით მიღებაც არ არის სასურველი, რადგან ცილები, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც გლუკოზად გარდაიქმნება, რაც ინსულინის გამოყოფას იწვევს.

**ცხიმი ერთადერთი პროდუქტია, რომელიც გლუკოზად არ გარდაიქმნება და ინსულინის დონეს მაღლა არ სწევს.** გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ უცხიმო ხორცი და პროდუქტები უნდა მივიღოთ, მცდარია. ცხიმი ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. უფრო მეტიც, **შეისწავლეს იმ ადამიანების კვების რაციონი, რომლებმაც ინსულტი გადაიტანეს და დაასკვნეს, რომ მათი უმრავლესობა უცხიმო დიეტაზე იყო.** საქმე ის არის, რომ ცხიმში შედის ისეთი ცხიმოვანი მჟავები, რომელსაც ორგანიზმი თვითონ ვერ აწარმოებს, მაგრამ თავის ტვინისთვის აუცილებელია. გარდა ამისა, ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია A, D და E ვიტამინი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ცხიმში ხსნადია. **თუ ორგანიზმი ცხიმებს საერთოდ არ მიიღებს, მაშინ რა სახითაც გინდა მიიღოს ეს ვიტამინები, ორგანიზმი მას საერთოდ ვერ აითვისებს. ამიტომ უცხიმო რძით, ყველით, არაჟნითა და ხორცით გატაცება ჯანმრთელობისთვის სახიფათოა!**




**„იდეალური იქნება, თუ გადავალთ ჩვენ მიერ არაერთგზის ხსენებულ ე.წ. „16 პლუს 8“ კვების რეჟიმზე, როცა დღე-ღამის განმავლობაში რვასაათიან მონაკვეთში, მაქსიმუმ, ორჯერ ვჭამთ, ხოლო დანარჩენი 16 საათი წყლის გარდა არაფერს ვღებულობთ!“**

საერთოდ, იდეალური იქნება, თუ გადავალთ ჩვენ მიერ არაერთგზის ხსენებულ ე.წ. „16 პლუს 8“ კვების რეჟიმზე, როცა დღე-ღამის განმავლობაში რვასაათიან მონაკვეთში, მაქსიმუმ, ორჯერ ვჭამთ, ხოლო დანარჩენი 16 საათი წყლის გარდა არაფერს ვღებულობთ. თუ შაქარს, სახამებელსა და ნახშირწყლებს საერთოდ დავივიწყებთ, ბოსტნეულს რაც შეიძლება მეტს მივიღებთ, ხოლო ცილებს, მაქსიმუმ, 100 გრამის ოდენობით მოვიხმართ, მაშინ ჩვენი ინსულინრეზისტენტობა, დიდი ალბათობით, წარსულს ჩაბარდება.

ჩვენ არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ **კვერცხი სინამდვილეში მავნე არ არის და დღეში ორი-სამი მოხარშული კვერცხის ჭამა ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა.** არ არსებობს არანაირი კვლევა, რომელიც დაამტკიცებს, რომ კვერცხი ცუდ ქოლესტერინს უმატებს. პირიქით, კვერცხის რეგულარული მიღება ხელს უწყობს კარგი ქოლესტერინის წილის ზრდას.

***— ამ დიეტების გარდა, არსებობს თუ არა რაიმე ხალხური საშუალება, რომლითაც ინსულინრეზისტენტობისა და დიაბეტის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლა შესაძლებელია?***

— ინსულინრეზისტენტობისა და დიაბეტის სამკურნალოდ **ბაბუაწვერა და დარიჩინი** გამორჩეული საშუალებებია! ბაბუაწვერა სარეველა მცენარედ არის მიჩნეული და ეზოებიდან და ნაკვეთებიდან მის მოსაშორებლად ყველაფერს აკეთებენ, არადა, **ეს ერთ-ერთი ძალიან საინტერესო მცენარეა, რომლის ფესვებიც მიწაში 9 მეტრამდე ჩადის და ნიადაგის ღრმა ფენებიდან უამრავი სასარგებლო მიკროელემენტი ამოაქვს.** ბაბუაწვერა შეიცავს ნივთიერება **აპიგინინს,** რომელსაც ზუსტად იგივე მოქმედება ახასიათებს, როგორიც ბევრ კიბოს საწინააღმდეგო ქიმიოთერაპიულ პრეპარატს. მათგან განსხვავებით, ბაბუაწვერა არ არის ტოქსიკური მცენარე და მისი ყველა ნაწილი გამოიყენება — ფოთოლიც, ყვავილიც და ფესვიც.

## კვირგვინოსნები

**დავით ელგანდაშვილი**
*მედიცინის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*



პირველ ოპერაციაზე **ახალგაზრდა ექიმებს ხშირად გული მისდით.** ოპერაციის დროს გული მეც წამსვლია და ეს სამარცხვინო სულაც არ არის. **ამის მიზეზი სტრესი და ემოციური მდგომარეობაა...** როცა ახალბედა ხარ, შეცდომებიც მოგდის: მაგალითად, **მე ოპერაციაზე პირველად რომ შევედი, აპარატს, რომლითაც საოპერაციოს ანათებენ, თავი მივარტყი.** ჩემი უფროსი კოლეგები მაჯავრებდნენ, **არ ინერვიულო, ვინც მაგას თავი მიარტყა, ყველა პროფესორი გახდაო,** — აი, ასე უცნაურად „მოვინათლე“ ქირურგად.

„კვირის პალიტრა“

**ლადო კახაძე**
*პარლამენტარი*



გაფრთხილებთ, **სიგარეტს ნუ ეწევით, ინფარქტი მოგივათმეთქი** და არ მიჯერებთ! გეუბნებით, **ანალიზის გარეშე მხოლოდ პოლიტიკურად ანგაჟირებულ სიტყვებს ნუ ლაპარაკობთ, ხალხს აავადებთ-მეთქი** და არ ასრულებთ!

„ინტერპრესნიუსი“

**მაგი გოცირიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ჟურნალისტი მეკითხება — **ყველა ყოფილ ნაციონალზე, რომელიც „ოცნებაში“ გადაპორტირდა, იმას რომ ამბობთ, სკამზე შემხტრები სვამდნენ მიშას სადღეგრძელოსო და ვასილ ჩიგოგიძეზე** რომ არცერთხელ არ გითქვამთ, ის არ გინახავთ სკამზე შემდგარიო? გულწრფელად ვუპასუხე — ვადასტურებ, **ყველა პორტირებული მინახავს სკამზე შემდგარი, რასაკვირველია, დიდი სურვილი ჰქონდა ჩიგოგიძესაც,** მაგრამ არცერთ რესტორანში არ იძებნებოდა სკამი, რომელიც გაუძლებდა, სულ ეს იყო მიზეზი.

„NEWPOSTS“



# „უცხიმო რძით, ყველით, არაჟნითა და ხორცით გატაცება ჯანმრთელობისთვის სახიფათოა!“

ბაბუაწვერას ძალიან ბევრი ქიმიური მედიკამენტის შეცვლა შეუძლია. ის ძლიერი **შარდმდენია,** მაგრამ ქიმიური შარდმდენებისგან განსხვავებით, **კალიუმის დეფიციტს არ ქმნის.** პირიქით, ბაბუაწვერა თვითონ შეიცავს დიდი რაოდენობით კალიუმს, რომლის ნაკლებობაც მაღალი არტერიული წნევის განმაპირობებელია. რაც მთავარია, **ბაბუაწვერა ამცირებს ინსულინრეზისტენტობას, დაბლა სწევს სისხლში ინსულინის დონეს და შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ ერთ-ერთი საუკეთესო პრეპარატია.** ჰომეოპათიური წესით დამზადებული ბაბუაწვერა, რომელსაც **„ტარაქსაკუმი“** ეწოდება, ჩემი სამედიცინო პრაქტიკის აუცილებელი ატრიბუტია. ის საოცრებებს ახდენს ღვიძლის ციროზისა და ფიბროზის მკურნალობაშიც. **ბევრმა, შესაძლოა, არ იცის, რომ ბაბუაწვერა შიდსის ვირუსის გამრავლებას ხელს უშლის!** ბაბუაწვერას ფოთლებს, რომელსაც მომწარო გემო აქვს, სალათებში იყენებენ, ხოლო მისი გამხმარი ფესვებისგან შესანიშნავი ყავა მზადდება, რომელიც ნამდვილი ყავისგან გემოთი არ გაირჩევა, სამაგიეროდ, არ შეიცავს კოფეინს და ჯანმრთელობისთვის ბევრად სასარგებლოა!

**— დარიჩინს რა ეფექტი გააჩნია შაქრიანი დიაბეტის წინააღმდეგ საბრძოლველად?**

— **დარიჩინი** ინსულინრეზისტენტობის ინდექსს დაბლა სწევს და სისხლში შაქრის შემცველობას ამცირებს. მისი თვისებები განპირობებულია დარიჩინში შემავალი ნივთიერება**ცინომალდით,** რომელსაც ანტიდიაბეტურის გარდა, ანთების საწინააღმდეგო და კიბოს საწინააღმდეგო თვისებებიც აქვს. რაც მთავარია,

## დარიჩინი ერთ-ერთი საშიში სოკოს – კანდიდას დაუძინებელი მტერია!

დარიჩინის ხე, რომლის სამშობლოც ცეილონია, შუა საუკუნეების ევროპაში ისე ფასობდა, რომ 1 გრამი ცეილონური დარიჩინის ფხვნილი 15 გრამ ვერცხლში იცვლებოდა. ამ პროდუქტზე მაშინ მონოპოლია პორტუგალიას გააჩნდა, რადგან კუნძული ცეილონი სწორედ პორტუგალიის კოლონია იყო. საქართველოში ცეილონური დარიჩინის ნაცვლად ადვილად შეიძლება შემოგვატყუონ მისი „შორეული ნათესავი“ **კასია, ანუ ჩინური დარიჩინის ხის ქერქი,** რომელიც დარიჩინისგან მკვეთრად განსხვავდება. ნამდვილი ცეილონური დარიჩინი რომ ჩინური კასიასგან გავარჩიოთ, უნდა ვიცოდეთ მათი განმასხვავებელი ნიშნები. კერძოდ, ნამდვილი დარიჩინის ხის ქერქი ძლიერი არომატით გამოირჩევა, მრავალშრიანია, ადვილად იფხვნება და სიგარას წააგავს, ხოლო კასია მყარია, ცუდად იგრიხება, ერთშრიანია და კი არ იფხვნება, არამედ ქუცმაცდება.

2003 წელს ორმა ამერიკელმა მეცნიერმა 60 ინსულინრეზისტენტულ პაციენტზე ჩაატარა ექსპერიმენტი. პაციენტები დაყვეს სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფს დღეში ერთხელ 1 გრამ დარიჩინს აძლევდნენ, მეორეს — 3 გრამს, ხოლო მესამე ჯგუფს — 6 გრამს. 40 დღის შემდეგ შაქრის მაჩვენებელი პირველ ჯგუფს — 18 პროცენტით, მეორე ჯგუფს — 25 პროცენტით, ხოლო მესამე ჯგუფს 30 პროცენტით შეუმცირდა.

***— როგორ და რასთან ერთად მივიღოთ დარიჩინი?***

— **დარიჩინი ძალიან კარგია კეფირთან ერთად:** *3 გრამი დარიჩინის ფხვნილი ავურიოთ 200 გრამ კეფირში, გავაჩეროთ 20 წუთი და მივიღოთ დღეში ორჯერ — უზმოზე და ძილის წინ. კურსი უნდა გავაგრძელოთ 10 დღე.* **დარიჩინი ძალიან კარგია ე.წ. მექსიკური ჩაის სახითაც:** *3 ცალი დარიჩინის ქერქის ტოტი ჩავყაროთ 4 ჩაის ჭიქა წყალში, მივიყვანოთ ადუღებამდე და შემდეგ 15 წუთი გავაჩეროთ. ამის შემდეგ ნაყენს დავუმატოთ 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და დღეში ოთხჯერ დავლიოთ, როგორც ჩაი.* **იდეალურია დარიჩინისა და კურკუმას კომბინაციაც:** *1 ჩაის ჭიქა შავი ჩაის ნაყენს დავუმატებთ 1 ჩაის კოვზ კურკუმას, 1 გრამ დარიჩინს და მივიღებთ დღეში ორჯერ — დილით და საღამოთი.*

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***





## „ინსულინრეზისტენტობისა და დიაბეტის სამკურნალოდ ბაბუაწვერა და დარიჩინი გამორჩეული საშუალებებია!“

# დიდი ბრიტანეთის პრემიერმა კაცობის ტესტი ჩააბარა!




***გასულ კვირას დიდ ბრიტანეთში გამართულ კონსერვატიული პარტიის შიდაპარტიულ კონფერენციაზე, შეიძლება თამამად ითქვას, ისტორიული მოვლენა მოხდა: ბრიტანეთის მმართველმა პარტიამ და კონსერვატორმა პრემიერმა გლობალური ლგბტ გენდერული იდეოლოგია ჩარეცხა!***

## დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა რიში სუნაკმა კონსერვატიული პარტიის კონფერენციაზე თქვა, რომ კაცი არის კაცი და ქალი არის ქალი!

ის კი არა, ამ დიდ წარმომადგენლობით შიდაპარტიულ შეხვედრაზე სხვა მრავალ საკითხთან ერთად განიხილებოდა ტრანსგენდერების უფლებების საკითხებიც: **ბრიტანელ კონსერვატორთა მტკიცებით, ტრანსგენდერ ქალებს ქალებისთვის განკუთვნილ საჯარო ტუალეტებში შესვლა აეკრძალებათ!**

**„არავის უნდა მოახვიონ თავს იდეა, რომ ადამიანებს შეუძლიათ იყვნენ ის სქესი, რაც მათ სურთ. მათ ეს არ შეუძლიათ — კაცი არის კაცი და ქალი არის ქალი, ეს, უბრალოდ, საღი აზრია“** — აი, ეს განაცხადა სიტყვასიტყვით ბრიტანეთის პრემიერმა **რიში სუნაკმა.**

პრემიერ-მინისტრის განცხადებებს დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის კონფერენციაზე ხანგრძლივი აპლოდისმენტები მოჰყვა! **სუნაკმა** ასევე **თქვა, რომ კონსერვატორებს არასოდეს უნდა ეშინოდეთ, იყვნენ საზოგადოების სტაბილურობის გარანტები და აღნიშნა, რომ მშობლებმა უნდა იცოდნენ, რას ასწავლიან მათ შვილებს სკოლებში სქესობრივი ურთიერთობების შესახებ!** ანუ ეს ნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის განათლების სისტემაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში დამკვიდრებული **ლგბტ ლიბერალური იდეოლოგია დასრულებულია!**

ალბათ, მკითხველი ლოგიკურად იკითხავს — **რა ეტაკათ ბრიტანელ კონსერვატორებს, ეს ამდენი წელი თავად არ იყვნენ ხელისუფლებაში, ყველგან ლგბტ იდეოლოგიას რომ ამკვიდრებდნენო?!** პასუხი მარტივია: **ხალხის საპროტესტო ხმამ ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ მთავრობა იძულებული გახდა, გაეხსენებინა, რომ კონსერვატორები იყვნენ და არა რომელიღაც ლიბერალ-დემოკრატები!**

დიახ, ბრიტანელებს ყელში ამოუვიდათ ეს ტრანსგენდერული მარაზმები, ბავშვებისათვის სქესის შეცვლის მოდა და შემდეგ უძვირესი ჰორმონალური მკურნალობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება! **მოკლედ, ბრიტანეთის მმართველი პარტია მიხვდა, თუ ხელისუფლებაში დარჩენა სურს, მაშინ ჭეშმარიტ კონსერვატორიზმს უნდა დაუბრუნდეს, რადგან სწორედ ეს სურთ ბრიტანელ ამომრჩევლებსაც!** რა თქმა უნდა, ამ სერიოზული **ანტი-ლგბტ განაცხადით** ბრიტანეთის პრემიერი ღიად დაუპირისპირდა მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს — მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც **რიში სუნაკს** ბაიდენის განაწყენება და ამ ლგბტ იდეოლოგიის სანაგვეზე მოსროლა ურჩევნია ხელისუფლების დაკარგვას!

დაბოლოს: **ნეტამც ბრიტანეთის პრემიერის მიერ ამ ელემენტარული ჭეშმარიტების აღიარებაზე — ქალი რომ ქალია, კაცი კი — კაცი, ჩვენებური ზონდერ-გენდერების დამუავებული სახეები მეხილა!** ბრიტანეთის პრემიერმა ხომ ჩვენებური ლგბტ სექტა — მთელი ეს სალომჯარიეთი და საბაბუცაპატარაიეთიც ჩარეცხა!

აი, ასეა: **სულ რაღაც ერთი წლის წინ გლობალური ლგბტ მოძღვრება მთელ სამყაროს აზანზარებდა, მაგრამ ისტორიულმა ვითარებამ და გლობალურმა კონტექსტმა ეს ავადმყოფური და პათოლოგიური იდეოლოგიაც შეარყია.**

არადა, **ქალი რომ ქალია და კაცი — კაცი, ამას რა დიდი გადამოწმება სჭირდებოდა?!**

***გიორგი გიგაური***




## კვირგვინოსნები

**ნუგზარ ერგემლიძე**
*კომპოზიტორი, მხატვარი, ავტორ-შემსრულებელი*



ჩემი სახელფასო ბარათი ჰქონდა ჩემს მეუღლეს ოჯახის საჭიროებებისთვის. მერიდებოდა ფულის გამორთმევა. **პარლამენტის პირველ სართულზე ყველა ბანკის ფილიალი იყო, გამუდმებით გვთავაზობდნენ სესხებს,** საკრედიტო ბარათებს. ჰოდა, საბოლოო ჯამში, **პარლამენტიდან რომ წამოვედი, ბანკის ვალი 20 ათასი მქონდა.**

„სარკე“

**სოფო ბედია**
*მომღერალი*



როცა მინდა, **ორ დღეში ვიყო ძალიან ჩაჩუტული, მივმართავ ხოლმე შიმშილის მკაცრ დიეტებს.** მარტო კეფირით, შავი შოკოლადით და ყავითაც გადამიტარებია დღეები. არ ვაძლევ თავს იმის უფლებას, რომ **ისე გავსუქდე, კაბებში ვერ ჩავეტიო.**

„სარკე“

**ანჯელინა ჯოლი**
*მსახიობი*



**შვილები რომ არ მყოლოდა, უკვე ფსკერზე ვიქნებოდი.**

„სარკე“

**ელენე ნიკოლეიშვილი**
*პიანისტი*



ბელგიაში მიჩნდება შიში, რომ **სამშობლოს არამარტო ფიზიკურად, ფსიქოლოგიურადაც ვშორდები.**

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი:

# პლანეტა პლუტონი მალე დიდი ხნით მერწყულში დაიბუდებს

*— ღრიანკალს მომდევნო წლებში რატომ ექნება მძაფრი რეაგირება პლანეტა პლუტონის მოძრაობაზე, ცვლილებებზე და ევოლუციურ ციკლებზე? მას რომელ სფეროებში ელის სასიკეთო ცვლილებები? რა იქნება მისთვის აუცილებელი, ვის უნდა ერიდოს ანდა რა მოეთხოვება? რა ახასიათებს პლუტონს და რა იქნება ღრიანკალისთვის ყველა სენის მკურნალი? მერწყულის ზოდიაქოში პლუტონის მოძრაობის პერიოდში მშვილდოსნისთვის რა იქნება უმთავრესი? რისგან მოუწევს გათავისუფლება? დროულად ვინ უნდა ჩამოიცილოს ანდა რისთვის იქნება მშვენიერი ეს დრო? თხის რქას რა სიკეთეს უქადის პლანეტა პლუტონი? რისი საშუალება მიეცემა და რა იქნება საკმარისი წარმატების მისაღწევად? მომდევნო წლებში ზოდიაქოს რომელი ნიშნის წარმომადგენელი გახდება მიმდინარე მოვლენების მთავარი მოთამაშე? ამისთვის რა არ უნდა იუაროს და რა იქნება ძირითადი მამოძრავებელი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი** გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ რა ზემოქმედებას მოახდენს ანდა რისი გათვალისწინება მართებს, ზოგადად, ზოდიაქოს თითოეული ნიშნის წარმომადგენელს მომდევნო წლებში პლანეტა პლუტონის მერწყულის ზოდიაქოში მოძრაობის პერიოდში?**

— 8. **ღრიანკალის ნიშნის მმართველი სწორედ პლანეტა პლუტონია, ამიტომ იგი მძაფრ რეაგირებას მოახდენს პლუტონის მოძრაობაზე, ცვლილებებზე და ევოლუციურ ციკლებზე. უნდა ითქვას ისიც, რომ წინა წლების წნეხი მომდევნო წლებში აისახება მის უძრავ ქონებაზე, საცხოვრებელზე, იდეალებზე, აღზრდაზე, მშობლებზე და ყველასაგან დაფარულ ქცევნობიერებაზე. ამავდროულად, ღრიანკალი მოცემული მომენტისთვის რა სიტუაციაშიც არ უნდა იყოს, პლანეტა პლუტონისგან მიღებული ძალისა და ენერგიის ხარჯზე ყველაფერს გაუმკლავდება.** მას სასიკეთო ცვლილებები ელოდება უძრავ ქონებასთან და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებით. ზოგიერთი მათგანი შეეცდება, საკუთარი ყოფაცხოვრება უფრო კომფორტული გახადოს. ზოგი თავისებურად დაალაგებს ურთიერთობას ნათესავებთან. ზოგი კი საბოლოოდ გადაწყვეტს, მშობლებს გამოეყოს, საცხოვრებელი თავად შეიძინოს და დამოუკიდებლად იზრუნოს პირად ცხოვრებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი იქნება უახლოეს ნათესავებთან დადებითი ურთიერთობის შენარჩუნება და აქამდე არსებული ყველა კონფლიქტის მოგვარება. ასევე სასურველია, არ ჩაერთო ხანგრძლივ და დაუსრულებელ სამშენებლო თუ სარემონტო სამუშაოებში. ამისთვის კი აუცილებელი იქნება, წინასწარ ყველაფრის დათვლა, დროისა და რესურსის სწორად დაგეგმვა და გადანაწილება. თუმცა, მოგეხსენებათ, რომ **პლანეტა პლუტონს ახასიათებს საოჯახო საიდუმლოებების, ნათესავებს შორის არსებული ნებისმიერი სიყალბის გამოაშკარავება. შედეგად ღრიანკალიც მეტ ინფორმაციას მიიღებს საკუთარ ფესვებსა და როგორც მატერიალურ, ისე გენეტიკურ მემკვიდრეობაზე.** გამორიცხული არ იქნება ოჯახის უძრავ ქონებაზე ძალაუფლების მოპოვების მცდელობაც, ამიტომ კარგი იქნება, თუ **ღრიანკალის** ნიშნით დაბადებული მოერიდება ქარიზმატულ, ძალაუფლებასა და კონტროლზე მანიაკურად დაციკლულ ადამიანებს. განსაკუთრებით მათ, ვინც შეეცდება მისი სამუშაოსა და ფინანსების გაკონტროლებასა და მართავს, მისი რესურსების სათავისოდ სასიკეთოდ გამოყენებას. **ნიშანდობლივია ისიც, რომ უახლოეს წლებში კიდევ უფრო გაიზრდება ღრიანკალის ინტუიცია და შინაგანი ძალები, ამიტომ რწმენა ყველა სენის მკურნალი იქნება.** სიზმრები კი დაეხმარება, გაერკვეს მნიშვნელოვან საკითხებში.

**9. მშვილდოსნის შინაგან ცეცხლს კი უფრო მეტად ააგიზგიზებს მერწყულის ზოდიაქოში გადანაცვლებული პლუტონი.** მთავარია, ამ ნიშნის წარმომადგენელი ყველა დოგმისგან გათავისუფლდეს, ცნობიერება და აზროვნება განაახლოს, გულწრფელობა და საგამომგონებლო თუ ინოვაციური ნიჭი განავითაროს. იგი რაც უფრო კრეატიული იქნება, ირგვლივ მით უკეთესი ატმოსფერო დაისადგურებს და საკუთარი საქმიანობიდან მეტ სიამოვნებასა და შედეგსაც მიიღებს. ეს პერიოდი მშვენიერი იქნება რაიმე ახლის შესასწავლად. ამგვარად, მისი კომპეტენტურობა და ავტორიტეტი გაიზრდება. მოგზაურობა და მივლინებები ხშირად მოუწევს. შესაძლოა, საცხოვრებელი შეიცვალოს. მისი სანაცნობო წრეც გაფართოვდება. თუმცა, სასურველია, დროულად ჩამოიცილოს ის, ვინც **მშვილდოსნის** ხარჯზე მოისურვებს საკუთარი პრობლემის მოგვარებას. უახლოეს წლებში მოსალოდნელია ასევე დიდი და სასიამოვნო ცვლილებები პირად და რომანტიკულ სფეროში.

**10. თხის რქისთვის კი ბოლო თერთმეტი წელიწადი საკმაოდ რთული, დაძაბული და შრომატევადი იყო. მერწყულში გადანაცვლებული პლუტონი მას მშვიდად ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს. პლანეტა პლუტონი უქადის ფინანსურ კეთილდღეობას, ამიტომ ძველებურად თავაულებლად გარჯა აღარ მოუწევს და თავისი დროისა და შრომის უფრო მეტად დაფასებას შეძლებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ წინა წლებში თხის რქამ დიდი სამუშაო ჩაატარა და კარგი საფუძველი მოამზადა, რათა ახლა შედეგით მშვიდად დატკბეს და გაწეული შრომის ნაყოფი მიიღოს.** ზოგიერთ მათგანს მეტი შემოსავლისთვის და მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სამუშაო ადგილის ან პროფესიის შეცვლა მოუწევს. თუმცა, ესეც მათივე კეთილდღეობისთვის იქნება აუცილებელი. ზოგიერთს კი საშუალება მიეცემა, პირადი ცხოვრებისგან მეტი სიამოვნება მიიღოს, ადრე დამალული ურთიერთობები გაასაჯაროოს ან პრიორიტეტები შეიცვალოს. **წარმატების მისაღწევად კი საკმარისი იქნება, ხელი მიჰყოს ნებისმიერ მისთვის სასიამოვნო შემოქმედებით საქმიანობას.**

**11. მერწყულის ნიშნით დაბადებულს ახალი ცხოვრებისეული ციკლი დაეწყება, რომლის დროსაც მიმდინარე მოვლენების მთავარი მოთამაშე გახდება, რაც დიდ წარმატებას უქადის. ეს იქნება ზრდისა და განვითარების პერიოდი, ამიტომ არავის და არაფრის გამო არ შეიძლება უარის თქმა იმ შესაძლებლობებზე, რომელსაც მას პლანეტა პლუტონი უბოძებს.** წინააღმდეგ შემთხვევაში, **მერწყული** ვერც ამ შესაძლებლობებს გამოიყენებს და დაკარგავს იმასაც, რაც ვერ დათმო. **მისი ძირითადი მამოძრავებელი უნდა გახდეს გააზრებული ამბიციურობა, პირდაპირობა, ბრძოლისუნარიანობა, ჟინიანობა და შეუპოვრობა.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 9 – 15 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
თქვენი ძალისხმევით და შრომით მოკლე დროში შეძლებთ საჭირო კონტაქტების დამყარებას, ცოდნისა და ინფორმაციის მიღებას და ახალ-ახალი სიმაღლეების დაპყრობას. კრიტიკა-ქილიკს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. გადაადგილება-კონტაქტები ხელს შეგიწყობთ სულიერ ზრდასა და თვალსაწიერის გაფართოებაში. შეეცადეთ, გაახაროთ საყვარელი ადამიანები და საკუთარი თავიც გულთბილობით და თუნდაც წვრილმანი საჩუქრებით.

**კურო (21.04-20.05)**
საქმეში ცვლილებები და ტექნიკური ბაზის განახლება სასურველ შედეგს მოიტანს. ბევრმა შეხვედრამ კი შესაძლოა, დაღლილობა გაგრძნობინოთ. შვილებთან და მეუღლესთან ურთიერთობა სტიმულს მოგაწვდით საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად, გზებზე გადაადგილებისას და საჭის მართვისას ნუ გარისკავთ, რათა შემთხვევით არ დაზარალდეთ.

**ტყუპი (21.05-22.06)**
მრავალი იდეა გექნებათ, მაგრამ წინასწარ უნდა აირჩიოთ მიზანიც და სამოქმედო ტაქტიკაც, რათა ყველაფრის ერთად შესრულება არ მოგიწიოთ. ამ შემთხვევაში მონდომებასაც დაგიფასებენ და კარგ შემოსავალსაც მიიღებთ. სიყვარულში კი ცვლილებას მოერიდეთ, რათა ამან ჯანმრთელობა არ გაგიუარესოთ და დაღლის შეგრძნება არ შეგმატოთ. დასასვენებლად ჯობს, ოჯახის წევრებთან ერთად გაემგზავროთ.

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
არ აჩქარდეთ და სამსახური, საქმიანი ან სასიყვარულო პარტნიორები არ შეცვალოთ. შესაძლოა, ახალი კავშირის დამყარების შიშიც გაგიჩნდეთ. მშობლებს მეტი ყურადღება შესაძლოა, დასჭირდეთ. პირად ურთიერთობაში კი მოსალოდნელია სირთულეები. მოგზაურობა გადადეთ, რადგან უცხოელებთან ურთიერთობა გაგიჭირდებათ და შესაძლოა, დადებითი ცვლილების პერსპექტივა დაკარგოთ. ეცადეთ, დაისვენოთ და ჯანმრთელობა აღიდგინოთ.

**ლომი (23.07-23.08)**
ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არაოფიციალურ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს ნუ ენდობით და ნუ მიმართავთ. ინფორმაცია ჯობს, ახლობლებისგან და ნათესავებისგან მიიღოთ, თუმცა, გამოყენებისას აუცილებლად შეამოწმეთ. იურიდიული საქმეები ყურადღებას ითხოვს. ხელმძღვანელობა ყოველ მხრივ ხელს შეგიწყობთ. მოგზაურობა წარმატებას არ მოგიტანთ, ამიტომ ჯობს, თავისუფალი დრო დასვენებას დაუთმოთ.

**ქალწული (24.08-23.09)**
დაძაბული ურთიერთობა გარშემო მყოფებთან გაიძულებთ, მიზნები შეცვალოთ და კონტაქტებსა და გეგმებში კორექტივები შეიტანოთ. შვილებთან ურთიერთობას მეტი დრო უნდა დაუთმოთ. სამსახურში კი სწრაფად იმოქმედეთ და ეცადეთ, ვალდებულება სრულფასოვნად შეასრულოთ. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად კარგი იქნება მკურნალობის დაწყება. მოგზაურობისას სერიოზული კონფლიქტებია მოსალოდნელი. ემოციები აკონტროლეთ, რათა უმიზეზოდ შეყვარებულს არ ეჩხუბოთ.

## 9 – 15 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი (24.09-22.10)**
ენერგიულობა მოგემატებათ და შემართებით შეუდგებით ჩანაფიქრის განხორციელებას. გადაადგილება-მოგზაურობის რიცხვიც იმატებს. პროფესიაში მაქსიმალურად უნდა დაიხარჯოთ, რათა თავი წარმატებულ ადამიანად იგრძნოთ. ეცადეთ, ხელმძღვანელობასთან არ იკონფლიქტოთ. შესაძლოა, ახლო გარემოცვის ერთ-ერთ წარმომადგენელთან ახალი სასიყვარულო კავშირი დაამყაროთ, რაც სწრაფად განვითარდება და ბევრ სიამოვნებასაც მოგიტანთ.

**ღრიანკალი (23.10-22.11)**
ხელშეკრულების დადებისას, ახალი საქმის დაწყებისას ანდა საბუთების გაფორმებისას ყველაფერი ყურადღებით წაიკითხეთ და კორექტივებიც დროულად შეიტანეთ. ეს პერიოდი ხელს შეუწყობს უფრო პრაქტიკული ნივთების შეძენას, მოგზაურობის დაწყებას და დღესასწაულების მოწყობას. მთავარია, არ იჩქაროთ და მჭრელ, მჩხვლეტავ საგნებს მოერიდოთ, რადგან ტრავმის მიღების ალბათობა არსებობს. სასიყვარულო ურთიერთობა კი განსაკუთრებულ სიამოვნებას გიქადით.

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
კარგი პერიოდია საზოგადოებრივი საქმიანობისთვის და ბევრ ადამიანთან ურთიერთობისთვის. თუმცა, მოგზაურობის რიცხვი ჯობს, შეამციროთ. საქმეში ერთდროულად რამდენიმე სფეროსთან შეხება მოგიწევთ, თუმცა, ეს თქვენს ავტორიტეტს უფრო აამაღლებს. ეცადეთ, კამათის გარეშე დაუმტკიცოთ პარტნიორებს თქვენი შეხედულების მართებულობა. პირად ცხოვრებას რაც შეეხება, შესაძლოა, სასიყვარულო პარტნიორზე დამოკიდებული გახდეთ.

**თხის რქა (22.12-19.01)**
შედარებით რთული კვირაა, ნებისმიერმა ცვლილებამ, შესაძლოა, შინაგანი წონასწორობა დაგირღვიოთ. თუმცა, თვითკონტროლის შემთხვევაში ოჯახური სიტუაცია ხელს შეგიწყობთ კარიერულ აღმასვლაში. მეგობრებიც დაგეხმარებიან. ფინანსებმა შესაძლოა, დაიგვიანოს, რის გამოც შემოსავლის ახალი წყაროს მოძიებაზე დაფიქრდებით. გადაადგილება-მოგზაურობისას სიფრთხილე გამოავლინეთ, რადგან ტრავმირების ალბათობა არსებობს.

**მერწყული (20.01-18.02)**
უცხოელებთან კავშირი კარგ შემოსავალს გიქადით, ოღონდ ეცადეთ, ყველა საბუთი სათანადოდ ოფიციალურად გააფორმოთ. ენერგიის მომატების მიუხედავად, მელანქოლია მოგეძალებათ. მარტოობა გაგიჭირდებათ, თუმცა, კარგი იქნება, თუ მხოლოდ ახალ მეგობრებთან იურთიერთებთ. ამ პერიოდში სასიყვარულო ურთიერთობა და გართობა ავანტიურული იერსახის იქნება. გადაადგილებებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ, რადგან გაუგებრობების ალბათობა არსებობს.

**თევზები (19.02-20.03)**
კარგი პერიოდია დასვენებისთვის, გეგმური სამედიცინო გამოკვლევებისთვის, ცოდნის გასაგრძელებლად, მეცნიერული მოღვაწეობისთვის. დანაკარგი რომ აიცილოთ, საჭიროა ინტრიგებს არ აჰყვეთ და არც წყენა ვინმეზე გულში არ ჩაიდოთ. ცოლქმრული ან სასიყვარულო კავშირი სიამოვნებას გიქადით და ბევრი სიურპრიზიც გელით. შესაძლოა, მშობლებისგან ან ნათესავისგან დახმარება მიიღოთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**11, 13, 14 და 15 ოქტომბერი**

**14 ოქტომბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 21.55 საათზე, მზის დაბნელება, პიკი – 22.00 საათზე. 29 ოქტომბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 00.24 საათზე, მთვარის დაბნელება, პიკი – 00.25 საათზე.**

## 9 ოქტომბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.06 საათზე, ჩადის 18.30 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 01.26 საათზე, ჩადის 16.34 საათზე (მთვარის 25-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეიდან სიყვარულისა და ხელოვნების მმართველი პლანეტა ვენერა გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში (8 ნოემბრამდე), რაც ურთიერთობისას გააძლიერებს სისუფთავისა და წესრიგისკენ მიდრეკილებას, პასუხისმგებლობას და ხელს შეუწყობს ფინანსურ წარმატებას მედიცინაში, პედაგოგიკაში, სამართალდამცავ სტრუქტურაში, სამეცნიერო სფეროში, ჟურნალისტიკაში და ასევე გაამახვილებს კრიტიკულობას, პირდაპირობასაც. დღეს მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა და ასევე პარტნიორის მხრიდან ღალატის მცდელობა. ლტოლვას ლამაზი ცხოვრებისკენ შესაძლოა, ცუდი შედეგი მოჰყვეს. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, სიყვარულის ასახსნელად და ხელის სათხოვნელად. შესაძლებელია საქმის გაფართოება და პრობლემების ახლებური მიდგომით გადაჭრა. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, ნერვიულობა, სიმძიმის აწევა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ბინის შეცვლა, ცხოველებით ვაჭრობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვათა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 10 ოქტომბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.07 საათზე, ჩადის 18.29 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (16.17) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 02.30 საათზე, ჩადის 16.58 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 02.18 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.36 საათიდან 16.17 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ჯანმრთელობას გაუფრთხილდით! პროცენტებით მოგების სურვილმა, შესაძლოა მთელი შემოსავალი დაგაკარგვინოთ. შესაძლებელია, კარგი ამბის გაგებაც, ძველი საქმიდან სარგებლის მიღება, პარტნიორული ურთიერთობის განმტკიცება. კარგი დღეა სულიერი განახლებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, ვაჭრობისთვის, სწავლისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედებანი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, ქორწინება, წყლის ტრანსპორტით მოგზაურობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სასიყვარულო კონტაქტები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, ბრილიანტი, სერდოლიკი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 11 ოქტომბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.08 საათზე, ჩადის 18.27 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 03.33 საათზე, ჩადის 17.19 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 03.35 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღება გმართებთ! ფინანსური სიტუაცია არასასურველია. მაღალია მოტყუების ალბათობა. ასევე შესაძლებელია ღალატი შეყვარებულის მხრიდან. ურთიერთობისას დაეყრდენით ინტუიციას. ნუ იკამათებთ, ტრავმული დღეა. მოერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას. არ არის სასურველი ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, წყლის ტრანსპორტით მგზავრობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, ვაჭრობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ქიმწმენდისთვის, დიეტის დასაწყებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის.

## 12 ოქტომბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.09 საათზე, ჩადის 18.25 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 04.34 საათზე, ჩადის 17.38 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 04.52 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.10 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** გადაინაცვლებს **ღრიანკალის** ზოდიაქოში (24 ნოემბრამდე), რაც ადამიანთა ქმედებისას გააძლიერებს ორგანიზებულობას, დისციპლინას, შეუპოვრობას, ბრძოლის ჟინს, ინტუიციას, მოთმინებას და ასევე გაამახვილებს წყენას, ეჭვიანობას, აგრესიას, შურს, სიჯიუტეს, სარკაზმსაც. გაააქტიურებს სამხედრო სფეროს, სამართალდამცავ ორგანოებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, დღეს წარმატებას ის მიაღწევს, ვინც თავის ნათქვამს სწრაფად შეასრულებს. არ არის სასურველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, წვრილმანში ჩაძიება, ურთიერთობის გარჩევა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგი დღეა საფინანსო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 13 ოქტომბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.10 საათზე, ჩადის 18.24 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.32) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.36 საათზე, ჩადის 17.57 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 06.08 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 04.32 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ხვალინდელი მზის დაბნელების წინა დღეს მძიმე სამუშაოსა და კონფლიქტს მოერიდეთ, პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. საქმეები დაასრულეთ. შესაძლოა, თავი იჩინოს დეპრესიამ, ჯანმრთელობის პრობლემამ, სიცრუის ტენდენციამ. ურთიერთობისას იმატებს თავქარიანობა, პრეტენზიულობა. დღეს შედეგიანი იქნება კბილების, ტერფების მკურნალობა და კოსმეტიკური პროცედურები. არ არის სასურველი ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, მჭრელი საგნების გამოყენება, ალერგიული პროდუქტებისა და ცივი გაზიანი სასმელების მიღება. კარგი დღეა საიუბილეო საღამოებისთვის, მუსიკალური აპარატურის, აქსესუარის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერიის შესაძენად. ასევე სამართლიანობისა და დიპლომატიის გამოსავლენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 14 ოქტომბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.10 საათზე, ჩადის 18.22 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია, ამოდის 06.38 საათზე, ჩადის 18.16 საათზე **(ახალმთვარეობაა,** პიკი — 21.55 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა. **მზის დაბნელებაა,** პიკი — 22.00 საათზე). **გეომაგნიტური დღეა.** მძიმე კოსმოსური ენერგიების დღეა. მაღალია აგრესია-დეპრესიის, კონფლიქტების, ტრავმების, ავარიების, შეცდომების, ცდუნებების და სხვა ნეგატიური მოვლენების ალბათობა. ყურადღებით იყავით! სასიკეთოა ოთახებში სანთელ-საკმევლის შემოტარება, ყველას დალოცვა, მარხვა. დღე მშვიდად გაატარეთ და ოპტიმისტურად განეწყვეთ. სასიკეთოა ასევე დიპლომატიის, სამართლიანობის, კომპრომისის გამოვლენა. კარგი დღეა ახალი საქმის დაგეგმვისათვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბავშვის ჩასახვა, ვაჭრობა, ფულის სესხება-გასესხება, წელის გაციება. საქმეები შეძლებისდაგვარად გადადეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, გიშერი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვაის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 15 ოქტომბერი, კვირა

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.13 საათზე, ჩადის 18.21 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.08) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.42 საათზე, ჩადის 18.37 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 08.45 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 11.01 საათიდან 15.08 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** გუშინდელი მზის დაბნელების შემდეგ დღესაც მაღალია პროვოკაციების ალბათობა. სიმშვიდე დაიცავით. მოერიდეთ მგზავრობა-მოგზაურობას ან სიფრთხილე გამოავლინეთ. არ არის სასურველი ხალხის მასასთან ურთიერთობა, ფინანსური ოპერაციები, ინტიმური კონტაქტები, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა, სასიკეთოა ლოცვა, მედიტაცია, საჩუქრების შეძენა. კარგი დღეა მავნე ჩვევისაგან გათავისუფლებისთვის, შემოქმედებისთვის, თვითშემეცნებისთვის, მასაჟისთვის, არომათერაპიისთვის. რეალურ ფაქტებს დაეყრდენით. სამართლიანობა, დიპლომატიურობა გამოავლინეთ. ნუ გარისკავთ და ნუ გადაიღლებით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი. **საღამოს:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



✝ **9 ოქტომბერი. ორშაბათი. მიცვალება წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა; დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა, რომელიც საქართველოში ათონის ივერთა მონასტრიდან ჩამოაბრძანეს.** ტიხონისა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისა.

✝ **10 ოქტომბერი. სამშაბათი. მოწამისა კალისტრატესი და მისთანა წამებულთა გიმნასისა და სხვათა;** მოციქულთა: მარკოზისა, არისტარქესი და ზინასი, 70-თაგანთა; მოწამისა ეპიქარიასი; ღირსისა ეგნატე იღუმენისა.

✝ **11 ოქტომბერი. ოთხშაბათი. დღესასწაული ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატისა.** ღირსისა ხარიტონ აღმსარებელისა; წინასწარმეტყველისა ბარუქისა; მოწამეთა: ალექსანდრესი, ალფესისა, ზოსიმესი, მარკოზ მწყემსისა, ნიკონისა, ნეონისა, ილიოდორესი და სხვათა; კრება ღირსთა მამათა, კიევის ახლო მღვიმეში დავანებულთა.

✝ **12 ოქტომბერი. ხუთშაბათი.** ღირსისა ონოფრე გარეჯელისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა კვირიაკოზ განშორებულისა; მოწამეთა: დადასი, სპარსთა მეფის შაბურის ძისა, გაველდაისი და დისა მისისა კაზდოიასი; ღირსისა თეოფანე მოწყალისა.

✝ **13 ოქტომბერი. პარასკევი.** მღვდელმოწამისა გრიგოლ დიდისა, ეპისკოპოსისა, სომეხთა განმანათლებელისა; მოწამეთა: რიფსიმესი, გაიანესი და მათთანა წამებულთა წმიდათა ქალწულთა; მიხეილისა, კიევის პირველი მიტროპოლიტისა; მელეტისა, ალექსანდრიელი პატრიარქისა.

✝ **14 ოქტომბერი. შაბათი. დღესასწაული კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღვთივბრწყინვალისა და მიროსნდინარისა. საფარველი ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.** მოციქულთა სწორთა: მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი; წმიდათა: სიდონიასი და აბიათარ მღვდელისა, ურიაყოფილისა; წმიდა სიდონიას დედისა, მაცხოვრის ჯვარცმის ჟამს მცხეთას ვნებულისა და პირველმარტვილისა; მელქისედეკ I-ისა, სრულიად საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქისა, სვეტიცხოვლის განმაახლებელისა; მოციქულისა ანანიასი, 70-თაგანისა; ღირსისა რომანოზ ტკბილადმგალობელისა; მოწამისა დომნინე თესალონიკელისა; ღირსმოწამისა მიქაელისა, ზობიელი იღუმენისა და მისთანა 36-თა ღირსმოწამეთა.

✝ **15 ოქტომბერი. კვირა. წმიდათა დიდმოწამეთა: დავითისა და კონსტანტინესი, არგვეთის მთავართა;** მოწამეთობა. მღვდელმოწამისა კვიპრიანესი და მოწამეთა იუსტინა ქალწულისა და თეოქტისტესი; ნეტარისა ანდრიასი, ქრისტესთვის სალოსისა.

**ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანები,**
საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლები** ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ გულანთებული ქართველი პატრიოტის

**გელა ღურწკაიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.







**მაღაზია «ბუკვიცა»**
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. პირანია; 9. საკი; 11. მოტორალი; 12. პრიმა; 13. რაპორტი; 14. რელე; 15. მოლაღური; 16. სტეკა; 17. ქარქაში; 19. გედი; 20. სოლიტერი; 21. პოლო; 22. თხა; 25. სენა; 26. პირამიდა; 30. ლასკალა; 34. პიპინია; 36. ბაო; 38. ლაბირინთი; 39. გზა; 40. ნანა; 41. ფარა; 42. განდეგილი; 44. მაუსი; 45. აპოლოგეტი; 50. ანომალია; 55. განა; 57. რობინზონი; 58. სტატისტიკა; 59. ზოგი; 60. ნიახური; 61. ტროლეი; 62. ლიბანი; 63. ვანილინი.

შვეულად: 1. მონოლოგი; 2. სონატინა; 3. კარუსელი; 4. პირიქითა; 5. რეპორტაჟი; 6. ნორმა; 7. აპისი; 8. მინესოტა; 9. სარაგოსა; 10. კალედონია; 18. შუ; 23. ალი; 24. ასი; 26. პელაგრა; 27. რობინიო; 28. მორფემა; 29. დენტინი; 31. ანი; 32. კალაძე; 33. ლაგამი; 34. პინია; 35. პონსო; 36. ბადურა; 37. ორბიტა; 43. პო; 46. პერანგი; 47. ლებლანი; 48. გონკური; 49. ტროტილი; 51. ნატურა; 52. მოტელი; 53. ლასტი; 54. ამიმია; 55. გიზები; 56. ნაგანი.

**ნევადავითომმეტრიკაბუკიოტიატრიბუტიასალიერი**
**ბოლივარიანტალიახვიჩაკონაკრისტიქსილოლიტაბუ**

| აშშ-ის შტატი | დამხმარე სიტყვა – თითქოს | დაბადების მოწმობა | პატარა ბუ | რისამე დამახასიათებელი ნიშანი | ცხენის ზურგზე გადა-საფარებელი ქსოვილი | ნაცია |
|---|---|---|---|---|---|---|

| მდინარე სანკტ-პეტერბურგში | საქართველოს მეფე ... აღმაშენებელი | ელწინააღმდეგობის საზომი ხელსაწყო | იაპონური თეატრი | ყურის ექიმი | ვინც ხშირად იბუტება | იტალიელი კომპოზიტორი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. კობრისებრთა ოჯახის თევზი; 9. პეპლების საჭერი მოწყობილობა; 11. სპორტული შეჯიბრება მოტოციკლებით; 12. წამყვანი ბალერინა; 13. პატაკი; 14. ჩამრთველ-გამომრთველი ელხელსაწყო; 15. მგალობელი ფრინველი, გულყვითელა; 16. მოქანდაკეების ხის საჭრისი; 17. ხმლის ბუდე; 19. წყლის ფრინველი; 20. ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 21. ესპანური ცეკვა; 22. შინაური ცხოველი; 25. მდინარე პარიზში; 26. გეომეტრიული სხეული; 30. მილანის საოპერო თეატრი; 34. აგულის მამა („არაჩვეულებრივი გამოფენა“); 36. მცირე ჩრდილი (საბა); 38. ყურის შიგნითა ნაწილი; 39. მიმოსვლის ზოლი დედამიწის ზედაპირზე; 40. მოჭადრაკე ... ალექსანდრია; 41. ცხვრის ჯოგი; 42. ი. ჭავჭავაძის პოემა; 44. კომპიუტერის „თაგუნა“; 45. ვისიმე მომხრე, დამცველი; 50. ნორმიდან გადახრა; 55. აფრიკის სახელმწიფო; 57. უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილი დ. დეფოს პერსონაჟი გვარად კრუზო; 58. მეცნიერება, რომელიც სწავლობს რაოდენობრივ ცვლილებებს საზოგადოებაში; 59. განუსაზღვრელი ნაცვალსახელი, ყველას შორის რომელიმე; 60. მწვანილის სახეობა; 61. ტროლეიბუსის გორგოლაჭიანი დენმიმღები; 62. აზიის სახელმწიფო; 63. ვანილის სუროგატი.

შვეულად: 1. ვრცელი სიტყვა, რომლითაც დრამატული ნაწარმოების პერსონაჟი მიმართავს მაყურებელს; 2. პატარა სონატა; 3. ქართული კროსვორდების ჟურნალი; 4. პირიქით მდებარე; 5. დღის ცნობების გადაცემა რადიოთი, ტელევიზიით; 6. რისამე დაწესებული რაოდენობა; 7. ღვთაებრივი ხარი; 8. აშშ-ის შტატი; 9. ქალაქი ესპანეთში; 10. დიდი ბრიტანეთის ნაწილის უძველესი სახელი; 18. კრემიანი ნამცხვარი; 23. ამერიკელი მოკრივე; 24. განთქმული მფრინავი; 26. დაავადება, რომელსაც იწვევს საკვებში ნიკოტინის მჟავას ნაკლებობა; 27. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 28. გრამატიკული მნიშვნელობის სიტყვის ნაწილი; 29. კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; 31. მსახიობი ... ჟირარდო; 32. თბილისის მერი; 33. აღვირის ნაწილი; 34. იტალიური ფიჭვი; 35. სინთეზური წითელი საღებავი; 36. თვალის შემადგენელი ნაწილი; 37. ციური სხეულის სამოძრაო გზა; 43. მწერალი ედგარ ალან ...; 46. გრიგოლ რობაქიძე — „გველის ...“; 47. ფრანგი ქიმიკოსი; 48. ფრანგი მწერალი; 49. ასაფეთქებელი ნივთიერება; 51. ბუნება (მოძვ.); 52. ავტოსასტუმრო; 53. გემის ტვირთის წონის საზომი ერთეული; 54. მიმიკის მოშლა; 55. ფრანგ დიდებულთა საგვარეულო; 56. ხელით ცეცხლსასროლი იარაღი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ვენესუელის ფულის ერთეული | კურორტი თურქეთში | ... კვარაცხელია | გვინეის დედაქალაქი | თავდავიწყების მდინარე (მით.) | რუსი მომღერალი ქალი | ღამის ფრინველი |
|---|---|---|---|---|---|---|

| კვამლი | რიცხვთა რიგის თითოეული წევრი | მდინარე საქართველოში | ძველებური ესპანური ცეკვა | მწერალი აგატა ... | ორგანული ნაერთი – გამხსნელი | აკრძალვა |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 9 – 15 ოქტომბერი №44 (1508)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოჰჰოხაცია "ასავალ-ღასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-ღასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი



*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*



წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

mail@asavali.com

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA Acting Architect of the Capitol